

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

ფლავიუს არიანე

მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო

თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა
ნ ა თ ე ლ ა კ ე ჭ ა ღ მ ა ძ ი ს ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი - 1961

მთავარი რედაქცია: ი აბულაძე, ვლ ფუთურიძე, ს.ყაუხჩიშვილი,
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია.

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი
სიმ. ყაუხჩიშვილი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფლავიუს არიანე და მისი "პერიპლუსი"

ფლავიუს არიანეს თხზულება -

უმვირფასეს წყაროს წარმოადგენს შავი ზღვის სამხრეთ და განსაკუთრებით აღმოსავლეთ სანაპიროს ისტორიის შესწავლისათვის.

"პერიპლუსის" ავტორის ცნობები ამ სანაპიროებზე მის დროს არსებული ნავსადგურების, მდინარეების თუ მოსახლეობის შესახებ ფრიად ანგარიშგასაწევია, რადგან, ჯერ ერთი, ავტორი გამოირჩევა საქმის მშვენიერი ცოდნით, საფუძვლიანი განათლებით და, შემდეგ, მას, როგორც რომის იმპერატორ ადრიანეს მოხელეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სანაპირო ხაზის ბევრი ადგილი თავისი ფეხით მოუვლია და თვალთ უნახავს. ყოველ შემთხვევაში საქართველოს მიმართ ეჭვიმუტანლად ცნობილია (მისივე გადმოცემით), რომ მან ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე მოიარა მთელი სანაპირო ხაზი. ამიტომაც, რომ ამ მონაკვეთში ბევრი ობიექტი აქვს მოხსენებული და ტომებიც დასახელებული. სხვაგან ის ტომებს არ ასახელებს. არიანეს ევალეზოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ დაწვრილებითი ანგარიშის შედგენა, ამ სანაპიროზე არსებული მოსახლეობის რომის მიმართ განწყობილების შესახებ იმპერატორისათვის მოხსენება.

არიანე თვითმხილველია იმისა, რის შესახებაც წერს, და ეს "პერიპლუსის" ავტორის ფასდაუდებელი ღირსებაა.

ფლავიუს არიანე დაიბადა დაახლოებით 95 წ. ახ. წ. ა. ბითინიის ქ. ნიკომედიაში. მშობლებმა მას მიაღებინეს საფუძვლიანი ზოგადი განათლება, ე.ი. შეასწავლეს მაშინ ცნობილი ყველა საგანი. ის აღიზარდა, უმეტესად, ბერძენ ავტორთა ნააზრევზე. ჭაბუკობისას ათენში სწავლობდა; 112 და 116 წლების მახლობლად კი ნიკომედიაში ისმენდა ფილოსოფოს ეპიქტეტეს.

ლექციებს, რომლებშიც სტოიციზმი საკმაოდ იყო მოცემული. არიანე ამ მასწავლებლის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

ეპიქტეტე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა რომთან და რომის ლიტერატურულ წრეებთან. რომთან კავშირის მომხრე იყო არიანეც, ამას მოწმობს მისი დამოკიდებულება იმპერატორ-სადმი და მოხელეობის საფეხურებზე აღმა სვლა. თავისი სიცოცხლის მანძილზე მას რამდენიმე თანამდებობა ეკავა. არიანემ მრავალი ქვეყანა მოიარა. გარდა ათენისა და მავი ზღვის სანაპიროსი იგი იყო ნორიკაში, პანპონიაში, გალიაში, ნუმიდიაში, აფრიკაში. ბიოგრაფიული მასალა უმეტესად წარწერების საშუალებითაა ცნობილი. რამდენიმე წარწერაშია ის მოხსენებული.

ნიკომედიის ერთი წარწერიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში არიანე იყო თავის ქალაქში დემეტრეს და კორეს ქურუმად². ბ. ბორგეზის³ აზრით, არიანე იყო consul Surffectus 121.-124 წლების მახლობლად⁴, ხოლო შვარცის⁵ მიხედვით - 130 წელს. გ. სავიცი⁶ ფიქრობს, რომ არიანეს კონსულობის წელი 120 წელია. 131 - 137 წლებში ის იყო კაპადოკიის მმართველი - legatus Augusti pro preatore. წარწერებში დამოწმებულია მისი მმართველობა. ერთი ასეთი წარწერა, მაგ., I33 წელს მიეკუთვნება⁷. ეს წარწერა (ქერჩი, 1830) მიუძღვნა იმპ. ადრიანეს ბოსფორის მეფემ როიმეტალკემ, რადგან, მიუხედავად კოტის II-ის სიკვდილის შემდეგ ბოსფორის ტახტის მიმართ ევპატორის პრეტენზიებისა, ადრიანემ როიმეტალკე გაამეფა და ეს უკანასკნელი სიკვდილამდე ბოსფორის პატრონად დარჩა. წარწერაში იხსენიება არიანე, როგორც ბოსფორთან ყველაზე უფრო ახლო მყოფი პროვინციის მმართველი. 137 წელს, არიანეს მმართველობის დროსაა შედგენილი კაპადოკიის ორი ქალაქის მოქალაქეთა მიერ ადრიანეს შესაქებად

¹ W. Christ. Griechische Litteraturgeschichte, t II, Nachklassische Periode. 1913, 8. 583 - 587, Pauly-Wissowa. RE d. cl. Altertums-wissenschaft, II, 1896, Schwartz-ის სტატია.

² Ἐλληνικὸς Στίλφοις III, 1, p 253, 5. არიანეს ქურუმადა მოხსენიებულია Phot. cod. 93-შიც.

³ B. Borghesi, Oenvres, Paris. 1872, IV, 157.

⁴ CIL, XI, 244, 552.

⁵ Pauly-Wissowa, RE, t, II, s.v.

⁶ Г. И. Савицкий и Ф. Арриан как источник по истории Средней М., 1941.

⁷ GiG, II, 2108 შევსებულია H. Dulcet -ის მიერ: Quid. Xenophonti debnerit FI. Arrianus, Parisiis, 1882, p.

ერთი წარწერად⁸. ამის შემდეგ ადრიანემ ის რომში გაიწვია⁹. კაპადოკიით არ დამთავრებულა არიანეს მოხელეობა; 147 წელს ჩვენ მას ვხედავთ არქონტ ეპონიმად ათენში¹⁰. 171/2 წელს კი პრიტანების სიაში ვპოულობთ მას¹¹. აღსანიშნავია სოხუმის სანაპიროზე ნაპოვნი წარწერა, რომელიც, რასაკვირველია, არიანეს ლეგატობის ხანას ეკუთვნის. ეს წარწერა ორი პუბლიკაციითაა ცნობილი¹² და ეხება რაღაც ნაგებობის აშენებას ადრიანეს მიერ ფლავიუს არიანეს საშუალებით.

არიანე რომის საქმეებს პროვინციებში კარგად აწყობდა. რომის ინტერესებს იცავდა ბოსფორში და აღმოსავლეთ სანაპიროზე. ცნობილია ადრიანეს რესკრიპტი არიანეს მიმართ¹³. არიანეს ევალეობდა მშვიდობის დაცვა პროვინციაში და, განსაკუთრებით, ალანების წინააღმდეგ ბრძოლა. ალანები თავს ესხმოდნენ პროვინციას და არიანე ენერგიულ ზომებს იღებდა მათ უკუსაგდებად¹⁴. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მაგრამ არიანემ მოახერხა სიმშვიდის დამყარება მისთვის ჩაბარებულ მხარეშია I75 წ. იგი ცოცხალი აღარ ჩანს.

არიანე გამოირჩეოდა არა მხოლოდ მოხელეობის უნარით, არამედ დიდი ერუდიციითა და გონებრივი მონაცემებით. მას რომ საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, ეს ჩანს მის ნაწერებში. ჯერ ერთი, თემატურად არაა ის შემოზღუდული, მისი ნაწერები ეხება ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას და სხვათ. შემდეგ, მის თხზულებებში ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს მხატვრულ ნაწარმოებებს და მეცნიერულ ნარკვევებს.

არიანე დიდი თავყვანისმცემელი იყო ისტორიკოს ქსენოფონტისა: არიანეს ცხოვრების წესსა და აზროვნების მიმართულებას ადრედნენ ქსენოფონტის მოღვაწეობას, „ახალ ქსენოფონტს“ უწოდებდნენ მას დიდად პატივს სცემდა, როგორც ზემოთ აღნიშნა, თავის მასწავლებელ ეპიქტეტს.

⁸ ეს წარწერა L. Renier-მ გამოსცა Revue archeol. N. S. 180, a., 1887, p. 200.

⁹ CIL, X, 6006.

¹⁰ CIA, III, 1116.

¹¹ CIA, III, 1020, 1032.

¹² Зап. Одесск. Общ. Истории и древностей. Зас... 365. прил. I: Новые латинские надписи с юга России: Иак, вып. 33, т. I. прим. 2. Стр. 12.

¹³ Dio, XLIX. 142.

¹⁴ Dio, LXIX, 15.

ამ უკანასკნელის ლექციები ჩაწერა და მას მიუძღვნა ახალგაზრდობის ხანში ორი თხზულება: ეპიქტეტეს ლექციები (*Ἐκτετακταὶ Ἐπισημῶν*) და „ეპიქტეტის სახელმძღვანელო“ (*Ἐγχειρίδιον Ἐπισημῶν*).

კაპადოკიაში მოღვაწეობის ხანის აღწერას ემსახურება „და-რაზმვა ალანთა წინააღმდეგ“ (*Ἐκτετακταὶ κατ' Ἀλάνων*). აქ გაშუქებულია ბერძნული და რომაული სამხედრო ტაქტიკის ურთიერთ-დამოკიდებულება. იგივე საკითხია განხილული „ტაქტიკაში“ (*Τέχνη τακτική*). ეს უკანასკნელი თხზულება 136 წელსაა დაწერილი, ადრიანეს იმპერატორობის მეოცე წელს, და ეყრდნობა ელიანეს „ტაქტიკას“. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში განხილულია ბერძენთა და მაკედონელთა ტაქტიკა, მეორე კი ეხება იმპერატორ ადრიანეს რეფორმას ამ დარგში¹⁵.

„ტრაქტატი ძაღლებით ნადირობაზე“ (*Κυνήγετικὸς*) ქსენოფონტის ასეთივე სათაურის მქონე შრომის მიხედვით.

„ინდოეთის აღწერა“ (*Ἰνδοῖς*) გეოგრაფიული ხასიათის თხზულებაა. ძირითად წყაროდ მეგასტენე და ნეარქოსია გამოყენებული. დაკარგულ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის: „დიადოხოსთა ისტორია“ (*Τὰ μετ' Ἀλέξανδρον*) „ზითვინიის ისტორია“ (*Βιθυνιακά*) და „პართიის ისტორია“ (*Περθιακά*).

არიანეს საუკეთესო შრომად ითვლება „ალექსანდრეს ანაბაზისი“ (*Ἀνάβασις Ἀλεξάνδρου*, I—XII წიგნი). ეს თხზულება ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის შესწავლისათვის ერთ-ერთი ძვირფასი წყაროა. თხზულება იწყება ალექსანდრეს აზიაში ლაშქრობის აღწერით და მთავრდება ალექსანდრეს გარდაცვალებით. თემა იმპ. ტრაიანეს ხანიდან აქტუალური იყო, რადგან ამ უკანასკნელს თავი ალექსანდრე დიდად მოჰქონდა. ამიტომ არიანეს შრომა ზოგ ადგილას არაა ტენდენციურობა და ჰიპერბოლიზაციას მოკლებულ. მთლიანად კი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან არიანე ზღაპრულსა და რეალურს ერთმანეთისაგან კარგად არჩევდა და ამასთან იყენებდა დღეს ჩვენთვის დაკარგულ წყაროებს: პტოლემიოსსა და არისტოზელს. ზოგ ადგილას გამოყენებული აქვს ერატოსტენე, ნეარქოსი და მეგასტენე.

არიანეს ორთ-ერთი ადრინდელი ნაწარმოები არის „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (*Περὶ πλοῦς Εὐξείνου Πόντου*)¹⁶, დაწერილია 131 წელს. ეს არის არიანეს მიერ მისი სამმართველო პროვინციის

¹⁵ W. Crist, Griech. Litt; II 1913, გვ. 585.

¹⁶ „პერიპლუსი“ ერთადერთი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული (Palat.. 398), ამიტომ აქ ხელნაწერულ ვარიანტებთან არა გვაქვს საქმე. უმნიშვნელო კითხვა-სხვაობას გვთავაზობენ „პერიპლუსის“ გამომცემლები. არსებობს რამდენიმე გამოცემა:

რამდენიმე გამოცემა: a) Arriani Periplus Ponti Enxini, ed. J. Fr. Gail.

დათვალიერებისა და იქ მისი საქმიანობის ანგარიში. კაპადოკიის-მმართველმა - ფლავიუს არიანემ ეს აღწერა დაურთო იმპერატორისადმი გაგზავნილ ლათინურ წერილს. ამას ცხადყოფს „პერიპლუსის“ ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი (Palat. 398), რომლის ბოლოს სწერია: ზღს.თინ ჰოიში" წთბ6 T9O61':თ'/6/, ბწ !7d12 რთს 7E8p':7c)ხიე6 Iჯჰ.ნოთ Iჩწ.ოცი "არიანეს ['მიერ] ადრიანესადმი (მიწერილი] წერილი, რომელშიც არის შავი ზღვის "პერიპლუსიც". თხზულებაში არიანე ესაუბრება იმპ. ადრიანეს და ორ ადგილას მოაგონებს მას ლათინურ წერილს: წი .II)(i):'.0'1::'.dC უდროთ.წ" (6;10).

არიანეს მიზნად დაუსახავს შავი ზღვის სანაპიროების „ირგვლივი აღწერა“. მსგავსად მის დრომდე და მის შემდეგ გაჩენილი „პერიპლუსების“. ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე მან ნამდვილად საკუთარი ფეხით მოიარა თავისი პროვინციის სანაპირო და ამ ნაწილში დაწვრილებით აღწერა ადგილები და ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ რამდენიმე ღირსშესანიშნავი ცნობა შემოგვინახა.

შრომის მეორე ნაწილში ის კმაყოფილდება მხოლოდ დასახელებული პუნქტების და მდინარეების ჩამოთვლით. აქ აღწერილია შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები თრაკიის ბოსფორიდან ტრაპიზონამდე.

მესამე ნაწილი (ნაკლებ სანდო და შეცდომებით სავსე) აღწერს სანაპირო ხაზს სებასტოპოლისიდან ბიზანტიონამდე. მეორე და მესამე ნაწილი არიანეს შედგენილი აქვს ძველი წყაროების მიხედვით. ამ წყაროთაგან ცნობილია მ ა რ კ ი ა ნ ე ჰ ე რ ა კ ლ ე ე ლ - თ ა ნ შემონახული Iხიხიხი"ნ თჰ6 ჰობნ მისნით)6 მენიჰე პერგამონელისა.

არიანეს „პერიპლუსის“ I ნაწილი ფასდაუდებელი წყაროა დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების ისტორიის შესწავლისათვის. II საუკუნეში ამ სანაპიროების თვითმხილველი

Hoffmann, 1842; ს) Arriani scripta minora. ed. Rud. Herscher, 1854; c) K. Muller, GGM. v. I, 1882; d) Arriani Scriptorum minora, ed. Rud. Herscher. iterum recognovit, edenda curavit alfredus Eberhard, aed. Teubneri, 1885; e) Flavii Arriani quae exstant omnia. ed. A. G. Roos. vol. II, Scriptorum minora et fragmenta, Bibl. Teubn.. 1928

"პერიპლუსის" სქოლიასტები ცალკე გამოცემული აქვს Stukius-ს: Jo. Gujelmii Stukii Scholia in PPE (sacrorum sacrificiorumque gentilium brevis et accurata descriptio ad sacros et profanos scriptores), 1598.

არიანეს ყოველი სიტყვა ადგილების თუ ადგილობრივ მკვიდრთა შესახებ მხედველობაში მისაღება და მოითხოვს ჩვენგან დიდ ყურადღებას.

2

რომაელების მიერ სამხედრო-პოლიტიკური თუ სხვა მიზნებისათვის გამოყენებული პუნქტები შავი ზღვის სანაპიროებზე

ასეთებად იგულისხმება ის ადგილები, სადაც არიან ჩერდებოდა, ალბანი, პოლიტიკური თუ, სამხედრო ან სხვა მიზნების განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ არიან ასეთი ადგილების შესახებ ყოველთვის მართავს მსჯელობას, ან ადგილის სახელს არჩევს, ან ჰავას ან სიმაგრეებს, რომლებიც იქ არის აგებული. სრულებით არაფერს წერს იმ ადგილების შესახებ სადაც არ გაჩერებულა, მათი მსოლოდ სახელწოდება და მანძილები აქვს მოცემული.

I. ტ რ ა პ ი ზ ო ნ შ ი ხანგრძლივი შეჩერების დროს არიან ვრცლად აღწერს ამ ქალაქის სამსხვერპლოებს, ჰერმესისა და ფილესის ქანდაკებებს, ადრიანეს ქანდაკებას, ბერძნულ წარწერას, რომელთა მიერ შესრულებულ მსხვერპლ-შეწირვას და სხვა.

II. ნავსადგურ ჰ ი ს ო ს შ ი, ათვალიერებს აქ მყოფ ქვეითა და ცხენოსან მცირერიცხოვან ჯარს, ჯარისკაცთა რაოდენობის შესახებ იმპერატორს ცნობას აწვდის.

არიანე ჰოსოსში შეჩერდა, რადგან პოსოსი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ძველითგანვე. IV - III საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვით ძლიერი და აყვავებული ქალაქი იყო. ამას ამბობს Xen. An. I, 2, 24; IV, I; Diod. XVII. 32, 4, ST.Bvz. Schol. Dionis. Perieg. 118, მართალია, სტრაბონის ხანისათვის დაკნინდა ეს ქალაქი და დაბად იქცა, მაგრამ მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა არ დაუკარგავს, არ გამქრალა და შემდეგ ისევ აღორძინდა "სუსუომენას" (სუსარმიას") სახელით (Proc. B. G. Viii, 2) იგი დღესაც არსებობს "სურმენეს" სახელწოდებით.

III. არიანეს შემდეგი "შესასვენებელი პუნქტი არის პონტოს ქალაქი ა თ ე ნ ი. აქ არიანე მეტად ვრცლად მსჯელობს ქალღმერთ ათენას ტაძარზე, ციხესიმაგრეზე, ჰავაზე და ადგილის, როგორც ნავსადგურის, თვისებებზე. ეს ადგილი დღესაც არ გამქრალა და სახელით "ფაზარი" განაგრძობს არსებობას.

IV. ეტყობა მეტად საინტერესო ყოფილა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ა ფ ს ა რ ო ს ი. აქ ყოფილა ჯარი (ჯარისკაცებისათვის არიანეს ხელფასი დაურიგებია), ჯარს იარაღი საკ-

მაო რაოდენობით ჰქონია, ყოფილა ციხე-სიმაგრე, მტკიცე კედელი, თხრილი, პურის მარაგი (ჯარისათვის) და საავადმყოფო". .

აფსაროსი რომის იმპერიის საზღვრების დამცველ სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. არიანეს მიხედვით იქ რომის ჯარის ხუთი კოჰორტი იდგა. იმ დროისათვის ეს დიდ ძალას წარმოადგენდა¹⁷ არიანეს ეს ცნობა დასტურდება ერთი წარწერით¹⁸, რომელშიც ნათქვამია, რომ მრავალ ლეგიონთა ცენტურიონი მარციუს ცელერი (ტრაიანეს მიერ დაჯილდოებული პართელებთან ომის დროს) ასრუ ებდა რომის დამხმარე ჯარის სადარაჯო რაზმების სარდლის მოვალეობასა ეს რაზმები მოთავსებული იყო აფსაროსში. ეს იყო ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი სამხედრო რაზმი ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროზე¹⁹. პავლე ინგოროყვა აფსაროსს აიგივებს თანამედროვე სარფთან".

არიანე თავის ჩვეულებას აქაც არ ღალატობს და მსჯელობს სახელწოდების ყაფსაროსის⁴ წარმოშობისა (მედეას ძმის აფსირტესგან აქვს აფსაროსს სახელი მიღებული) და „ტიანასა" და „თოანას" შესახებ.

არიანეს თხრობის მოცულობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ფაზისში საკმაო ხანს შეჩერებულა, აქ სხვადასხვა სამუშაოებიც კი ჩატარებია მას (ამას დრო დასჭირდებოდა). აქ მეტად გრძელი მსჯელობაა მდ. ფაზისის (რიონი) წყლის თვისებების შესახებ, ნავსადგურში შემოსული ხომალდების შესახები განსაკუთრებით აღსანიშნავია ფასიდელების ქალღმერთის ქანდაკების სსენება. არიანესავე დასკვნით ამ ქვეყნის მკვიდრთა ქალღმერთი იგივეა, რაც მცირე აზიის ძველი ავტოხთონური მოსახლეობის ღვთაება (მატრიარქალური ხანისა), ღმერთთა დედა, რეა-კიბელე.

მოხსენებულია ფაზისის ციხესიმაგრე, მისი მცველები ოთხასი რჩეული მეომარი, ორმაგი თხრილი¹ არიანეს აქ ნავსადგურის გამაგრებისა და ციხის გარშემო მცხოვრებლების (ვაპრების და გადამდგარი სამხედრო პირების) დაცვის მიზნით მესამე თხრილი შემოუვლია გარს კედლის გარშემო ადრე არსებული ორი თხრილის გარდა ნავსადგურისათვის და ციხის კედლის გარეთ მდგომი სახლებისათვის. კედლის მასალა-ნაგებობა წინათ პრიმი-

¹⁷ CIL. X, N 1202.

¹⁸ Л. А. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды: ВДИ, 1938, № 2/3, გვ. 308-311

¹⁹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 204.

ტიული ყოფილა, მიწის კედელზე ხის კოშკები მდგარა, ახლა კი გამომწვარი აგურისაგან ყოფილა ციხის კედელი ნაშენები.

VI. შემდგომ არიანე მდ. ქოზოზე (ენგურზე) შეჩერებულა. ამ ადგილის შესახებ არაფერს ამბობს, ეს აიხსნება მისივე სიტყვებით: "თუ რატომ შევისვენეთ აქ და რა მოვიმოქმედეთ, შენთვის ნათელი გახდება ლათინური წერილიდან" (თ. IO).

ქოზოსი (X(:,მO(-) დიდი სანაოსნო მდინარე იყო და, ბუნებრივია, ის არ იქნებოდა სტრატეგიულ მნიშვნელობას მოკლებული²⁰.

VII. სეზასტოპოლისში დაყოვნების დროს არიანეს დაუთვალეირებია ჯარი, ცხენები, იარაღი, ავადმყოფები, ციხესიმაგრე, თხრილი. დიოსკურიას-სეზასტოპოლისი რომ მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და მშვენივრად გამაგრებული ადგილი, ეს ცნობილი ამბავია. Plin. VI, 15 ამბობს: „დიოსკურიადაში 300 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომია, რომაელები აქ საქმეებს აწარმოებენ I30 თარჯიმნის საშუალებით" სხვა მწერლებიც დიოსკურიაში მრავალი ეროვნების ადამიანთა თავმოყრაზე ლაპარაკობენ²¹. აღარ ვიმეორებთ ანტიკური ავტორების ცნობებს დიოსკურიის სამხედრო მნიშვნელობის შესახებ. რომაელთა უფლება სებასტოპოლისამდე აღწევდა ჩრდილოეთით: „ციხე-სიმაგრე დიოსკურია წარმოადგენს რომის საბატონო უკიდურეს პუნქტს პონტოს შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს" („პერიპლუსი" თ. 17).

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ რომ არიანე თხრობას ავრცელებს მხოლოდ რომაელთათვის საინტერესო პუნქტების შესახებ (სადაც ის, როგორც რომის ლეგატი ჩერდებოდა კიდეც), სხვა ადგილებზე კი არაფერს ამბობს; მხოლოდ უბრალოდ ჩამოთვლის მათ და ითვლის მათ შორის არსებულ მანძილებს.

3

კოლხთა საკითხი

კოლხების სახელმწიფო ერთ დროს ყოვლად ძლიერი სახელმწიფო იყო. არგონავტების მითით²² ეს სახელმწიფო ყვაოდა და

²⁰ Н. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды ВДИ, 1957, № 4 გვ. 100 - 101.

²¹ Strabo, XI, 2.16 ერთნი ამბობენ, რომ დიოსკურიაში თავს იყრის 70 ტომი, მეორენი კი--300-იო Anon. XLII, 1: ფაზისში 60 ტომი იყრის თავს,

²² არგონავტების მითის პირველი სახე უნდა შექმნილიყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელი „კოლხიდა" არ არსებობდა და ამ მხარეს რაღაც სხვა.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. აპოლონიოს როდოსელის პოემის IV წიგნში ფეაკების მეფე ალკინოე ეუბნება თავის მეუღლეს: „აეტხზე უფრო ძლიერი მეფე არ არსებობს, მისდამი მოურიდელობა არ იქნება კარგი, იგი, მართალია, შორს ცხოვრობს, მაგრამ თუ მოინდომა ელადას ომს გამოუცხადებს“²³. ოვიდიუს ნაზონთან (*Heroides*, XII. 25 - 28) მედეა ამბობს „ჩემი მამა სახელგანთქმულია, მას უპყრია თოვლიანი სკვითეთი, რაც კიპონტოს სანაპიროა“.

მაგრამ კოლხეთის სახელმწიფოს ძლიერება ძველ ხანას მიეკუთვნება, ჩვენს მეცნიერებაში ასეთად მიჩნეულია VI-III საუკუნეები²⁴. გ. მელიქიშვილის აზრით, „ქულხა“ იყო ძლიერი გაერთიანება; მან თავისი უფლება გაავრცელა დიდ ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმული იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმ. და აღმ. სანაპიროზე. თავდაპირველად კოლხები უფრო სამხრეთით იყვნენ, შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთით წაიწიეს. VII ს-ში ბერძენ კოლონისტებს სამხრ. აღმ. და აღმ. სანაპიროზე დახვდათ მსხვილი პოლიტიკური გაერთიანება და ამ სანაპიროს მაშინ დაერქვა კოლხიდა²⁵.

ერქვა (შეიძლება გაია, აია: მიწა-ქვეყანა). ამ მითის შექმნა უნდა დაწყებულიყო მაშინ, როდესაც არამე თუ საერთო სახელი „ელადა“, „ელინები“ არ არსებობდა, არამედ არ იყო ჯერ დამკვიდრებული საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსული პირველი ბერძენი ტომის სახელწოდება „აქაველნი“, (დანაელნი, არგოსელნი). საბერძნეთს ხომ ბერძნების მოსვლამდე და ბერძნების შემოსვლის კარგა ხნის შემდეგაც „პელაზგია“ ეწოდებოდა ადგილობრივ მკვიდრთა „პელაზგების“ მიხედვით (ჰეკატე მილეტელი და სხვა მრავალი ავტორი).

სტრაბონი ამბობს (VIII 6,9): „ევრიპიდეს მიხედვით ელადის მცხოვრებთ წინათ პელაზგები ეწოდებოდათ, მერე დანაელები.... ელინები პელაზგებად, დანაელებად და არგოსელებად იწოდებოდნენ“.

არგონავტების მითში მოცემული ძველი ვითარებაა შემონახული ოვიდიუს ნაზონთან, მასთან არგონავტებს ელინები კი არ ეწოდებათ, არამედ პელაზგები (*Heroides* XII,, 29: XII, 83, *Metam.* VII, 133).

²³ აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის თარგმანი: თბ., 1948. გვ. 186.

²⁴ უნდა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ კოლხების სიძლიერის ხანის დღეს ჩვენს მეცნიერებაში მიღებული დათარიღება არ არის ზუსტი, თუ მხედველობაში მივიღებთ არგონავტების მითში მოცემულ სურათს. ეს სურათი გაცილებით უფრო ადრინდელ ხანას ასახავს. ხომ დადგენილია, რომ არგონავტების მითი ტროის მითზე უფრო ძველია.

²⁵ Г. М е л и к и ш в и л и, Наири - Урарту, Тб., 1954. გვ 412—413.

ჰეროდოტეს მიხედვით, ფაზისი კოლხებს ეკუთვნოდათ, სამხრეთ სანაპიროზე კი კოლხები თერმოდონტის მიდამოებში ცხოვრობდნენ (II, 104). ქსენოფონტის დროს უკვე კოლხების სამკვიდრე ბელი ტრაპიზონის სანახების დასავლეთით აღარ ყოფილა გავრცელებული (Anab; IV, 8, 22--24). სტრაბონით კოლხები ტრაპიზონის აღმოსავლეთით იყვნენ (XII, 31, 17). სტრაბონის წყაროსდროინდელ კოლხეთის მეფეებს ძალა აღარა აქვთ, მათ ქვეყანა სკეპტუქიებად დაჰყვეს (XI, 2, 18).

კოლხების მეფის (შესახებ არიანე არაფერს ამბობს. იხსენიებს მათ მხოლოდ ასე: „კოლხები ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით არიან, როგორც ქსენოფონტიც ამბობს (ჯC4მძ.7:ნჲ ჯთზ მთაწმ" ჭხჴ/ნჩ). რომ არიანეს დროს აქ ნამდვილად იყვნენ კოლხები და „პერიპლუსი" არ იმეორებს უბრალოდ ქსენოფონტის ცნობას, ეს ჩანს ჯერ ერთი იქიდან, რომ, როგორც ცნობილია, არიანე ტრაპიზონში ნამდვილად ყოფილა და თავისი ფეხით შემოჰყოლია ზღვის ნაპირს, და რად დასჭიდებოდა "პერიპლუსის" ამ ნაწილში მას ქსენოფონტის გამეორება, და შამდეგ სხვაგან (მეშვიდე თავში) ის ადასტურებს ისევ კოლხების აქ ნამდვილად ყოფნას: "მდინარე ოფისიგამოჰყოფს კოლხების მიწას თიანიკესაგან" (ჴანეთისაგანო). ოფისის ზემოთ კოლხები "პერიპლუსში" აღარ ჩანან.

აქედან ცხადია, რომ არიანეს დროს და მასზე გაცილებით უფრო ადრეც კოლხების ძლიერებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. აქ ასპარეზზე გამოსულნი არიან სხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც აგრეთვე ქვეყნის ავტოხთონები იყვნენ, მაგრამ თუ წინათ კოლხთა სახელი ჰფარავდა მათ სახელს, ახლა ასეთის დაჩრდილვის შესაძლებლობა მოსპობილია, ამათ დამოუკიდებლობისაკენ იწყეს სწრაფვა და თავიანთი სახელიც წინ წამოსწიეს. არიანესდროინდელი (II ს. ახ. ა.) დას. საქართველო ცალკეული ეთნიკური ჯგუფების აღზევებისა და განვითარების სურათს იძლევა, ხოლო შემდეგ კი ამათ მორის უძლიერესმა იკისრა ქვეყნის გამაერთიანებლის როლი და მეხუთე საუკუნის ანონიმი მწერალი წერს: „დიოსკუროდიდან ან სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა. ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი" (XLII, 7)

დასავლეთ საქართველოს სანაპირო მხარეში მოზინადრე ეთნიკურ ჯგუფთა ვინაობა

ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკემდე (ნიკოფსიამდე) არიანეს მიხედვით მოსახლეობენ: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, მიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები (მთიანეთში), სანიგები, მილქები.

ს ა ნ ე ბ ი იგივე ჭანები არიან. მათი სახელი ხან *Σάνοι* იწერებოდა, უფრო მოგვიანებით *Τζάνοι*. ამათ ქვეყანას *Τζαννική*,

ეწოდებოდა. არიანე გვთავაზობს მესამე სახელწოდებას *Θιασι-Σαννική* (თ. 7) ხოლო 1598 წელს არიანეს სქოლიოების გამომცემელი Jo. Guilielmus Stnkus-i წერს, რომ "კაპადოკიის ქ. ტიანა ტრაპეზუნტის ახლოს აღმოსავლეთითაა სამეზნია და არიანე იძლევა იმ მხარის სახელს; რომელშიც თიანა-ტიანა შედიოდაო, სახელდობრ „თიანიკეს" (ჭანეთს ნ. კ). ამ ცნობის მიხედვით ბერძნებს კიდევ მეოთხე დაწერა ჰქონიათ სახელისა " ჭანი-ჭანეთი" *Τζαννική* ან *Τσαννική*.

მ ა კ რ ო ნ ე ბ ი²⁶ იგივე ჭანები ყოფილან. Stephanus Bez: მაკრონები, რომელთაც ახლა სანები ეწოდებათ Eust. I) Per. 765: სანები მაკრონები არიან. სანებს სტრაბონზე ადრე მაკრონებს უწოდებდნენ²⁷.

ჰ ე ნ ი ო ხ ე ბ ი ს სახელი შეიცავს იმავე ხი-სუფიქსს, რომელიც გვაქვს საერთოდ ქართულ სატომო სახელწოდებებში - კოლხი. კარდუხი, მესხი, ტაოხი, კახ, სომეხი. ჰენიოხთა ტომი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ტომს წარმოადგენდა. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი-შ ვ ი ლ ს²⁸ ჰენიოხები ჭანურ ტომად მიაჩნია. ასევე პავლე ინგოროყვასაც²⁹, ეს უკანასკნელი აიგივებს ჰენიოხებს, სანიგებსა და სანიხებს.

ა ფ ს ი ლ ე ბ ი არიანეს მიხედვით ლაზების ზემოთ ცხოვრობდნენ, კოდორსა და სოხუმს შორის, ვერ აღწევდნენ სოხუმამდე. პროკოპი კესარიელი (BG, VII) ამბობს: "ქალაქ პეტრას პირდაპირ, მეორე ნაპირას.... აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ". (იმ დროს, როდესაც აფხაზებმა ქრისტიანობა მხოლოდ VI ს-ში მიიღეს).

აფსილების სახელი როგორღაც უნდა იყოს აფსაროსთან დაკავშირებული. "ქართლის ცხოვრებაში" მოხსენებული «ა ფ ს ა რ თ ა» დაკავშირებული უნდა იყოს „აფსილებთა"³⁰ აფსილების ეთნიკური ადგილის შესახებ მკვლევართა შორის ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

²⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი თ მეგრელები: ქ. ერ. ისტორია, ტ. I. 1951. სამიუბელი.

- ²⁷ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონი. გეოგრაფია, თბილისი, 1957 გვ. 256.
- ²⁸ ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913. გვი 32.
- ²⁹ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 122, 124, 135.
- ³⁰ ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი: ქართლის ცხოვრება, ნაწილი I, 1469 წლამდე, მ. ბროსეს გამოცემა, პეტერბურგი, 1849, გვ. 339.

12

ს ა ნ ი გ ე ბ ი არიანეს მიხედვით სებასტოპოლისიდან (ეს ქალაქი მათ მიწა-წყალზე იმყოფებოდა) მდ. შახემდე აღწევდნენ. იპოლიტე პორტელის³¹ მიხედვით "სანები, სანიკებად იწოდებიან და ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის აბსარის გასასვლელი და სებასტოპოლისი და ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი". Eus. Caes.³² "სანები, რომელნიც აგრეთვე სანიგებად იწოდებიან, რომელნიც პონტომდე ვრცელდებიან, სადაც არის შეერთება აფსაროსისა და სებასტოპოლისა და კაუსოს ნავსადგური და მდ. ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე". ამ წყაროებს სანები და სანიგები ერთი და იგივე ტომად მიაჩნია და ამ ტომის (ჭანურის) გავრცელების არეში შემოჰყავთ მთელი ტერიტორია სებასტოპოლისიდან ტრაპეზუნტამდე.

ამრიგად, არიანეს მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სანაპირო მხარე დასახლებული ყოფილა მთლიანად ქართველური ტომებით .

5

არიანესდროინდელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე

არიანეს მოხსენებითი ბარათიდან იმპერატორისადმი ("პერიპლუსიდან") შეიძლება რამდენიმე დასკვნის გამოტანა დასავლურ ქართული ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, მათი სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. "პერიპლუსის" XI თავში მოცემული ამ ჯგუფების თანმიმდევრული ჩამოთვლა მეფეების. სახელებითურთ ერთ მკაფიო საერთო სურათს ქმნის. აშკარაა, რომ სტრაბონის სკეპტუქიებიდან (ცენტრალური ხელისუფლების, კოლხთა მეფის დასუსტებიდან) დას. საქართველოში განვითარებულა რაღაც ახალი წყობა, რომელიც ამ საფეხურ-

ზე წარმოადგენდა ცალკეულ ერთეულებად დაყოფილ ქვეყანას. „საქართველოს ისტორიაში“³³ კვითხულობთ: "ამ ტომთა მიწა-წყალს უწინ დამოუკიდებლობის ხანში კოლხთა მეფის სახელით სკეპტუქები განაგებდნენ, ახლა ის "ბასილევსებს" ემორჩილებოდა. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური რეაქცია, მეელისაჲს ხელოვნურად უკუქცევის ცდა, რასაც მიმართავდნენ, სანამ შეეძლოთ. რომელი დამპყრობლები"³⁴.

³¹ SC, II, 446 - 7

³² SC, I, 668.

³³ საქართველოს ისტორია, თბილისი, 1956, გვ. 88-89.

³⁴ "ჭოროხის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომთა ოთხი ბასილევსი განწესებული იყო 98 - 134 წლებს შორის", საქართველოს ისტორია, 1956, გვ. 88 - 89.

მცდარი აზრია, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც რომის როლზეა ლაპარაკი. რომი იმდენად როდი ერეოდა ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში, რომ მას რაღაც ახალი წყობის დამყარების სურვილი გასჩენოდა. ასეთი რამ სხვა ქვეყნის მიმართ საერთოდ ძნელი მოსახერხებელია. ეს რომს არც აინტერესებდა: სამხედრო ვალდებულება და მცირე ხარკის გაღება, რომის სიუზერენობის ცნობა ქართველებისაგან, - ეს იყო რომის მიზანი. სხვას ის არაფერს თხოულობდა და მოსახლეობაც განაგრძობდა საკუთარი წესებით ცხოვრებას³⁵. უფრო გვიანდელი ცნობა რომ ავიღოთ აგათია სქოლასტიკოსისა (III 15), იქ წავიკითხავთ: ბიზანტიელთა მიერ დანიშნული "წათე ჩაუდგა (ლაზთა) სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამაპაპური წესი (ὁ πατριος τρόπος) უკარნახებდა"³⁶.

მართალია, ეს ცნობა გვიანდელია და ბიზანტიურ ხანას ეკუთვნის, მაგრამ ადრე კიდევ უფრო ზერელე ხასიათს. ატარებდა რომელთა ჩაწვდომა ქართველთა შინაურ საქმეებში.

ხოლო, რაც შეეხება არიანესდროინდელ დასავლეთ საქართველოს, აქ საქმე შემდეგნაირად იყო მოწყობილი: კოლხების სახელმწიფო აღარ იყო, უკვე დიდი ხნის წინ კოლხებს დაუკარგავთ ქვეყნის გაერთიანების ძალა. ლაზებს ჯერ კიდევ ასეთი ძალა არა ჰქონდათ შეძენილი ქვეყანა განაგრძობდა სიცოცხლეს, განვითარება მიდიოდა ახალი გზითი „ადგილობრივ ძალთა აღორძინებას“³⁷ მდგომარეობდა ეთნიკური ერთეულების გაძლიერებაში. ასეთმა გაძლიერებამ გამოიწვია შემდეგ დას. საქართველოს ისევ გაერთიან-

ნება "ლაზიკის" სახელწოდების ქვეშ. ლაზები რომ არ გამოსულიყვნენ ამ როლში, ამას სხვა ჯგუფი მოახერხებდა, რადგან ქვეყნის განვითარებას ასეთი გეზი ჰქონდა აღებული. ჩვენ სტრაბონთან გვაქვს ერთი ცნობა ლაზებზე უფრო ადრე სვანების ქვეყნის გაძლიერების შესახებ და მის მიერ სხვა მხარეების დამორჩილების შესახებ - XI, 2,19: „სვანები საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერ.. ჰკრებენ ლაშქარს 200.000 კაცის რაოდენობით".

ასე რომ ასეთი ვითარება I-II საუკუნეების საქართველოში კანონზომიერი ყოფილა. მაგრამ სვანები მთებში ცხოვრობდნენ და ვერ იყვნენ კარგად ორგანიზებულნი. მათ არ აღმოაჩნდათ საკმაო ძალა ქვეყნის გაერთიანებისათვის (ისევე როგორც აღმ. სანაპიროზე სხვა მცხოვრებთ ლაზებს გარდა) და ინტეგრაციის პროცესი დააგვირგვინეს ლაზებმა.

³⁵ ისევე როგორც კოლხებისგან დამოკიდებული სვანები თავის კანონონებს მისდევდნენ (მენანდრე პროტიქტორი, ფრ. II) - სვანები თვითთავადნი (αὐτονομῖοι γηγῆνασι) იყვნენ.

³⁶ გეორგიკა, III, გვ. 85

³⁷ ს. ჯანაშია, შრომები I, 1949. გვ. 211

რეაქცია და უკანდახევა რომ ყოფილიყო ის რაც აღწერილი აქვს არიანეს ეთნიკური ერთეულების (ისიც რომაელების მიერ ქვეყნისათვის თავზე მოხვეულით სახით, და არა წინსვლა და გარდამავალი საფეხური უკეთესისაკენ, როგორღა იქნებოდა შესაძლებელი ქვეყნის იმდენად მოღონიერება, რომ ამ რამდენიმე პოლიტიკურ წარმონაქმნიდან³⁸ ისევ შექმნილიყო ერთიანი სახელმწიფო. არიანეს მიერ ასახული საფეხური ისტორიულად ემსახურებოდა ქვეყნის გაერთიანებას. მას ზიანი ისტორიისათვის არ მიუყენებია და ქვეყნის დაცალკევებული ერთეულების მომძლავრებამ შემდგომში ის დადებითი შედეგი გამოიღო, რომ შეიქმნა ძლიერი ლაზეთი. ლაზებმა შემოიერთეს მემდეგ აბასკები, აფშილები, სვანები, მისიმიანელნი, სანიგები და სხვანი. საკმარისია წავიკითხოთ ამ ახალი სახელმწიფოს დახასიათება, აგათია სქოლასტიკოსის მიერ მოცემული, რომ ყოველგვარი ეჭვი გაგვეფანტოს და მივხედეთ, რომ რომაელთა როლი აქ ქვეყნის განვითარების შინაგანი ძალების მოქმედების დროს ნულს უდრიდა და ისტორია თავის

საქმეს აკეთებდა ყოველგვარი კომპრომისების გარეშე რაიმე უცხო გავლენის წინაშე Agath. III, 5: "ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ. ამაცობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესეოდენ. სახელგანთქმული და მორჩმული როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქეცით... ნაოსნობენ, ვაჭრობენ და რომაელებთან კავშირის წყალობით (?) თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონონითი სახე მიუციათ", რეაქციიდან და მცდარი საწყისიდან ასეთი შედეგის მიღება ისტორიას გაუჭირდებოდა.

ამრიგად, არიანესდროინდელი დას. საქართველოს სანაპირო მხარე რამდენიმე ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ ქვეყანადაა წარმოდგენილი. ამათგან უმეტესობას მეფე ყავს. "უმეფო" მხოლოდ სანების ტომია. არ არიან დასახლებული კოლხების და მიდრიტების მეფეები.

რაც ითქვა, ქვეყნის საერთო სურათის განსაზღვრას ეხება. საკითხავია თვითონ ეს ეთნიკური ჯგუფები რას წარმოადგენდნენ, განვითარების რომელ საფეხურზე იყვნენ ისინი. ერთი რამ შეიძლება ითქვას ამთავითვე: ჰანები სხვებისაგან განსხვავებულ ცხოვრებას ეწეოდნენ, ისინი საგვარეულო წყობას ინახავდნენ, მეფე არ ჰყავდათ (ἐθνὸς ἀβασίλευτον), და სხვებისაგან იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ რომაელების წინაშე სრულ ურჩობას იჩენდნენ და არაფრად აგდებდნენ მათ.

³⁸ ამის შესახებ იხილე ცოტა ქვემოთ.

ამ ხანში უმეფობა საგვარეულო წყობას ნიშნავს გვარის უფროსი ეყოლებოდათ მათ, მაგრამ არიანე გვარის უფროსთვის არ ხმარობს ტერმინს βασιλεύς -ს

ჰენიოხებს და მაკრონებს ერთი საერთო მეფე ჰყოლიათ, ანქიალე. მეფის სასახლე მდ. პრიტანიდთან ყოფილა მოთავსებული. თუ არიანეს ამ ცნობას შევადარებთ სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებს, საყურადღებო ამბავი გამოირკვევა, სახელდობრ ის, რომ სტრაბონის წყაროსა და პლინიუსის შემდეგ არიანემდე ჰენიოხთა

ცხოვრებაში დიდი ცვლილება მომხდარა.

ცნობილია, რომ ტომობრივი გაერთიანების წინ ადამიანთა საზოგადოება გვარებად იყოფა. ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115-1077) წარწერები ასახელებენ „მუშქების 5 მეფეს“, სალმანასარ III-ის (860-825) წარწერები კი „ტაბალების. 24 მეფეს“, რაც ცხადად მიგვითითებს, რომ ამ დროისათვის აღნიშნული ტომები ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების ხანაში იმყოფებიან და დასახელებული „მეფეები“ სხვას არას წარმოადგენენ, თუ არა გვაროვნული წყობის სატომო ბელადებს³⁹.

ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ სტრაბონის და პლინიუსის ცნობას. Straბო, XI, 2,13: „ჰენიოხებს ოთხი მეფე ჰყავდათ“ XVII, 3,24: „ჰენიოხები ვიწრო და ღარიბ ადგილებში ცხოვრობენ, ყაჩაღობითა და მომთაბარეობით ირჩენენ თავს“, XI 2,12: „ცხოვრობენ მეკობრეობით“. ამ პირობებში, რასაკვირველია, ჰენიოხები შემჭიდრობულნი და მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის დიდი უნარის მქონენი ვერ იქნებოდნენ. ამასვე ამბობს სტრაბონიც XI, 2,3: „ჰენიოხებზე გადაიარა მითრიდატე ევპატორმა, რადგან ეს მხარე იოლად სავალი იყო“⁴⁰.

პლინიუსი მრავალ ტომად წარმოადგენს ჰენიოხებს: *Multis nominibus Heniochorum gentis*.

სტრაბონის თუ მისი წყაროს დროისათვის ჰენიოხები საგვარულო წყობილების მქონენი ყოფილან და მათი ოთხი მეფე იგივე გვარის უფროსები არიან.

არიანეს დროს კი ამ ტომის სოციალური განვითარების პროცესი შორს წასულა, საგვარულო წყობა დაშლილა და ძველი "ბასილეფსი", გვარის უფროსი, ტომის ნამდვილ მეთაურად, ბატონად, მონარქად ქცეულა. კიდევ უფრო მეტიც: ჰენიოხები მაკრონთა ტომს შეერთებიან და ორი ტომის კავშირი ჩამოყალიბებულა.

დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებსაც თითო მეფე ჰყოლიათ და საქართველოს ისტორიის უფრო ძველი ხანების გათვალისწინების შედეგად, არქეოლოგიური მონაცემების შესწავლის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არიანეს "ტომთა" გაერთიანებანი, რომელთა სათავეში მეფეები იდგნენ, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

³⁹ გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 6

⁴⁰ სტრაბონი, გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი, 1957, გვ.

ლან. რომ აქ სწორედ სახელმწიფოსთან, სოც. დიფერენციაციასთან მეტად ინტენსიურ კულტურულ თუ ეკონომიურ ცხოვრებასთან გვაქვს საქმე და არა პრიმიტიულ გვაროვნულ წყობასთან, ამისი საბუთები მოაქვს არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთა მონაცემებით ირკვევა, რომ 'არიანემდე რამდენიმე საუკუნით ადრე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფრიად განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები⁴¹.

„პროფესიონალური ხელოსნობის მაღალი განვითარების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს ადებ-მიცემის ფართო განვითარება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხო ქვეყნებთან⁴²“.

სტრაბონი (XI, 2,17) წერს: ფაზისი კოლხების სავაჭრო ნავსად-

გურია; კოლხეთში უხვად მოჰყავთ სელი, კანაფი, ცვილი და ფისი; სელის წარმოებამ სახელიც კი გაითქვა, იგი უცხო ქვეყნებში გაჰქონდათ⁴³.

საქართველოს ტერიტორიაზე პოულობენ შემოტანილ ჭურჭელს, ნელსაცხებელს ეგვიპტურ ღი ფინიკიურ თუ სხვა ქვეყნების ნივთებს.

ადებ-მიცემობის ასეთი ფართო მასშტაბით წარმოება (რაც არქეოლოგიური მასალის გარდა . ანტიკურ ავტორთა ცნობებითაც დასტურდება) გულისხმობს ფულის არსებობას. VI საუკუნიდან: ადგილობრივ იჭრებოდა “კოლხური თეთრი“ მონეტა. მონეტები აღმოჩნდა კოლხეთის ტერიტორიის გარდა ქერსონესში, ნიმფეაში, არმაზში, ყირიმში, შუა აზიაში⁴⁴.

VI – V საუკუნის მასალა ავლენს აგრეთვე კოლხეთის მოსახლეობაში არსებულ ქონებრივ უთანასწორობას.

„მიწათმოქმედების განვითარებამ, პროფესიონალური ხელოსნობის დაწინაურებამ, სასოფლო-მეურნეობის მკვეთრმა გაცხოველებამ და ფულის ინტენსიურმა ტრიალმა უეჭველია, დიდი გავლენა მოახდინეს კოლხეთის, განსაკუთრებით მისი ბარის რაიონებში მოსახლეობაზე--განაპირობეს სასოფლო თემის ინტენსიური შლის პროცესი, მისი წევრების ერთი, მცირე ნაწილის გამდიდრება და მეორე ნაწილის გადატაკების პროცესი. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოების მდიდრებად და

⁴¹ Г. С. Ч и т а я Земледельческие системы и пахотные орудия Грузии: Вопросы этнографии Кавказа, 1952, გვ. 99

⁴² Б. А. К у ф т и н, Материалы к археологии Колхиды, т. II,

1950, სტრ. 78.

⁴³ გ. მელიქიშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 106.

⁴⁴ დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბ., 1950, გვ. 25-27

2. ფლავიუს არიანე

ლარიბებად გათიშვამ და ერთმანეთისადმი დაპირისპირებამ, მონების შედარებით მრავალრიცხოვანი ფენის გაჩენამ და მისმა დაპირისპირებამ თავისუფლებისადმი, აქ უკვე ისეთ საზღვრებს მიაღწია, როდესაც წარმოიქმნება „მანქანა ერთი კლასის ბატონობის შესანარჩუნებლად მეორე კლასის მიმართ-სახელმწიფო“. ამიტომაც შესაძლებლობებელია ვიფიქროთ, რომ ის დიდი პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც ზემომოტანილი მასალების მიხედვით უნდა არსებულიყო თანამედროვე დას. საქართველოს ტერიტორიაზე, ძვ. წ. ა. VI-III ს-მდე მაინც სახელმწიფოებრივი ერთეული უნდა ყოფილიყო⁴⁵.

არიანესდროინდელი ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციებიც, რომის მიერ დადასტურებული სამეფო ძალაუფლებით, საქალაქო ცხოვრების განვითარებული ფორმით და ხოც. დიფერენციაციით, რასაკვირველია, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები იყვნენ.

ამასვე ამბობს ს. ჯანაშია ც: „რაკი ლაზების, აფსილების, აბასკების და სანიკების მეთაურებს თავიანთი უფლებები რომის იმპერატორისაგან ჰქონდათ მიღებული და არა საკუთარი საზოგადოებისაგან, ცხადია, რომ ისინი ტომურ-გვაროვნული საზოგადოების ბელადებად ვერ ჩაითვლებიან და ვერც მათი საგამგეო მიიჩნევა ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციად. ეს პატარა ბატონები ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალებს უნდა დაყრდნობოდნენ, ეს უკვე გარკვეულ სოც. დიფერენციაციას გულისხმობს“⁴⁶.

არიანეს მეფეები ნამდვილი ბატონები იყვნენ სამეფო ძალაუფლებით, კიდევ უფრო მეტიც, ისინი სამეფო ნიშნებს რომის იმპერატორისაგან იღებდნენ, მაგრამ ქვეყანას მართავდნენ საკუთარი და არა უცხო კანონების მიხედვით. რა ვუყოთ, რომ ეს ქვეყნები მცირე მოცულობისა იყო, მაინც თითოეული მეფის სამფლობელო სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს წარმოადგენდა და ამ წარმონაქმნების დასრულება, გამსხვილება, ერთ, ლაზეთის ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, არიანეს შემდეგ მოხდა, V საუკუ-

ნუში.

⁴⁵ გ. მელიქიშვილი, დას. შრომა, გვ. 119-120.

⁴⁶ ს. ჯანაშია, შრომები. ტ. II, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, 1952. გვ. 309.

დასავლეთ საქართველოს სამეფოები და რომი ახ. წ. ა. II საუკუნეში

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული აზრი არსებობს იმის შესახებ, თუ რა მიმართებაში იმყოფებოდნენ რომთან არიანესდროინდელი დას. საქართველოს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

როგორც არიანეს ბიოგრაფიიდან ირკვევა (იხ. ადრიანეს რესკრიპტი არიანეს მიმართ და სხვა ბიოგრაფიული ცნობები), რომს დას. საქართველოში ამ დროს აინტერესებდა უმთავრესად იმპერიის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა, და ქართველ მეფეთა. უპირატეს მოვალეობას წარმოადგენდა თავიანთი ქვეყნის ჩრდილო საზღვრის დაცვა, რათა ალანები⁴⁷ და ჰუნები არ შემოჭრილიყვნენ აქ (რაც, სხვათაშორის, ქართული სამეფოების ინტერესებშიც შედიოდა) მეფეს ჯარი უნდა გამოეყვანა საჭიროების დროს და ხალხს მცირეოდენი ხარკი გადაეხადა. ამის სამაგიეროდ სამეფო ნიშნები ეგზავნებოდათ მეფეებს რომიდან. თუ როგორი იყო ეს ნიშნები, ამის შესახებ წერს გვიანდელი, უკვე ბიზანტიელი მწერალი, აგათია სქოლასტიკოსი.

აგათია სქოლასტიკოსის დროს (VI- ს.) სამეფო ნიშნები ლაზეთის მეფისათვის ბოძებული ბიზანტიის კეისრისაგან შემდეგი ყოფილა: „წათემ რომაელთა მეფისაგან, მიიღო როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელო და საამისო (სამეფო) ნიშნები. ეს ნიშნებია ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული, კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკედით მოქარგული. მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული და წითელი წაღები. მოწეული ქლამიდის ტარების ნება კი არ ჰქონდათ ლაზთა მეფეებს, მხოლოდ თეთრისა შეეძლოთ; რაც სრულიად საყოველთაოა და ჩვეულებრივი, შუაში ოროვე

⁴⁷ ალანთა შემოსევებისაგან იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების

დასაცავად თვით იბერიასთან შეთანხმების გარდა ადრიანეს სხვა ღონისძიებაც მიუღია. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს VI ს-ის ბიზანტიელი მწერლის - იოანე ლიდეს ნაშრომში - "რომაელთა სახელმწიფო თანამდებობათა შესახებ" დაცული იცნობა, რომელშიც მოთხრობილია, რომ ფლავიუს არიანეს კაპადოკიაში მმართველობის დროს დაუთვალა იერებია კასპიის კარი (ანუ დარიალი). მ. ი მ ნ ა ძ ე, იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს-ის პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 313.

20

მხრით ოქროს ქსოვილით არის ალაპლაპებული მეფურია ქლამიდის აბზინდიც, თავისი აკინძული თვლებითა და სხვა მორთულობით⁴⁸.

როგორც არ უნდა ყოფილიყო სამეფო ნიშნები, ყოველშემთხვევაში მათი მიღება მეფეებს აკისრებდა სამხედრო ვალდებულებას. კანონები კი სახელმწიფოს მართვის დროს ქვეყანას საკუთარი ჰქონდა.

ასეთი დამოკიდებულება ვასალური იყო. „ლაზთა მეფეები, რამდენადმე მაინც ვასალურად იყვნენ რომზე დამოკიდებულნი. ისინი იმპერატორისაგან იღებდნენ სამეფო ნიშნებს, გვირგვინს და სხვ. რომის კეისრებს თავიანთ სამეთვალყუროდ მიაჩნდათ ეგრისიდან ჩრდილო კავკასიაში გარდამავალი გზები და ისინი ლაზებს აკისრებდნენ ამ გზების დაცვას ჰუნთა და ალანთა შემოსევისაგან⁴⁹.

ასეთი ვითარება იყო არიანეს შემდეგი. არიანეს დროსაც რომაელების ბატონობა არ ყოფილა შემდგომ საუკუნეებზე უფრო მკაცრი ფორმით მოცემული. ჩვენ უფრო გვიანი ხანის წყაროები მოგვეპოვება არიანესდროინდელი ამბების გასარკვევად, მაგრამ ეს წყაროები ხშირად უფრო ადრინდელ ამბებს გადმოგვცემენ ხოლმე.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს აზრით, ლაზები რომაელთა ქვეშევრდომები არიან, ხარკს არ იხდიან და საერთოდ მათ არ ემორჩილებიან. მათ აწევთ მხოლოდ ერთადერთი, სამხედრო მოვალეობა. „ლაზების მეფე კეისრის ვასალია, რომელსაც თავისი სიუზერენის წინაშე მხოლოდ სამხედრო სამსახური აწევს მოვალეობად⁵⁰ არიანეს შემდეგ საქართველოში არიანესდროინდელი მეფეების ვასალობა რომის კეისრის წინაშე სისტემატად გადაქცეულა და აქ ვასალებს ვასალები გასჩენიათ. ლაზები. დას. საქართველოს გაერთიანების დროს ხომ იქვემდებარებდნენ სხვა ხალხებს. აბასგები ძველითგანვე ლაზე-

ბის ქვეშევრდომნი იყვნენ (Proc. Goth VIII,) ასევე აფსილებიც (Goth. VIII, 2), მისიმიანები (Agath. III, 15). ლაზების ქვეშევრდომი იყო სკუმიაც სვანეთთან ერთად. სვანები თეოდოსის დროიდან ლაზებს ექვემდებარებოდნენ, ეს ურთიერთობა 388-395 წლებში დამყარდა (მენანდრე, ფრ. II; პროკოპი BG VIII, 2, 46 და სხვ.)

⁴⁸ Agath. III, 15; გეორგიკა, III, გვ. 84-85.

⁴⁹ საქართველოს ისტორია, 1956, გვ. 90. ცხადია, რომ უპირატესად სამხედრო მიზნების არსებობა არ გამორიცხავს რომის სავაჭრო თუ სხვა ინტერესებს ლაზიკის მიმართ.

!

⁵⁰ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ეგრისის სამეფოს წარმოშობა: შრომები, II. 1952, გვ. 317-8.

2I

„ამ ტომთა მფლობელების მთავარი მოვალეობა ეგრისის მეფის წინამე სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა. ყველა დასახელებული ტომი ეგრისის იმ ჩრდილოეთით საზღვარზე მოსახლეობდა, რომლის დაცვაც შეადგენდა თვით ეგრისის მეფის ძირითადსა და ერთადერთ მოვალეობას კონსტანტინეპოლის იმპერატორის წინაშე“⁵¹.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ ფაქტს არიანე ლაზების სამხრეთით მცხოვრებთა მეფეების რომის მიერ დანიშვნის შესახებ არაფერს ამბობს. დანიშნული მეფეები ჰყავთ ლაზებს, აფსილებს, აბასკებს, სანიგებს, ჯიქებს ხოლო სამხრეთით: კოლხების მეფეს საერთოდ არ ასახელებს; სანები უმეფონი და რომაელებისადმი ურჩნი არიანო; ჰენიოხების და მაპრონების მეფის, ანქიალეს და მოკიდებულების შესახებ რომთან არაფერს ამბობს. აფსაროსამდე მოდის ასეთი მეფეების გამგებლობაში შემავალი ტერიტორია. აფსაროსიდან მოყოლებული კი ლაზები ცხოვრობდნენ და მათ მეფეს მალასას ადრიანესაგან ჰქონდა სამეფო ნიშნები ბოძებული. აფსაროსის სამხრეთით ტრაპიზონამდე რომაელებს მოეპოვებოდათ დასაყრდენი პუნქტები და არიანე ამ პუნქტებში ჩერდებოდა კიდევ: ტრაპეზუნტში, ჰისოსში, ათენში, მაგრამ ეტყობა, აქ მეფეების დახარკვასა და სამეფო ნიშნების ბოძების წყალობით სამხედრო ვასალად გახდომას რომაელთათვის არც თუ ისე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ აქაურ მეფეებს თავს ანებებდნენ. ალბათ ალანები და ჰუნები (რომელთაგან პროვინციის დაცვის საქმის ხელმძღვანელობა ლეგატს არიანეს ჰქონდა დავალებული) უფრო ჩრდილოეთით გადმოდიოდნენ აფსაროსის ზემოთ და ამ სანაპიროს დაცვისათვის რომაელებს გამოყენებული ჰყავდათ ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები, ჯიქები და მათ მეფესთან დებდნენ სამხედრო ხელმეკრუ-

ლებას. მართლაც, კავკასიის ალანები ხომ კლუხორის გადასასვლელთან ცხოვრობდნენ ახლანდელი აფხაზეთის ჩრდილო ნაწილში კავკასიონის მთების გასწვრივ, ეტყობა ესენი ჩრდილოეთით უფრო მოდიოდნენ, ვიდრე სამხრეთით (ე. ი. პონ-ოს აღმოსავლეთ სანაპიროს ესხმოდნენ თავს და არა სამხრეთ-აღმოსავლეთს).

⁵¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, 1952, გვ. 318-19.

ამ ფონზე სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ არიანესთან მიდრიტებს. ამათი სამკვიდრებელი გამოყოფილა რომაელების სამეთვალყურეო ადგილებიდან. ანონიმიც იხსენიებს მიდრიტებს (XLII, 10). არიანე მეთვრამეტე თავში ამბობს: „მაკრონებისა და ჰენიოხების გვერდით მიდრიტებია, ესენი ფარსმანის, ქვეშევრდომნი არიან“.

ეს ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია იბერიის მეფის უფლების გავრცელების თვალსაზრისით დას. საქართველოს ტერიტორიის მიმართ.

აქ ლაპარაკია იბერიის მეფეზე, ფარსმან II-ზე, რომლის შესახებ დიონ კასიუსი მოგვითხრობს⁵².

იბერიის ძლიერებისა და აყვავების ხანში, III ს-ში ძვ. წ. ა. ქართლის მმართველებმა თავისი ძალაუფლება მეტად დიდ ტერიტორიაზე გაავრცელეს.⁵³ ამის შესახებ სხვა ცნობათა შორის ლეონტი მროველის ცნობაც ლაპარაკობს. ქართლის ტერიტორიის განხილვის დროს ლეონტის ეგრისის შესახებაც აქვს ლაპარაკი: „ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისა“⁵⁴. ქუჯი ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელთაც ჩვენ კოლხეთის მეფეებად ვვარაუდობთ⁵⁵.

უკვე ძვ. წ. ა. III საუკუნიდან ეგრისი (კოლხეთის სამეფო). მოექცა იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. კოლხთა უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, რომლის სატახტო ქალაქი იყო ციხე-გოჯი, მეფე ფარნავაზი „უფლად“ აღიარა, ხოლო თავისი თავი - მის „მონად“⁵⁶.

II ს. ძვ. აღ. იბერიის სამეფო სუსტდება და კარგავს ბევრ მხარეს. ახ. წ. ა. I და II საუკუნეებში კი იბერია ისევ ძლიერდება იბერიის პოლიტიკური ერთეული ისევ აღდგება თავის უფლებებში და იბრუნებს ძველ ოლქებს. ახლა მიუხედავად რომის და სპარსეთის მხრივ შეზღუდვისა, იბერია ისევ ძლიერი პოლიტიკური ერთეულია.

იბერიის ამ სიძლიერეზე მიუთითებს არიანეს ცნობა: „მიდ-
რიტები ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან (თ. 11), ეტყობა იბერიას
ამ დროს თავისი ხელი ზღვის სანაპირომდე გაუწვდენია და რომაე-

⁵² Dio Cassius, Historia Romana, LVIII, 86. იხ. გ. წერეთელი,
არმაზის ბილინგვა, „ენიმკის მოამბე“, ტ. 13, თბ., 1942, გვ. 33.

⁵³ გ. მელიქიშვილი, დას. შრომა, გვ. 142,

⁵⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, ს. ყაუხჩიშვილის
გამოცემა; გვ. 24, 23.

⁵⁵ მელიქიშვილი, დას. შრომა, გვ. 145.

⁵⁶ საქ. ისტორია, თბ., 1956, გვ. 6.

ლებისათვის მეტოქეობა გაუწევია დასავლეთ საქართველოს ერთი
მხარის დაქვემდებარების საკითხში⁵⁷

რუკისათვის

ფლავიუს არიანეს „პერიპლუსი“ წარმოადგენს შავი ზღვის
სანაპიროების დეტალურ აღწერას. თითქმის მთელი თხზულება
შედგება გეოგრაფიული ობიექტების ჩამოთვლისაგან ამ ობიექტთა
შორის მანძილების გამოანგარიშებით. მხოლოდ რამდენიმე ადგი-
ლას ღალატობს ავტორი ამ პრინციპს და ჩაურთავს ძველსა თუ
მის თანამედროვე ცნობებს ტომთა და ადგილთა შესახებ, ზოგჯერ
ფრიად ყურადსაღებს და საინტერესოს, ზოგჯერ კი სრულიად
ზედმეტსა და უმნიშვნელოს (ასეთია, მაგალითად, ოცდამეოთხე
თავში გრძელი თხრობა კუნძულ ლეკვზე აქილევსისა და პატროკ-
ლეს მიერ მოგზაურთა წინაშე სიზმარში გამოცხადების შესახებ).

თხზულების მკითხველს ექმნება მეტად მკაფიო წარმოდგენა
შავი ზღვის სანაპიროებზე არსებული დასახლებული ადგილების,
მდინარეების და აღმ. სანაპიროზე მოსახლე ტომების შესახებ.

რუკის შედგენამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ არიანე თავი-
სი აღწერილობის დროს მიყვება ზღვის სანაპირო ხაზს, თითქმის
არსად არ იყურება ქვეყნის სიღრმეში. ამ მხრივ გამონაკლისს წარ-
მოადგენს კოლხეთის მიდამოების მიმართ მხოლოდ სანების-ჭანე-
ბის და მათი ქვეყნის: თიანიკე-ჭანეთის და აბასკების მოხსენება,

ეს ტომები ნაპირს დაცილებულნი იყვნენ და მთიანეთში ცხოვრობდნენ. კავკასიონის მწვერვალს კი, სტრობილს, იმიტომ ასახელებს, რომ მისივე თქმით, ეს მწვერვალი ჩანს კოდორიდან სოხუმამდე მოგზაურობის დროს.

არიანეს მიერ მოცემული მანძილები, ხშირად მეტად ჭეშმარიტი, პედანტური სიზუსტით არ გამოირჩევა და შემთხვევათა

⁵⁷ ამ საკითხისათვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა, რომლის მიხედვით იბერიაში შედიოდა არტანუჯი და მისი მიმდგომი მხარეები (გეორგიკა, IV, 2, გვ. 274-287). კონსტანტინე ხომ მეათე საუკუნის ამბებს არ გადმოგვცემს, არამედ უფრო ადრინდელს. არიანეს მიხედვით ძიდრიტები სწორედ არტანუჯის ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. თითქოს აქ საქმე გვაქვს იბერიის გამაერთიანებელი ტენდენციის (რასაკვირველია მეტად მკრთალ) ჩანასახთან.

24

დიდ უმეტესობაში მიახლოებით რიცხვებს გვთავაზობს. ეს შეუიარაღებელი თვალისათვისაც ჩანს ჯერ ერთი იქიდან, რომ სულ დამრგვალებული რიცხვებია „პერიპლუსში“ მოცემული. შემდეგ, ერთი და იგივე რიცხვი ხშირად მეორდება, მაგ. ავტორის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს მანძილი „90 სტადიონი“, ასევე კარგადაა განწყობილი 150, 180 სტადიონის მიმართ, ამათ გარდა უმეტესად გვხვდება 30 და 60 სტადიონი.

სტადიონთა ერთი და იგივე რაოდენობა მეორდება მიყოლებით რამდენიმე პუნქტის მიმართ: მაგ ბათისიდან აკინასამდე 90 სტადიონია, აქედან ისისამდე - 90, ისისიდან მოგროსამდე - 90 და ასე შემდეგ ქობოსამდე სულ 90 სტადიონია დასახელებული ცნობილია, რომ ასე სიმეტრიულად განლაგებული მდინარეები თუ სხვა ობიექტები ბუნებაში არ არსებობს. ასე რომ პუნქტების მიგნებისას ორი-სამი და ზოგჯერ მეტი კილომეტრის სხვაობის დაშვება არიანეს მანძილების მიმართ ჩვეულებრივ ამბად უნდა იქცეს რუკის შემდგენელისათვის.

რუკის შედგენის დროს საჭირო გახდა არიანეს ამ თავისებურებათა გათვალისწინება, აგრეთვე სანაპირო ხაზის მიხვეულ-მოხვეულობისათვის ანგარიშის გაწევა. დიდი სხვაობის დაშვება მანძილებში მაინც არ შეიქნა საჭირო (მხოლოდ 1 – 3 მ-დე) არიანეს სტადიონები კოლხეთისა და თურქეთის მიმართაც მრავლისაგან უმრავლესს შემთხვევაში რუკის შექმნის საშუალებას იძლევა, მაგრამ II ნაწილში (სამხრეთ სანაპიროზე) ზოგი პუნქტი გამოტოვებულ იქნა. მათი შეტანა რუკაზე არ მოხერხდა, რადგან ირღვეოდა რუკის მთელი აღნაგ-

ბა, ობიექტებს მორის მანძილები იცვლებოდა და ცნობილ ადგილთა მდებარეობა ისე გადაინაცვლებდა, რომ რუკა საერთოდ აღარ გამოდიოდა.

ასე მაგალითად, ვერ მოთავსდა ბითვინიაში კალპეს ნავსადგური, რადგან არიანეს მიხედვით მდინარე ფსილისიდან კალპემდე 210 სტადიონია, ე. ი. დაახლოვებით 37 კილომეტრი, ეს თითქმის ცნობილ მდინარე სანგარიოსამდე (საკარია) მოდიოდა და შემდეგი ანგარიში ირღვეოდა. ამას გარდა, რუკაზე ვეღარ თავსდებოდა არიანესაგან მოცემული სამი პუნქტი სანგარიოსამდე კ. აპოლონია, მდ. როე და ადგილი ქელე ამიტომ საჭირო გახდა კალეს გამოტოვება.

ასევე გამორჩენილია რუკაზე: კალეტი - ბითვინიის ნავსადგური, ტინდარიდი ბითვინიაში სანდარაკე, კრენიდესი, ფსილა (იქვე), ეგინეტე (პიფლაგონიაში), ჰერაკლეიონი - ანკონის აღმოსავლეთი

კუნძული, არეტიადე კერასუნტის აღმოსავლეთით. დანარჩენი ყველა პუნქტია მოთავსებული რუკაზე, რომლებიც კი არიანეს მოხსენებული აქვს ბიზანტიონიდან პანტიკაპეამდე.

ჩრდილო და დასავლეთ სანაპიროზე მანძილების გამოანგაშება აღარ მოხერხდა. არიანე აქ დიდ ლაფსუსებს უშვებს და შრომის მიზანს არ წარმოადგენდა ამ ლაფსუსთა მიზეზების კვლევა. აქ მხოლოდ ყოვლად ცნობილი ადგილები აღინიშნა გამოანგარიშების გარეშე, გამოტოვებულ იქნა: კაძეკა, სკვითოტავრების ნავსადგური, ლამპადი ტავრიდისა, სიმბოლონი, კარკინიტიდი, კალოსი, ტამირაკე, მიონი, ისტრიელების ნავსადგური, ისიაკების ნავსადგური, ისტრია, ტეტრასიადი, ბიძონე, კიანეს კუნძულები, დაფნე.

არიანე, რასაკვირველია, ზოგჯერ დიდ სხვაობასაც უშვებს რეალურად არსებულ მანძილებთან შედარებით, ასეთ შემთხვევებში საჭიროა პუნქტის ისტორიის მოშველიება და სხვა პუნქტთა მდებარეობისათვის ანგარიშის გაწევა. მაგ. იაზონის კონცხი სამხრეთ სანაპიროზე დაახლოებით 15 კილომეტრის (თუ მეტის არა) სხვაობას იძლევა არიანეს მანძილთან შედარებით, მაგრამ ქ. პოლემონიონის (ახლანდელ ბალამანი) შემდეგ (ეს უკანასკნელი პუნქტი კი არიანეს მონაცემების მიხედვით ზუსტად მოთავსდა თავის ადგილას), მართლაც არის კონცხი, რომელსაც დღესაც იაზონი ეწოდება, ამიტომ აქ არიანეს იაზონის კონცხი აღინიშნა, მითუმეტეს, რომ ამ კონცხიდან შესაძლებელი გახდა შემდგომი პუნქტების გამოანგარიშება--მიგნება).

ყურადღებას იპყრობს ობიექტების სახელები თურქეთის ტერი-

ამბობენ, რომ მეოტიდის ტბის გარშემო სამოგზაურო მანძილი დაახლოებით ცხრათასი სტადიონია

პანტიკაპეიდან სოფელ კამეკამდე, ზღვა-სთან რომაა მოთავსებული, ოთხას ოცი სტადიონია. აქედან თეოდოსიამდე, გაუდაბურებულ ქალაქამდე, ორას ოთხმოცი სტადიონია. ეს იყო ძველი ბერძნული ქალაქი, იონიური, მილეტელთა ახალციხე. ამის ხსენება მრავალ ლიტერატურულ ძეგლშია; აქედან სკვითოტავრების მიტოვებულ ნავსადგურამდე ორასი სტადიონია. აქედან ტავრიდის ლამპადამდე - ექვსასი. ლამპადიდან ნავსადგურ სიმბოლონამდე (ტავრიდულია ესეც) ხუთას ოცი სტადიონია. აქედან ტავრიდის ქერონესამდე - ას ოთხმოცი. ქერონესიდან კარკინიტიდამდე - ექვსასი. კარკინიტიდიდან ნავსადგურ კალოსამდე (ესიც სკვითურია) - კოიდევ შვიდასი.

20

ნავსადგურ კალოსიდან ტამირაკემდე სამასი სტადიონია. ტამირაკის შიგნით არის პატარა ტბა. აქედან ტბის შესართავა-

⁶⁸ Muller: Πάγρας.

⁶⁹ Muller: ἐσοφόμενοι.

„τῇ μὲν δίδυμον χθονὸς Ἑβρώπης
μέγαν ἦδ' Ἀσίας τέρμονα Φᾶσιν“.

τῆς δὲ λίμνης τῆς Μαιώτιδος πε-
ρίπλους ἐν κύκλῳ λέγεται σταδίων
ἅμφι τοὺς ἑνακισχιλίους.

Ἀπὸ δὲ Παντικαπαίου ἐς κώμην
Καζέκα ἐπὶ θαλάσῃ ὠκισμένην
στάδιοι εἴκοσι καὶ τετρακόσιοι.
ἐνθεν ἐς Θεοδοσίαν πόλιν ἐρή-
μην στάδιοι ὀγδοήκοντα καὶ δια-
κόσιοι. καὶ αὕτη παλαιὰ ἦν Ἑλ-
λὰς πόλις Ἰωνική, Μιλησίων ἄποι-
κος, καὶ μνήμη ἐστὶν αὐτῆς ἐν
πολλοῖς γράμμασιν. ἐνθεν ἐς
λιμένα Σχυθοταύρων ἔρημον στά-
διοι διακόσιοι καὶ ἑνθεν ἐς Λαμ-
πάδα τῆς Ταυρικῆς στάδιοι ἑξα-
κόσιοι. ἀπὸ δὲ Λαμπάδος ἐς Συμ-
βόλου λιμένα, Ταυρικὸν καὶ τοῦ-
τον, στάδιοι εἴκοσι καὶ πεντακό-
σιοι. καὶ ἑνθεν ἐς Χερρόνησον
τῆς Ταυρικῆς ὀγδοήκοντα καὶ
ἑκατόν. ἀπὸ δὲ Χερρονήσου ἐς
Καρκινίτιν⁷⁰ στάδιοι ἑξακόσιοι,
καὶ ἀπὸ Καρκιντίδος⁷¹ ἐς Καλὸν
λιμένα, Σχυθικὸν καὶ τοῦτον, ἑλ-
λοὶ ἑπτακόσιοι.

მდე სამასი სტადიონია. ტბის შესართავე-
ბიდან ეიონამდე-სამას ოთხმოცი. აქედან
მდინარე ბორისტენემდე - ას ორმოცდა-
ათი. ბორისტენის გასწვრივ ზემოთ რომ
მისცურავ, შეგხვდება ელინური ქალაქი,
სახელად ოლბია. ხოლო ბორისტენიდან
პატარა, დაუსახლებელ და უსახელო კუნ-
ძულამდე სამოცი სტადიონია. აქედან
ოდესოსამდე-ოთხმოცი. ოდესოსში არის
სადგომი ხომალდთათვის. ოდესოსის
იქით არის ისტრიელების ნავსადგური.
აქამდე ორას ორმოცდაათი სტადიონია.
აქედან არის ისიაკების ნავსადგური, იქა-
მდე ორმოცდაათი სტადიონია. აქედან
ისტროსის შესართავამდე, რომელსაც ფსი-
ლონი ეწოდება, ათას ორასი. სტადიონია.
შუაში მდებარე ადგილები უდაბურია და
უსახელო

21

ამ შესართავის პირდაპირ, თუ შიგ ზღვა-
ში შესცურავ აპარკტიის [ჩრდილოეთის]
ქარის შემწეობით, შეგხვდება კუნძული.
ამ კუნძულს ერთნი აქილევსისას უწოდე-
ბენ, ხოლო მეორენი-აქილევსის ასპარეზს,
მესამენი კი-ლევკეს [თეთრს] ფერის მი-
ხედვით. ამბობენ, რომ იგი თეტიდამ ამო-
წიდა [ზღვიდან] თავისი ვაჟისათვის და
რომ მასზე ცხოვრობს აქილევსი. კუნძულ-
ზე არის აქილევსის ტაძარი და ქანდაკე-
ბა, ძველი ნამუშევარი. კუნძულზე ადა-

⁷⁰ Muller: Κερκινίτιν.

⁷¹ Muller: Κερκινιτίδος.

Ἐκ δὲ Καλοῦ λιμένος ἐς Τα-
μυράκην τριακόσιοι· ἔσω δὲ τῆς
Ταμυράκης λίμνη· ἐστὶν οὐ μεγά-
λη· καὶ ἔνθεν ἐς τὰς ἐκροὰς τῆς

λίμνης ἄλλοι τριακόσιοι. ἐκ δὲ
τῶν ἐκροῶν τῆς λίμνης ἐς Ἡϊό-
νας⁷² στάδιοι ὀγδοήκοντα καὶ τρια-
κόσιοι. καὶ ἔνθεν ἐς ποταμὸν Βο-
ρυσθένην πεντήκοντα καὶ ἑκατόν.
κατὰ δὲ τὸν Βορυσθένην ἄνω πλέ-
οντι πόλεις Ἑλλάς ὀνομα Ὀλβία
πεπόλισται. ἀπὸ δὲ Βορυσθένους
ἐπὶ νῆσον σμυρᾶν, ἐρήμην καὶ
ἀνώνυμον· στάδιοι ἑξήκοντα. καὶ
ἔνθεν ἐς Ὀδησσὸν ὀγδοήκοντα.
ἐν Ὀδησσῷ ἕρμος ναυσίν. ἀπὸ
δὲ Ὀδησσοῦ ἔχεται Ἰστριανῶν
λίμνη. στάδιοι ἐς αὐτὸν πεντή-
κοντα καὶ διακόσιοι. ἐνθενδε ἔχε-
ται Ἰσιακῶν λίμνη. στάδιοι ἐς
αὐτὸν πεντήκοντα. καὶ ἔνθεν ἐς
τὸ Ψιλὸν καλούμενον στόμα τοῦ
Ἰστροῦ διακόσιοι καὶ χίλιοι. τὰ
δὲ ἐν μέσῳ ἔρημα καὶ ἀνώνυμα.

Κατὰ τοῦτο μάλιστα τὸ στόμα
ἐπ' εὐθὺς πλέοντι ἀνέμῳ ἀπαρκτεῖα
ἰδίως⁷³ τὸ πέλαγος νῆας πρόκει-
ται, ἦντινα οἱ μὲν Ἀχιλλέως νῆ-
σον, οἱ δὲ Δρόμον Ἀχιλλέως, οἱ

⁷² Muller: Ἡόνας.

⁷³ Muller: ὥς.

⁷⁴ Muller: χροιάς.

⁷⁵ Muller: Θέτις.

მიანები არ ცხოვრობენ, მხოლოდ მცირე-
დენი თხა ბინადრობს აქ. ამბობენ, რომ
ყველა, ვინც ამ კუნძულს მოადგება თხებს
სწირავს მსხვერპლად აქილევესს. ტაძარში
სხვა მრავალი შეწირულებაც არის: ფიალები,
ბეჭდები, ძვირფასი ქვები და წარწერები
ლათინურსა და ბერძნულ ენებზე აქილევესის
შესახებ სხვადასხვა სალექსო საზომით.
არის, აგრეთვე, პატროკლეს სადიდებელი
ლექსებიც, რადგან პატროკლესაც სცემენ
თაყვანს აქილევესთან ერთად ისინი, რო-
მელთაც სურთ აქილევესს ასიაშოვნონ. მრავალი
ჩიტი ბუდობს კუნძულზე: თოლიები,
ყვინთიები და ზღვის ყვავები. ეს ფრინვე-
ლები ემსახურებიან აქილევესის ტაძარს.
ყოველდღე დილით ადრე ზღვისკენ მიფ-
რინავენ, შემდეგ იქ ისველებენ ფრთებს, მო-
ისწრაფიან ზღვიდან ტაძრისაკენ და წყალს
ასხურებენ ტაძარ; როდესაც საკმაოდ და-
სველებენ მას, ფრთებით გვიან ტაძრის
იატაკს.

ხოლო ზოგი ამას მოგვითხრობს: კუნ-
ძულზე ჩამოსულთაგან ზოგიერთნი საგან-
გებოდ არიან მოსული, ხომალდით მოჰ-
ყავთ მათ სამსხვერპლო საქონელი, ზოგს
მსხვერპლად სწირავენ, სხვებს კი [თავი-
სუფლად] უშვებენ აქილევესის სახელის

δὲ Λευκὴν ἐπὶ τῆς χροῶς⁷⁴ ὀνο-
μάζουσιν. ταύτην λέγεται Θέτιν⁷⁵
ἀνεῖναι τῷ παιδί, καὶ ταύτην
οἰκεῖν τὸν Ἀχιλλέα. καὶ νεώς
ἐστὶν ἐν αὐτῇ τοῦ Ἀχιλλέως, καὶ
ξόانون τῆς παλαιᾶς ἐργασίας. ἡ
δὲ νῆτος ἀνθρώπων μὲν ἐρήμη
ἐστίν, νέμεται δὲ αἰξίν οὐ πολ-
λαῖς. καὶ ταύτας ἀνατιθέναι λέ-
γονται τῷ Ἀχιλλεῖ ὅσοι⁷⁶ προσί-
σχουσι. καὶ⁷⁷ ἄλλα πολλὰ ἀνατιθή-
ματα ἀνάκειται ἐν τῷ νεῷ, φιά-
λαι καὶ ὀακτύλιοι καὶ λίθοι τῶν
πολυτελεστέρων⁷⁸, καὶ ἐπ' ἑγράμ-
ματα, τὰ μὲν Ῥωμαϊκῶς, τὰ δὲ
Ἑλληνικῶς πεποιημένα ἐν ἄλλῳ
καὶ ἄλλῳ μέτρῳ, ἔπαινοι τοῦ Ἀ-
χιλλέως. ἐστὶν δὲ ἅ καὶ τοῦ Πα-
τρόκλου· καὶ γὰρ καὶ τὸν Πάτρο-
κλον τιμῶσιν σὺν τῷ Ἀχιλλεῖ ὅσοι
τῷ Ἀχιλλεῖ χαρίζεσθαι ἐθέλου-
σιν. ὄρνιθες δὲ πολλοὶ ἀβλίζονται
ἐν τῇ νήσῳ, λάροι καὶ αἰθυσιαὶ
καὶ κορώναι αἱ φαιάσσαι τὸ
πληθος οὐ σταθμητοί. οὗτοι οἱ
ὄρνιθες θεραπεύουσιν τοῦ Ἀχιλ-
λέως τὸν νεών. ἔωθεν ὀνημέραι
καταπέτονται ἐς τὴν φάλασσαν·
ἔπειτα ἀπὸ τῆς φαιάσεως βεβρε-
γμένοι τὰ πτερὰ σπουδῇ αὐτοὶ ἐπεί-
τονται ἐς τὸν νεών, καὶ ῥαίνουσιν
τὸν νεών. ἔπειθ' ἂν δὲ κελῶς ἔχῃ,
οἱ δὲ ἐκκαλλύνουσιν αὐτὸ τὸ ἔδα-
φος τοῖς πτεροῖς.

მოსაგონებლად. ზოგიერთი კი ნაპირს
მოადგება ქარიშხლის მიერ იძულებუ-
ლი. ესენი თვით ღმერთს თხოვენ სამსხ-
ვერპლო ცხოველს. ეკითხებიან სამისნოს-
კარგია თუ ცუდი ამა თუ იმ ცხოველის
მსხვერპლად მოტანა, იმ ცხოველის, რომე-
ლსაც ისინი აირჩევენ საძოვარზე, და, ამას-
თანავე, თავიანთი მოსაზრებით ცხოველის
ტოლ საფასურს დადებენ ხოლმე [ტამარ-
ში]. თუ მისნის პასუხი უარყოფითია (ტა-
მარში არის მისანი), ისინი უმატებენ ფასს,
თუ ამის შემდეგაც უარყოფითი პასუხი
გამოვიდა, კიდევ უმატებენ. როდესაც მის-
ნის თანხმობას მიიღებენ, ისინი მიხვდე-
ბიან, რომ საფასური საკმარისია. სამსხ-
ვერპლო ცხოველი ამ დროს თვითონ ჩერ-
დება და არ გარბის. ამრიგად, გმირს [აქი-
ლევსს] მრავალი ვერცხლი აქვს შეწირუ-
ლი სამსხვერპლო ცხოველის საფასურის
სახით.

23

აქილევსი სიზმარში ეცხადება ზოგს
კუნძულზე მოსვლის შემდეგ, ხოლო
ზოგს - ჯერ კიდევ ზღვაში ყოფნისას
კუნძულთან მიახლოების დროს, და
უჩვენებს მათ, თუ კუნძულზე სადაა
უკეთესი მისადგომი ხომალდისათვის
და სადაა საჭირო ღუზა ჩააგდონ. ზო-
გიერთები ამბობენ, რომ აქილევსი მათ
ცხადად მოველინა ანძაზე ან ქანდარის
კიდზე, დიოსკურების მსგავსად. აქი-
ლევსი მხოლოდ იმით ჩამორჩება დიო-
სკურებს [ამბობენ ისინი], რომ უკანასკ-

⁷⁶ Muller: ὅσοι [ἀεὶ].

⁷⁷ Muller: καὶ [γὰρ καὶ].

⁷⁸ Muller: Πολυτελεστέρων-ის შემდეგ ჩამატებულია: Ταῦτα ξύμπαν-
τα χαριστήρια τῷ Ἀχιλλεῖ ἀνέχεται, შემდეგ მოსდევს: ἐπιγράμματα..

55

22

Οἱ δὲ καὶ τὰδε ἱστοροῦσιν· τῶν
προσεσχηκότων τῇ νήσῳ ἱερεῖα
τοὺς μὲν ἐξἐπίτηδες πλέοντας ἐς
αὐτὴν ἐπὶ ταῖς ναυσὶν κομίζειν,
καὶ τούτων τὰ μὲν καταθῆναι, τὰ
δὲ ἀφίεναι τῷ Ἀχιλλεῖ· τοὺς δὲ
τινας ὑπὸ χειμῶνος ἐξαναγκασθέν-
τας προσέχειν, καὶ τούτους παρ'
αὐτοῦ τοῦ θεοῦ αἰτεῖν ἱερεῖον,
χρωμένους περὶ⁷⁹ τῶν ἱερείων, εἰ
λῶόν σφισιν καὶ ἄμεινον θῆσθαι
ὅτι περ ἄν⁸⁰ αὐτοὶ τῇ γνώμῃ
ἐπιλέξαντο νεμόμενον, τιμὴν ἅμα
καταβάλλοντες τὴν ἀξίαν σφίσιν
δοκοῦσαν· εἰ δὲ ἀπαγορεύοι ὁ
χρησμός—εἶναι γὰρ χρησμούς ἐν
τῷ νεῷ—, προσβάλλειν τῇ τιμῇ· εἰ
δὲ ἔτι ἀπαγορεύοι, ἔτι προσβάλ-
λειν. συγχωρήσαντος δὲ γινώ-
σκειν ὅτι ἀποχρῶσα ἡ τιμὴ ἔστιν.
τὸ δὲ ἱερεῖον ἵστασθαι ἐπὶ τῷδε
αὐτόματον, μηδὲ ἀποφεύγειν ἔτι.
καὶ τοῦτο δὴ πολὺ ἀνακείσθαι τὸ
ἀργύριον τῷ ἦρω τὰς τιμὰς τῶν
ἱερείων.

ნელნი ყველგან ეცხადებიან ზღვაზე მოგ-
ზაურებს და, გამოეცხადებიან თუ არა,
იხსნიან ხოლმე მათ, ხოლო აქილევსი
მხოლოდ კუნძულზე მიახლოვებულთ
გამოეცხადება ხოლმე. ზოგიერთნი ამბო-
ბენ, რომ მათ სიზმარში პატროკლევ ეც-
ხადებათ ეს ამბები აქილევსის კუნძულის
შესახებ მე ჩავიწერე ისე, როგორც მოვი-
სმინე იმ პირთაგან, რომელნიც ან თვი-
თონ მოადგნენ კუნძულს, ან სხვებისა-
გან მოისმინეს [ყველაფერი ეს]. სარწმუ-
ნოდ მიმაჩნია მონაყოლი. მე აქილევსს
სხვებზე უფრო მეტ გმირად ვთვლი ანგა-
რიშს ვუწევ მის კეთილშობილურ წარმო-
შობას, სილამაზეს, სულიერ ძალას, ამ
ქვეყნის მიტოვებას ახალგაზრდობის ჟამს,
ჰომეროსის პოეზიის მიერ მის შესხმას.
სიყვარულსა და მეგობრობაში სიმტკი-
ცეს და ერთგულებას იქამდე, რომ მან
საყვარელი ადამიანის სიკვდილის შემ-
დეგ არჩია თვით მომკვდარიყო.

24

ისტროსის ეგრეთ წოდებულ ფსილო-
ნის შესართავიდან მეორე შესართავამდე
სამოცი სტადიონია აქედან ეგრეთ წოდე-
ბულკალონის შესართავამდე—ორმოცი სტა-
დიონი. კალონიდან ეგრეთ წოდებულ
ნარაკონამდე, ისტროსის მეოთხე შესარ-
თავამდე, სამოცი სტადიონია. აქედან მე-
ხუთე შესართავამდე - ას ოცი- ქალაქ ისტ-

⁷⁹ Muller: ἐπὶ.

⁸⁰ Muller: ἄν ავლია.

Φαίνεσθαι δὲ ἐνύπνιον τὸν Ἀχιλλέα τοῖς μὲν προσχοῦσι τῇ νήσῳ, τοῖς δὲ καὶ πλέουσιν, ἐπειδὴν οὐ πόρρω αὐτῆς ἀπόσχωσιν, καὶ φράζειν ὅποι⁸¹ προσσχεῖν τῆς νήσου ἄμεινον καὶ ὅποι⁸² ὀρμίσασθαι. οἱ δὲ καὶ ὕπαρ λέγουσιν φανῆναί σφισιν ἐπὶ τοῦ ἱστοῦ ἢ ἐπ' ἄκρου τοῦ κέρως τὸν Ἀχιλλέα, καθάπερ τοὺς Διοσκόρους⁸³ τοσόνδε μόνον τῶν Διοσκόρων⁸⁴ μεῖον ἔχειν τὸν Ἀχιλλέα, ὅσον οἱ μὲν Διόσκοροι⁸⁵ τοῖς πανταχοῦ πλωιζομένοις ἐναργεῖς φαίνονται καὶ φανέντες σωτήρες γίγνονται, δὲ τοῖς πελάζουσιν ἤδη τῇ νήσῳ. οἱ δὲ καὶ τὸν Πάτροκλόν σφισιν ὀφθῆναι ἐνύπνιον λέγουσιν. τάδε μὲν ὑπὲρ τῆς νήσου τῆς τρῦς Ἀχιλλέως ἀκοτὴν ἀνέγραψα τῶν ἢ αὐτῶν προσχόντων ἢ ἄλλων πεπυσμένων· καὶ μοι δοκεῖ οὐκ ἄπιστα εἶναι. Ἀχιλλέα γὰρ ἐγὼ πεῖθομαι εἶπερ τινὰ καὶ ἄλλον ἦρω εἶναι, τῇ τε εὐγενείᾳ τεκμαίρομενος καὶ τῷ κάλλει καὶ τῇ βίῳ τῆς ψυχῆς καὶ τῷ νέον μεταλλάξαι ἐξ ἀνθρώπων καὶ τῇ Ὀμήρου ἐπ' αὐτῷ ποιήσει καὶ τῷ ἔρωτικόν γενέσθαι καὶ φιλέταιρον,

⁸¹ Muller: ὅπου.

⁸² Muller: ὅπου.

⁸³ Muller: Διοσκούρους.

⁸⁴ Muller: Διοσκούρων.

⁸⁵ Muller: Διόσκοροι.

რიამდე - ხუთასი. აქედან ქალაქ ტომევესამდე - სამასი. ტომევესიდან ქალაქ კალატიდამდე - კიდევ სამასი. სადგომია ხომალდთათვის. აქედან კარიელთა ნავსადგურსამდე ას ოთხმოცი სტადიონია და ნავსადგურის გარშემო [არსებული] ქვეყანა იწოდება კარიად. კარიელების ნავსადგური და ტეტრასიადამდე ას ოცი სტადიონია აქედან უკაცრიელ ადგილამდე, ბიძონიდან, სამოცი სტადიონია. ბიძონიდან დიონისოპილისამდე - ოთხმოცი. აქედან ოდესოსამდე-ორასი. აქ ხომალდთა სადგომია. ოდესოსიდან ჰაიმოსის მთის ძირამდე, რომელიც პონტომდე გრძელდება, სამას სამოცი სტადიონია აქაცაა ხომალდთა სადგომი. ჰაიმოსიდან ქალაქ მესემბრიაამდე, ოთხმოცდაათი სტადიონია. სადგომია ხომალდთათვის. მესემბრიიდან ქალაქ ანქიალემდე სამოცდაათი სტადიონია. ანქიალიდან აპოლონიამდე-ას ოთხმოცი. ყველა ესენი ელინური ქალაქებია, რომლებიც მდებარეობენ სკვითიაში იმისათვის, ვინც პონტოში შესცურავს, მარცხენა მხარეს. აპოლონიიდან ქერონესამდე სამოცი სტადიონია. სადგომია ხომალდთათვის. ქერონესიდან ავლაიოსის კედლამდე-ორას ორმოცდაათი. აქედან თინიადის ნაპირამდე - ას ოცი.

ὧς καὶ ἐπαποθανεῖν ἐλθέσθαι τοῖς
παιδικοῖς.

24

Ἀπὸ δὲ τοῦ Ψιλοῦ καλουμένου
στόματος τοῦ Ἰστρου ἕς τὸ δεύ-
τερον στόμα στάδιοι ἐξήκοντα.
ἐνθ' ἐνδὲ ἐπὶ τὸ Καλὸν καλούμε-
νον στόμα στάδιοι τετραράκοντα.
καὶ ἀπὸ τοῦ Καλοῦ ἐπὶ τὸ Νά-
ρακον ὧδε ὀνομαζόμενον στόμα
τέταρτον τοῦ Ἰστρου στάδιοι ἐξή-
κοντα. ἐνθ' ἐνδὲ ἐπὶ τὸ πέμπτον
εἵκοσι καὶ ἑκατὸν καὶ ἐνθ' ἐν ἑς
Ἰστρίαν πόλιν στάδιοι πεντακό-
σιοι. ἐνθ' ἐνδὲ ἑς Τομέα⁸⁶ πόλιν
στάδιοι τριακόσιοι. ἀπὸ δὲ Τομέ-
ως⁸⁷ ἑς Κάλλατιν πόλιν ἄλλοι
τριακόσιοι ὁρμος ναυσίν. ἐνθ' ἐνδὲ
ἑς Καρῶν λιμένας ὀγδοήκοντα καὶ
ἑκατὸν. καὶ ἡ γῆ ἐν κύκλῳ τοῦ
λιμένος Καρία κλήζεται⁸⁸. ἀπὸ
δὲ Καρῶν λιμένος ἑς Τετρασιάδα⁸⁹
στάδιοι εἵκοσι καὶ ἑκατὸν. ἐνθ' ἐνδὲ
ἑς Βιζώνην χῶρον ἔρημον στάδιοι
ἐξήκοντα. ἀπὸ δὲ Βιζώνης ἑς
Διονυσόπολιν στάδιοι ὀγδοήκοντα.
ἐνθ' ἐνδὲ ἑς Ὀδησσὸν διακόσιοι
ὁρμος ναυσίν. ἐκ δὲ Ὀδησσοῦ ἑς
τοῦ Αἴμου τὰς ὑπαρείας, αἱ δὲ
ἑς τὸν Πόντον καθήκουσιν, στά-
διοι τριακόσιοι ἐξήκοντα. καὶ δεῦρο
ὁρμος ναυσίν. ἐκ δὲ τοῦ Αἴμου ἑς

თინიადიდან სალმისამდე ორასი სტადი-
ონია. ამ ადგილს იხსენიებს ქსენოფონტი-
უფროსი; ის ამბობს, რომ აქამდე მოდი-
ოდა ელინების ჯარი მისი წინამძღოლო-
ბით, მაშინ, როდესაც ილაშქრა თრაკიელ
სევთესთან ერთად. მან ბევრი დაწერა იმის
შესახებ, რომ აქ არაა ნავსადგური, რომ
მრავალი ხომალდი ილუპება აქ ქარიშხ-
ლისაგან და რომ აქ მცხოვრებ თრაკიე-
ლებს ხშირად უთანხმოება უტყდებათ
დამსხვრეული ხომალდების ნაწილების
გაყოფის დროს.

სალმიდესიდან ფრიგიამდე სამას ოცდა-
ათი სტადიონია. აქედან კიანეს კუნძუ-
ლამდე სამას ოცი. ეს ის კიანეს კუნძულე-
ბია, რომლებზედაც პოეტები ამბობენ,
თითქოს ძველად ისინი მოხეტიალენი
იყვნენ და, თითქოს, პირველად მათ შო-
რის გაიარა ხომალდმა არგომ, რომელ-
მაც იაზონი კოლხებთან მიიყვანა. კია-
ნედან ზევს ურიოსის ტაძრამდე, სადაც
პონტოს შესართავია, ორმოცი სტადიო-
ნია. აქედან ეგრეთწოდებულ შმაგი დაფ-
ნის ნავსადგურამდე ორმოცი სტადიო-
ნია. დაფნიდან ბიზანტიონამდე - ოთხ-
მოცი.

აი, ეს ადგილებია კიმერიის ბოსფო-
რიდან თრაკიის ბოსფორამდე და ქალაქ
ბიზანტიონამდე.

Μεσημβρίαν πόλιν ἐγενήκοντα·
 ὄρμος ναυσίν. καὶ ἐκ Μεσημβρίας
 ἐς Ἀγχιάλον πόλιν στάδιοι ἑβδο-
 μήκοντα, καὶ ἐξ Ἀγχιάλου ἐς
 Ἀπολλονίαν ὀγδοήκοντα καὶ ἑκα-
 τόν. αὗται πᾶσαι αἱ πόλεις Ἑλ-
 ληνίδες εἰσίν, ὥκισμέναι ἐν τῇ
 Σκυθίᾳ, ἐν ἀριστερᾷ ἐσπλέοντι ἐς
 τὸν Πόντον. ἐκ δὲ Ἀπολλωνίας ἐς
 Χερρόνησον στάδιοι ἐξήκοντα· ὄρ-
 μος ναυσίν. καὶ ἐκ Χερρονήσου
 ἐς Αὐλαίου τεῖχος πεντήκοντα καὶ
 διακόσιοι. ἐνθ' ἐνδε ἐς Θυνιάδα
 ἀκτὴν εἴκοσι καὶ ἑκατόν.

25

Ἀπὸ δὲ Θυνιάδος ἐς Σαλμυδη-
 σσὸν στάδιοι διακόσιοι. τούτου
 τοῦ χωρίου μνήμην πεποιήται
 Ξενοφῶν ὁ πρεσβύτερος, καὶ μέ-
 χρι τούτου λέγει τὴν στρατιὰν
 ἐλθεῖν τῶν Ἑλλήνων, ἧς αὐτὸς
 ἡγήσατο, ὅτε τὰ τελευταῖα σὺν
 Σεύθῃ τῷ Θρακί ἐστράτευσεν.
 καὶ περὶ τῆς ἀλιμενότητος τοῦ
 χωρίου πολλὰ ἀνέγραψεν, ὅτι εν-
 ταυθα ἐκπίπτει τὰ πλοῖα χειμῶνι
 βιαζόμενα, καὶ οἱ Θραῖκες οἱ πρόσ-
 χωροι ὅτι ὑπὲρ τῶν ναυαγίων ἐν
 σφίσιν διαμάχονται.

Ἀπὸ δὲ Σαλμυδησσοῦ ἐς Φρυ-
 γίαν στάδιοι τριάκοντα καὶ τρια-
 κόσιοι. ἐνθ' ἐνδε ἐπὶ Κυανέας εἴκοσι
 καὶ τριακόσιοι. αὗται δὲ αἱ Κυανεαί

εἰσιν, ἃς λέγουσιν οἱ ποιηταὶ
πλαγκτὰς πάλλαι εἶναι, καὶ διὰ
τούτων πρώτην περᾶσαι τὴν Ἀρ-
γῶ, ἥτις ἐς Κόλχους Ἰάσονα
ἤγαγεν. ἐκ δὲ κυανέων ἐπὶ τὸ
Ἱερὸν τοῦ Διὸς τοῦ Οὐρίου, ἔνα-
περ τὸ στόμα τοῦ Πόντου, στάδιοι
τεσσαράκοντα. ἐνθὲν δὲ ἐς λιμένα
Δάφνης τῆς Μαιομένης καλουμέ-
νης στάδιοι τεσσαράκοντα. ἀπὸ
δὲ Δάφνης ἐς Βυζάντιον ὁγδοή-
κοντα.

Τάδε μὲν καὶ τὰ ἀπὸ τοῦ Βοσ-
πόρου τοῦ Κιμμερίου ἐπὶ Βόσπο-
ρον τὸν Θράκιον καὶ πόλιν Βυζάν-
τιον.

1. ტრაპეზუნტი] ტრაპიზონი, Aristoteles, Mir. aud. 18; ტრაპეზუნტი კოლხეთისა. PS. Scyl. Periplus, 85: პონტოს ტრაპეზუნტი მაკროკეფალთა ქვეყანაში. Xen. An. V. 8, 22: ტრაპეზუნტი ელინური ქალაქი ევქსინის პონტოზე, სინოპელთა ახალშენი კოლხეთის ქვეყანაში. Tab Peut - Trapezunte. Herod. Hist. VI, 127: ტრაპეზუნტი ქალაქია არკადიაში.

Paus. Descr. Gr. 8,1 არკადიაში თავდაპირველად ცხოვრობდნენ პელაზგები, ქვეყანას „პელაზგია“ ერქვა. 8,27 უძველეს მოსახლეობას (პელაზგ-არკადიელებს) ჰქონდათ ქალაქები, ამ ქალაქთა შორის იყო არკადიის ტრაპეზუნტი. ტრაპეზუნტელები ამოწყვეტეს არკადიელებმა, მათი ნაწილი კი გადარჩა და მიაშურა პონტოს ტრაპეზუნტს. პონტოს ტრაპეზუნტის მცხოვრებლებმა გამოქვეულები მიიღეს, რადგან ეს უკანასკნელნი მათი მეტროპოლისიდან იყვნენ და მათ სახელს ატარებდნენ.

2. ამბოზს ქსენოფონტი] Xen. An. V, 8,22.

3. ფილესიოსი] ღმერთის სახელია. არიანესთან ჰქვია ჰერმესის შვილი-შვილს, სხვა ავტორებთან აპოლონის ზედმეტი სახელია. მაგ. Plin. NH 34, 8, 19. 75: Macrobian Sat. I, 17.

4. ქსენოფონტის მსგავსად] Xen. An. VI, 6. 22, 25.

5. ჰისოსი] ნავსადგური სურმენე, მდინარე კარა-დერე. Ptol. Georg. V, 7, 4 ჰისოსი კაპადოკიის ზღვაზეა, ფარნაკიასა და ტრაპიზონს შორის. Tab. Peut.-ზე აღნიშნულია ჰისოსი ტრაპეზ. შემდეგ (Hyssillime). ჰისოსი იხსენიებენ: Strab. Georg. II, 5, 24; XIV, 5, 19; Plin. NH, V, 91; VI, 214; Cic. ad Att. II, 10; V, 20; Xen. An. I, 2, 24; IV, 1; Diod. Sic. Biblioth. hist. XIV, 21, 1; Proc. Goth. VIII, 2. **Σοισισρύμεια.**

V საუკუნიდან ამ ნავსადგურს ჰისოსს აღარ უწოდებენ, არამედ „სუსარმიას“ (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 225).

ჰისოსი სპარსელების და ალექსანდრე მაკედონელის დროს ძლიერი და აყვავებული ქალაქი იყო (Xen. An, I, 2, 24; IV, 1; Diod. Sic. XVII, 32, 4) შემდეგ კი ძლიერ დაკნინდა და სტრაბონის ხანისათვის პატარა დაბად იქცა. ალექსანდრე მაკედონელის 333 წლის გამარჯვების შემდეგ ამ ადგილმა სახელი გაითქვა, მას ნიკოპოლისი დაარქვეს - Steph. Byz. Ethnica, s. v. Dionys. Perieg. 11 Ruge, Pauly – Wissowa, Real – Encycl. D. cl. Alt. Wiss.).

6. ჰომეროსი ამბოზს] Od. 469.

7. მოედინებოდა] Ath. Deipn. IV, p. 156 E.

8. ათენი] ფაზარი. ქალღმერთ ათენას ტამარს აქ სტეფანე ბიზანტიონელიც იხსენიებს. Proc. Goth. IV, 2; Pers. II, 29; Ptol. Georg. (A – thenis). ტომაშევი (RE s. V.) ამბობს, რომ ადგილი ათენი ახლაც არსებობს რიზეს მეზობლად და ის იხსენიება მოსე ხოჯრენელის გეოგრაფიაშიცო.

9. ბორეა] ჩრდილოეთის ქარის სახელია.

10. აპარკტია] ესეც ჩრდილოეთის ერთგვარი ქარის სახელია.

11. აფსაროსი] სარფი. სახელი „აფსაროსი“ არიანეს მიხედვით მედეას ძმისაგან, აფსირტესაგან მომდინარეობს. აფსაროსი აღნიშნულია Tab. Peut.-ზე (Apsaro). ამ ადგილს იხსენიებს: Pros. Goth. IV, 2, 14, 16; III, p, 320. პროკოპი კესარიელი ციხესიმაგრე აფსაროსს ლაზების ქვეყანაში ათავსებს, Plin. VI, 12,13 - მაკრონების ქვეყანაში ტრაპეზუნტიდან 150 სტადიონის დაშორებით. Ps. Scyl. 81: აფსაროსი მდინარეა კოლხეთში. St. Byz.: აფსაროსი, რომელსაც წინათ აფსირტი ერქვა. ანტიკური ავტორები: Ps. Scyl. 81; App. Mith. 101; Plin. VI, 13; Ptol. V, 6, 7 აფსაროსს უწოდებენ ჭოროხის იმ ტოტს, რომელზედაც გონია მდებარეობს. K-Muller-ით ჭოროხის დასავლეთი ტოტი მდ. აფსაროსია, აღმოსავლეთი კი - აკამფსისი (FHG V, 174).

ლ. ელნიცკის აზრით (Из исторической географии древней Колхиды. ВДИ. 1938. N 2/3. გვ. 308 – 311) ამ ადგილს ახლა გონია ჰქვია (ასევე. დიუბუა დე მონპერეც აფსაროსს ჭოროხის სამხრეთით შვიდი კილომეტრის დაშორებით ათავსებს გონიასთან).

პ. ინგოროყვა აფსარს. ციხე ქალაქს მდ. ჭოროხის სამხრეთით. თვლის თანამედროვე სარფად ბათუმის რაიონში (გ. მერჩულე. გვ 204).

აფსაროსი, როგორც სამხრეთ კოლხეთის, ანუ ჭანეთის მთავარი პუნქტი მოხსენებულია ანდრია მოციქულის დასავ. საქართველოში მოღვაწეობის აღმწერ ძეგლში (Scherman, Prophet. Vitae, fab- p. 153 sq. 156. პ. ინგოროყვა, დას. შრ. გვ. 223). აფსაროსი რომის იმპერიის საზღვრების დამცველ სიმაგრეთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. არიანეს მიხედვით იქ რომის ჯარის ხუთი კოჰორტი იდგა. არიანეს ამ ცნობას მხარს უჭერს CIL, X N1202 რომლის მიხედვით იმპ. ტრაიანეს დროს აფსაროსში იდგა პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს, დამცველი რომაელთა რაზმი.

12. კოჰორტი] ლეგიონის 0,1 ნაწილი, შედგება სამი მანიპულისაგან ან ექვსი ცენტურიისაგან

13. აფსირტე] მედეას ძმა რომელიც მედეამ აკუწა არგონავტების ლტოლვისას კოლხეთიდან. ოვიდიუს ნაზონი (Tristia III, 9) ქალ. ტომევისის (ახლანდ. კონსტანცას) სახელს აფსირტეს მოკვლას უკავშირებს (ბერძნული სიტყვა „ტომეინ!“ დაჭრას ნიშნავს), ასევე აპოლოდორე ათენელი (Bibloth. I, 9, 24) და სტეფანე ბიზანტიონელი.

14. ტიანა] ქრისტუპოლი. Const. Porph. De thematiobus, I, 2: მეორე კაპადოკიის ქალაქია. Basil. Sophen. **Ταξ. Πατρ.** მეორე კაპადოკიის ეპარქიის სამიტროპოლიტო ცენტრია. Stept. Byz.: თავდაპირველად იწოდებოდა „თიანად“, ბერების შეცვლის შედეგად მივიღეთ „ტიანა“, როგორც გადმოგვცემს არიანე. 1598 წელს არიანეს სქოლიოების გამომცემელი Jo. Guiliehuus Stukins-ი წერს, რომ ტიანა ტრაპეზუნტის ახლოს აღმოსავლეთითაა სამეზნე და რომ არიანე იძლევა იმ მხარის სახელს. რომელშიც თიანა-ტონსა შედიოდაო, სახელდობრ, „თიანიკეს“ (ჭანეთს. ნ. კ.). Steph. Byz.: „ტიენის“ - ქალაქი კოლხთა. მდ ტიენიდიდან აქვს სახელი მიღებული. Plin. NH, VI, 8; Strabo, XII, 2,7; 2,9; Ptol. V, 6, 18:

ქალაქი კაპადოკიაში. “ტიენის“ მხარეში.

15. ორესტე და პილადე] ორესტე ტროის ომში მონაწილე ბერძენთა ლაშქრის მთავარსარდლის, აგამემნონის ვაჟია. პილადე - ორესტეს განუყრელი მეგობარი.

16. მდ. ოფისი] ამ მდინარესთან ახლა არის ადგილი „ოფი“. არიანეს მიხედვით ეს მდინარე ჰყოფს კოლხების ადგილ-სამყოფელს „თიანიკისაგან“ (ჭანეთისაგან). Tab. peut.-ზე არის ეს პუნქტი აღნიშნული (Opiunte). Paus. Descr. Gr. VIII; 8. 4, 7: არკადიაშიცაა ამ სახელის მქონე მდინარე. ახლანდ. მდ. სულაკლი.

17. მდ. ფსიქროსი] კომენტატორთა მიხედვით ეს მდინარე დღევანდელ ვალტახი-სუს უდრის Ptol V, 9, 8: მდინარეა აზიის სარმატიაში. Pape (ლექსიკონი ბერძნულ საკუთარ სახელთა) კოლხების და ჭანების საზღვრებზე ათავსებს ამ მდინარეს. Anon. PPE 38 (GGM, I, გვ. 411): Arist. Hist. An. 3, 12.

18. მდ. კალოსპოტამოსი] მდ. კალოპოტამოს - დერე. Anon. 39 (GGM, I, გვ. 411)

19. მდ. რიდიოსი] მდ. როხის-სუ. Ptol. V, 9, 8: ნავსადგური რედიოსი ათენსა და პიტეიუნტს შორის. Strabo, VII, 5, 7; Ps. Scyl. 84; Tab. Peut.: Reila. C. Muller-ი (GGM. I. P. 374, 2) რიზეს თვლის ქ. ბექირიადად ბექირთა ქვეყანაში. Anon. 39 (GGM. I. გვ. 411). Proc. BP II, 29: ქალაქია ლაზიკეში, ტრაპეზუნტიდან ორი დღის სავალითაა დაშორებული. Proc. De aedif. III, 7: ტრაპეზუნტელთა საზღვრებს იქით სოფელი რიზეა; იუსტინიანემ იგი განაახლა და ზღუდე-სიმაგრე შემოავლო. Agath. V, 1: რიზე ქალაქია. Basil. Sophen. Notitia, III: რიზეს საეპისკოპოსო კათედრა შედის პოლემონის პონტოს ეპარქიაში Notitia, IV: რიზეს სამიტროპოლიტო. Not. X: რიზეს საარქიეპისკოპოსო (იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა IV, 2, გვ. 192, ტაბულა).

20. მდ. ასკუროსი] ასკოროსი--Anon. 39 (GGM. I, გვ. 411). Ptol. V, 13, 10. გეოგრაფმა კიპერტმა სწორად შეამჩნია, რომ სტადიონების ცნობილი რაოდენობა მდ. ასკუროსის სალო-კალიზაციოდ მიღებული (30 სტადიონი კალოსიდან და 60 -- ასკუროსიდან ადიენამდე) არაა სწორი (RE, Tomaschek)

21. მდ. ადიენი] მდ. ყიბლედალ-დერე. Ps. Scyl. 83 ხმარობს სახელს „ოდიენიოსს“. Tab. Peut.: Ardineo. Anon. 39 ეთანხმება არიანეს მანძილებში.

22. მდ. ძაგატისი] Anon. 40 (GGM, I, გვ. 411). ВДИ-ით ეს მდინარე დღევანდელი სუხა-დერეა.

23. მდ. პრიტანიდი] არიანეს მიხედვით ამ მდინარესთან იყო მაკრონთა და ჰენიოხთა მეფის, ანქიალეს რეზიდენცია. Ps. Scyl. 83: პორდანისი (დღევანდ. ფურტუნ-სუ. იხ. ВДИ, 1948, N1, გვ. 267).. თუ მდინაოე პრიტანეს მდებარეობა ათენიდან დაშორებულობის მანძილის-მიხედვით ვივარაუდეთ, მაშინ მაკრონების და ჰენიოხების მეფის, ანქიალეს სასახლე დაახლოებით ახლანდელი ვიწეს მახლობლად უნდა ვიგულისხმოთ. თუ ეს მცდარი არაა. მაშინ მდ. ოფითგან მოყოლებული ჭანების მიწა-წყალი ყოფილა, ხოლო ვიწეს ჩრდილო აღმოსავლეთით მაკრონების და ჰენიოხების თემი ყოფილა... ანონიმიდან ირკვევა. რომ მაკრონებისა

და ჰენიოხების მიწაწყალი მდინარე ოფისა და არქაბეს წყლის ხეობათა შორის ყოფილა მოქცეული და დასავლეთ საზღვრად ოფის ხეობა, ხოლო აღმ. საზღვრად არქაბეს ხეობა უნდა მივიჩნიოთ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, 1950, გვ. 264 - 5).

24. ანქიალე] მაკრონთა და ჰენიოხთა მეფე. Dio Cass. Hist Rom. LXVIII, 19.

25. მდ პიქსიტე] Plin. VI. 12: პიქსიტე აფსაროსის დასავლეთითაა. Ps. Scyl. 82 - არია-
ნე და სკილაქსი თანაბრად ათავსებენ ორ მდინარეს - პრიტანისსა და აფსაროსს შორის -
პიქსიტესა და არქაბისს (GGM I, 63).

26. მდ. არქაბისი] არხავე. Ps. Scyl. 82: მდ. არქაბისი, ბიძერების ქვეყანაში. Ptol. V, 6, 6:
არკადისი. Tab. Peut.: აბგაბესი.; (Abgabes). Anon. 42 (GGM I, gv. 412): არქაბისიდან მდ. ოფისა
მდე წინათ ეკქეირიებად წოდებული ტომი ბინადრობდა, ახლა კი მაქელონები და ჰენიოხე-
ბი. Pros.Goth. VIII, 2: არქაბე ქალაქი ევქსინის პონტოს ნაპირას. მდინარის თანამედროვე სა-
ხელი არხავეს-სუ (ВДИ, 1948, N 1, გვ. 268).

27. მდ. აკამფსისი] მდ. ჭოროხი. Plin, I, 12. კლავდი პტოლემე აფსაროსის შემდეგ სებას-
ტოპოლისს ათავსებს. პროკოპი ამ მდინარეს უწოდებს ბოას (BG VIII, 2) ბოა, მისი აზრით, იწ-
ყება **Τζαυιχί-ს** მთებიდან და ამას შემდეგ რაც გამოივლის მრავალ ქალას და შემოუვლის
მთაგორიან ადგილებს, ლაზთა სოფლების მახლობლად ჩაივლის და ერთვის ევქსინის პონ-
ტოს. აქ მას უკვე ბოასი აღარ ეწოდება... მას, სხვათა შორის.. ადგილობრივი მცხოვრებნი აკა-
მფსისს უწოდებენ... Proc. BP. II, 29: მდინარე ბოასი გამოდის სადღაც ჭანეთის საზღვრების
მახლობლად არმენიელთა ადგილებში... მის შემდეგ რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სა-
დაც კავკასიისა და იბერიის საზღვრები, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება. ის იზრ-
დება ძალიან და ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფაზისად წოდებული განაგრძობს მდინარეო-
ბას ნაოსნობისათვის გამოსადეგი, ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე (გეორგიკა, II, 71-72).
აკამფსისის დასავლეთი ტოტი აფსაროსია სვიდა: აკამფსისი ქალაქის სახელია. მდინარეცაა
მახელონების ქვეყანაში. Const. Porph. De adm. Imp. 46, 211: აკამფსისის მეციხოვნე რაზმი. XII ს-
დან კი იმ ადგილას, სადაც ძველ წყაროებში აკამფსისის ციხეა მოთავსებული იხსენიება გო-
ნია (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური. მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედ-
ინსტ. შრ. X, 1950 - 51. გვ. 21). ტ ო მ ა შ ე კ ი ს (RE) აზრით სახელი „ჭოროხი“ ადგილობ-
რივ ენებზე ნიშნავს “მოუღრეკელს”, რადგან ეს მდინარე ზღვას ერთვის დიდი სიძლიერით,
სისწრაფით.

28. მდ. ბათისი] ყოროლის წყალი. Plin. VI, 12; Scyl. 81. ამ მდინარესთან მოთავსე-
ბულ ნავსადგურს Tab. Peut. აღნიშნავს სახელით Portus altus (უფრო ზუსტად Portualtus):
ღრმა ნავსადგური. იტალიურ რუკებზე ჰქვია La Vati, გონიას ჩრდილოეთით.

მდინარე „**ბათუს**“ ჭოროხის ჩრდილოეთით არის 12 - 13 კილომეტრის მანძილზე და
ეს შეიძლება იყოს ყოროლის წყალი (არიანეს 75 სტადიონი = 12 - 13 კმ-ს) ეს უკანასკნელი
მდინარე ჭოროხის შესართავს აქ ნამდვილად ამდენითაა დაშორებული (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი

ლი ანტ. მას. ბათუმის ისტ., გვ. 19). Tab. Peut. არიანეს და პლინიუსს უჭერს მხარს. მასზე ბათისი მოთავსებულია აფსაროსის ჩრდილოეთით და ისიდის სამხრეთით. ს. ს ყ ა უ ხ ჩ ი-შ ვ ი ლ ი უშვებს შესაძლებლობას პორტის არსებობისაც მდ. ბათისთან, ამის საბუთად მას მოაქვს Tab. Peut - ს altus (დას. შრ., გვ. 23).

29. მდ. აკინასე] მდ. კინტრიში. ტომაშევი „ხინოს წყლად“ თვლის (RE) ელნიცკის, დიუბუა დე მონპერეს და მიულერის აზრითაც კინტრიშია აკინასე. სვიდა, ამბობს, რომ „აკინასის“ ადგილის სახელიაოი Tab. Peut. Portualtus -ს (ბათუმის) შემდეგ ათავსებს apasidam-ს.

30. მდ. ისისი] ნატანები. Ps. Scyl. 81: ირისი. სვიდა: ირისი Anon. 42; Plin. VI, 12; Tab. Peut. X, 5: არის აღნიშნული, რაც უნდა წავიკითხოთ ad Isidem, ე. ი. ისისი (Ruge, RE IX, 2132)

31. მდ. მოგროსი.] სუფსა. Plin. VI, 12, Tab. Pent. ნიგროსს (Nigro) უწოდებს.

32. მდ. ფაზისი] მდ. რიონი. Tab. Peut. Phasin. ძველ მწერალთა მიერ მრავალჯერ მოხსენებული მდ. ფაზისი მდ. რიონია. აქ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა ქ. ფაზისი (დღევანდ. ფოთი). ქალაქის მდებარეობის დაწვრილებითი აღწერა აქვს მოცემული ნ. ლ ო მ ო უ რ ს სტატიაში: Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, N4. გვ. 96 და შ.

სტატიაში ნათქვამია, რომ ყველა სპეციალური ნაშრომის განხილვა გვარწმუნებს, რომ რიონის შესართავი ძველად ცოტათი უფრო აღმოსავლეთით უნდა ვიგულისხმოთ. ამასთან დაკავშირებინთ ქ. ფაზისი დღევანდელ ფოთზე ცოტა უფრო აღმოსავლეთით უნდა ვეძიოთ იქ, სადაც დარჩენილია "ნაჯიხური", ციხის ნაშთი, ყოფილი სიმაგრე (გვ. 99).

33. ტიტარესი] თესალიის მდინარე.

34. პენეოსი] თესალიის მდინარე.

35. ფასიანე ქალღმერთი] მატრიარქატის ხანიდან შემორჩენილი ღვთაება. მცირე აზიის ქალღმერთი, რეა-კიბელე - ღმერთთა დედა. ათენის მეტრონში. ღმერთთა დედის ტაძარში, იყო ფიდისის მიერ შესრულებული ქანდაკება ამ ღვთაებისა. რეა-კიბელე აღმოსავლური ღვთაებაა. საერთოდ დაკავშირებულია კაბირების (მჭედელთა კოლექტივის) კულტთან. ერთ-ერთი კაბირი პრომეთე იყო (Paus. Descr. Gr. IX. 25. 6). კიბელეს შავი ზღვის სანაპიროზეც სცემდნენ თაყვანს. არიანეს ცნობა მიგვითითებს იმაზე, რომ ქართველებს და მცირე აზიის ავტოხთონურ მოსახლეობას ერთი და იგივე სალოცავი ჰქონდათ, რაც ამ ტომების ერთგვარ სიახლოვე-ნათესაობაზე უნდა ლაპარაკობდეს.

35a. არგოს] ცნობილი ხომალდი, რომლითაც იმოგზაურეს არგონავტებმა.

36. მდ. ქარიენტი] მდ. ხობი -- Tab. Peut. წერს კარიენტს (Cariente); Plin. VI, 14: ხარიენ; Ptol. V, 10,2: ხარიუსტოს; Ps. Scyl. 81: არიოს. ტომაშევის (RE) მიხედვით ქარიენტის ჩრდილოეთით მიმდინარეობს ხობი. Strabo, XI. 2, 18: ხარის. ს. ჯანაშიას ქარიენტი მდ. ცივად მიაჩნდა (ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937). ცივი პატარა მდინარეა, ქარიენტს კი სანაოსნოს უწოდებს არიანე. გარდა ამისა არიანეს სტადიონები არ ემთხვევა ცივამდე მანძილს. ლ. ელ-

ნიცკი მანძილების გამოანგარიშების შედეგად ასკვნის, რომ ქარიენტი ხობი უნდა იყოს (ВДИ, 1938, N2/3. გვ. 315).

36a. მათ შორის] ე. ი. ფაზისა და ქარიენტს შორის.

37. ქობოსი] ენგური Plin. VI, 14: ქობოსი კავკასიონიდან სვანების მიწა-წყალზე მიედინება მდ. ქარიენტსა და როას შორის. Strabo, XI, 2, 19: სვანეთის მდინარეებში ოქროა. Ps. Scyl. 81: ხორსო. Tab. Peut. – Chobus.

„რიონის ჩრდილოეთით დღევანდელ რუკებზე ორი მნიშვნელოვანი მდინარეა: ხობი და ენგური. ხობს უთანასწორობდნენ სახელს „ქობოსს“ ფონეტიკური სიახლოვის გამო. იმის მიუხედავად, რომ პირველის მანძილი რიონიდან 17- 18 კილომეტრს არ სცილდება. ქარიენტი მაშინ სადღაც რიონსა და ხობს შორის უნდა გვემდებნა, სადაც თანამედროვე რუკებზე არავითარი მდინარე არ არსებობს... ამ ადგილთა ჩრდილოეთით მყოფი მდინარეების მდებარეობის გათვალისწინების შემდეგ ცხადია, რომ ქარიენტი ხობი უნდა იყოს და ქობოსი-ენგური" (Л. А. Ельницкий, ВДИ, 1938, N2/3, გვ. 314 - 315). ფ. ბრუნს კი ქობოსი ხობად მიაჩნია, მაგრამ მანძილებში განსხვავება აფიქრებს (Черноморье, II, Од. 1880, გვ. 249). ქობო-სის შესახებ ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული М. Ивашенко -ს 1926 წ. სტატიაში: „К вопросу о местоположении Диоскурии древних“. ნ. ლომოურს არიანეს მიერ რიონის შემდეგ ქობოსზე გაჩერება სამხედრო თუ სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით გამართლებულად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მდინარეში ვიგულისხმებთ ენგურს. სტრატეგიული მნიშვნელობა რიონის შემდეგ დიდ მდინარე ენგურს უნდა ჰქონოდა, ხობი კი პატარა და ნაკლებმნიშვნელოვანი მდინარე იყო (ВДИ, 1957, N 4, გვ. 100 – 101).

38. სინგამე] ერის წყალი - Plin. IV, 14: სიგანია. Ptol. V, 9,2 : დიგანეონ დასახლებული პუნქტია. Anon. 42, 6 (FHG, V, გვ. 176): დიგანისი. Tab. Peut. – Sicanabus. ქალაქი ზიგანეონი იხსენიება ბასილ სოფენელის მიერ (IX ს.) შედგენილ ბიზანტიის იმპერიის საეკლესიო კათედრათა ეკთესისებში. აქ აღნიშნულია, რომ ქ. ზიგანეონის ეპისკოპატი შედიოდა ლაზიკის მიტროპოლიაში (გეორგიკა, IV, 2, გვ. 192a).

XI საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის სქოლიოში (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი A, ხელნ. N 97, გვ. 436) სწერია: გუდაყუასა **იტყვს** ზიღანეოსადო (იხ. გეორგიკა IV, 2, 415). ეს დღევანდელი სოფელი გუდავაა (ნ. ბერძენიშვილი: ენიმკის მოამბე, X, 299) ერის წყალის ნაპირზე მოთავსებული, სადაც, „ქართლის ცხოვრების" მოწმობით მართლაც იყო საეპისკოპოზო კათედრა (ნ. ლომოური, ВДИ, 1947, N4, გვ. 102).

39. მდ. ტარსურა] მდინარე მოქვის წყალი. Anon, XLII, 6. (FHG, V, გვ. 176): „მოხეც“ ჰქვია ტარსურას. Plin. VI, 14: თერზოს Tab. Peut.: ტასსიროს (Tassiros). ВДИ-ის აზრით პტოლემეს რუკაზე მდ. ტარსურას ადგილას მოთავსებულია მდინარე კიანეოსი (ВДИ. 1948, N2, გვ. 250).

40. მდ. ჰიპოსი] კოდორი. Strabo, XI, 3, 4. Plin. VI, 13: ჰიპოსი ფაზისს უერთდება მაგრამ არიანეს აღწერილობით ჰიპოსთან ზღვის ნაპირი დასავლეთით იხრება. ასეთი სანაპიროს ხაზი კი კოდორის შესართავთან გვხვდება. Ptol. V, 10, 2. Steph. Byz. - *Αἶα* კოლხთა ქალაქი, აშენებულია აიეტის მიერ, ზღვას დაშორებულია სამასი სტადიონით. მას ჩამოუდის ორი მდინარე: ჰიპოსი და კვანეოსი. Proc. Goth. VIII, 14: ლაზიკის ერთ-ერთი ქალაქი, მოხერესი არქეოპოლისიდან ერთი დღის სავალია. აქ მრავალი სოფელია. კოლხეთის საუკეთესო მხარეა. ღვინოს ამზადებენ და მრავალი კარგი ნაყოფი იზრდება, რაც არაა არსად დანარჩენ ლაზიკეში

ს. ყ უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს და ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს აზრით მოხერსი ახლანდელ ქვემო იმერეთს უნდა უდრიდეს, ცხენის წყალსა და რინს შუა მდებარე ტერიტორიას უნდა შეიცავდეს. სამტრედიის რაიონში, რიონის მარცხენა მხარეს ახლაცაა ადგილი მუხური და მუხურის ციხე (ნ. ლომოური, ВДИ, 1957, N4. გვ. 108). Proc. BP II, 29 ასახელებს ქ. მოხერესს. პტოლემეს მეხლესი - მეხრესოსი ქალაქი უნდა იყოს. Proc. Goth. IV, 1,6: ლაზეთის ლანდშაფტზე, მოხერესზე მიმდინარეობს ჰიპოსი.

41. მდ. ასტელეფი] მდ. პატარა კოდორი. Plin. VI, 14; Tab. Peut.: plin. VI, 14; T:1b- Peut.: სტემპეპ (Stempep). ფ. ბრუნი (Черноморье II, 248, 1880 წ.). ასტელეფს ათანაბრებს მდინარე სკურჩასთან. არიანეს სკურჩა არ ექნება დასახელებული. რადგან ის მეტად უმნიშვნელო მდინარეა და კოდორის გვერდით არაა სახსენებელი. აქ, უბრალოდ, კოდორის ერთ ტოტთან გვაქვს საქმე.

42. სებასტოპოლისი, დიოსკურიადა] სოხუმი. Plin. VI, 15: დიოსკურიადა კოლხთა ქალაქი...300 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომია ამ ქალაქში რომაელები აქ საქმეებს აწარმოებენ 130 თარჯიმნის საშუალებით. Proc. Deaed. Just III, 7: სებასტოპოლისი სიმაგრე და ბანაკია კედლითა და ციხით. Tab Peut.: Sebastopolis. არიანეს მიხედვით (PPE, 11) სებასტოპოლისი სანიგების მიწაზე იმყოფება. სოხუმის სანაპიროზე აღმოჩნდა ლათინური წარწერის ფრაგმენტი. სადაც იხსენიება იმპერატორ ადრიანეს ლეგატი ფლავიუს არიანე (ამ წარწერის გამოცემების შესახებ იხ. თავი I: „ფლავიუს არიანე და მისი პერიპლუსი) Ptol. V. 9, 2: სებასტოპოლისი მდინარე ჰიპოსსა და კარტერონ ტეიხოსს შორისაა.

ანდრია მოციქულის დაბადების შესახებ თხზულებაში წერია:

„მოციქული ანდრია სიმონ კანანელი მოვიდნენ ქალაქ სებასტში“ (საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი A - 95; A - 144). ერთ ერთ ხელნაწერს მოსდევს სიტყვები, „რომელსაც ახლა ცხუმი ეწოდება“ (ფონდი A - 395, გვ. 83; Жордания, Описание I, 391: „который называется Охуми“ (= Цхуми). ნ.ლომოური, ВДИ, 1957, N4, გვ. 104, შენიშვნა 31).

არქეოლოგიური მასალით მტკიცდება, რომ დიოსკურია - სებასტოპოლისი - სოხუმი ერთსა და იმავე ადგილას ყოფილა. სებასტოპოლისამდე არიანე თავისი ფეხით იარა: „ციხე-სიმაგრე დიოსკურია წარმოადგენს რომის სამფლობელოს უკიდურეს პუნქტს პონტოს შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს“ (თ. 17). დიოსკურიიდან დაწყებული სანაპიროს აღწერა კი არიანეს მოცემული აქვს სხვისი ნაამბობით, ან ძველი წყაროების მიხედვით.

43. როგორც ქსენოფონტი ამბობს] Xen. An. IV, 8, 22; V, 2, I.

44. კოლხები] ასირიულ წყაროებში (XII ს. ძვ. წ. ა.) შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოთავსებულ ქვეყანას ეწოდებოდა „გილხი, „კილხი“. ურარტულ წყაროებში ეს ქვეყანა „კულხაა“ (Г. Меликишвили, Наири – Урарту, Тб. 1954, გვ. 28). ძველი წ. ა. VIII ს-ში „კულხა“ იყო სამხრ. აღმ. საქართველოს ტომების ძლიერი გაერთიანება. 744 – 41წ. ურარტუს მეფემ, სარდურ II-მ ილაშქრა კულხაზე. კულხას მცხოვრებნი კარგი მეტალურგები ყოფილან. სარდურ II-მ აქ რკინის ბეჭედი გააკეთებინა. VIII ს-ში. ძვ. ა. კულხა ძლიერი იყო, მან დიაუხის გაერთიანების მრავალი რაიონი დაიპყრო (გვ. 412- 13). VII ს-ში ბერძენ კოლონისტებს, შავი ზღვის აღმოსავლეთ სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსულთ, აქ დახვდათ კოლხები (ძველი კულხები) და ქვეყანას „კოლხიდა“ დაერქვა Herod. II, 104: მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზისამდე და კოლხების სამფლობელოებამდე ოცდაათი დღის სავალია მსუბუქად ჩაცმული ქვეითისათვის. კოლხეთიდან ახლოა მიდია, მათ. შორის ცხოვრობენ მხოლოდ სასპერები. Herod. IV, 34: სპარსელები ცხოვრობენ სამხრეთის ზღვამდე მეწამულად წოდებულამდე (სპარსეთის უბე). მათ ზემო ჩრდილოეთით, მიდიელები, მიდიელების ზემოთ - სასპერები. სასპერების ზემოთ--კოლხები ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც უერთდება მდ. ფაზისი. კოლხები ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდე ვერ აღწევენ. III, 97.: აქემენიდების სპარსეთს ნებაყოფლობით ძღვენს უგზავნიდნენ ოთხ წელიწადში ერთხელ კოლხები და მათი მეზობლები კავკასიონის ქედამდე. II. 104: თერმოდონტისა და მდ. პართენიოსის სანახებში მცხოვრებ ასურებს წინადაცვეთის ჩვეულება კოლხებისაგან შეუთვისებიათ. კოლხები ეგვიპტელები უნდა იყვნენ. ჰეროდოტეს და მისწინა ხანებში კოლხები სამხრეთით მდ. თერმოდონტამდე იყვნენ გავრცელებულნი.

სვიდა ამბობს: „თერმოდონტი მდინარეა კოლხეთში“. ქსენოფონტის მიხედვით კი (IV, 8, 22-24) კოლხები ტრაპიზონთან ცხოვრობდნენ, მათ აღმოსავლეთით მაკრონები იყვნენ. ქსენოფონტის ხანში თერმოდონტზე ხალიბნი ჩანან.

არგონავტთა თქმულებაში და პინდარესა და ჰეროდოტეს დროს რიონის აუზშიაც კოლხები იყვნენ. „რიონის მიწა-წყლის კოლხეთს“ ტერიტორიის დიდი სივრცისა და სხვადასხვა ტომთა ბინადრობაზე უცილობელი ცნობის არსებობის გამოც, უეჭველია ტოგადი პოლიტიკური ჰეგემონიის წყალობით გაჩენილი მნიშვნელობა ჰქონდა. ტრაპიზონის სანახების კოლხეთს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ ვიწრო. ტომობრივი მნიშვნელობა ჰქონდა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, 1950, გვ. 11-12).

Ps. Scyl. 81 – 82: კოლხები მოსახლეობენ დიოსკურიდან აფსაროსამდე. Strabo: X LI 3, 17: კოლხები ტრაპიზონის აღმოსავლეთით არიან. Arr. PPE, 11: კოლხები ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდინარე ოფისამდე აღწევენ. Ptol. V. 9,1,5 - პტოლემესთან კოლხეთის მოსახლეობაში შემავალ ტომებში კოლხები არ მოიხსენებიან ამიტომ პტოლომეს გეოგრაფიაში კოლხეთის სახელის არსებობა წარსულის გეოგრაფიულ-პოლიტიკური ვითარების ანარეკლად უნდა იქნეს მიჩნეული (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბ. 1950, გვ. 13). კოლხეთი მთლიანი პოლ.-გეოგრაფიული ერთეულია. რომელიც კავკა-

სიონის ქედითგან მოყოლებული ტრაპიზონამდე და ტრაპიზონს იქით შავი ზღვის მთელ სანაპიროზეა გადაჭიმული. II ს-ში, არიანეს დროს (პტოლემეს დროსაც) ასეთი დიდი და მთლიანი პოლ.-გეოგრაფიული ერთეული არარ არსებობს. რიონის აუზის არეში კოლხების სახელის ხსენებაც კი აღარაა (იქვე).

Herod. 1, 2; VII, 193, 197: კოლხეთი აია, გაია. Strabo, I, 45: ფაზისთან არის ქალაქი აია. ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონის შემდგენელი Pape წერს: *Αἶα* - altmythischer Name für des Land Kolchis. როგორც ირკვევა, პაპეს ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს: „აია“ კოლხეთის ქალაქის სახელი კი არაა, არამედ კოლხეთის უძველესი სახელია. ამას წერს აპოლონიოს როდოსელი II, 401: ქუთაისი, ქალაქი აიასი - და სხვა ავტორებიც

St. Byz.: ფაზისი აიას ქალაქია კოლხების ქვეყანაში. Herod. II, 104 – 105; D. Per. Descr. Hab. M. 689: კოლხები ეგვიპტელები არიან. Ap. Rhod. Arg. III, 212; Arr. An. 4, 15, 4: კოლხეთში მრავალი ტომი ცხოვრობს, არსებობს ამიტომ *Κόλχαν ἔθνη ἂν φησῶ*.

ფს. სკილაქსის მიერ კოლხებსა და ტრაპიზონელთა შორის მოთავსებულ ტომებს: ბიძერებს, ეკქერიებს, ბექირებს, მაკროკეფალებს აპოლონიოს როდოსელი უწოდებს კოლხების ტომებს (*ἔθνη Κόλχαν*) Diod. Sic. 1, 28, 55: კოლხები მოსხები არიან. Hecat. fr: 185, 185, 188 (SC, I, (80, I, 1-3): კოლხი მესხია, კორაქსია, კოლაა. St. Byz.: კოლხიითი მახლობლად ქალდეველების ტომია. მოსხები კოლხთა ტომია. CIG, IV, 823 - *Χόλχος = Κόλχος*. ანდრია მოციქულის აღერაში სახელი „კოლხნი“ არ იხმარება (Schermann, Prophet. Vitie წაბ. P. 153. Sq. 156). ეპიფანე კონსტანტინეპოლისის თხზულებაში (VIII ს. ახ. წ. ა.): „ანდრია მივიდა ტრაპეზუნტში ლაზიკის ქალაქში (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე) თბილისი 195,) გვ. 225). კოლხთა ტომის ძლიერების დაცემის შემდეგ ქვეყანაში გაბატონდნენ ლაზები Proc. Goth. VIII, 1: ზოგიერთი ამბობს, რომ ტრაპეზუნტელთა მოსაზღვრენი არიან სანები, რომელთაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზებს რომ ეძახიანო... კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფასისის მდინარეზე მოსახლეობენ. ხოლო სახელი „კოლხები“ როგორც სხვა მრავალი ტომებისა, ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა. Agath. De regno Just. II. 18: ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის. თუ კი ის გაეცნობა ფაზისის. კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას.

Anon, 42, 7 (FHG, V, გვ. 177): დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდ. აფსაროსამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვა ლაზები. Theoph. Simoc. Hist. VI, 17: კოლხები, რომელთაც ჩვეულებრივ ეწოდებოდა ლაზებს ეძახიან.

45. დრილებს უწოდებს ქსენოფონტი] Xen. An. V, 2,1. არიანე დრილებს სანებად - ჭანებად მიიჩნევს.

46. სანები] ჭანები. Strabo, XII, 3, 18: ნიუხე. XII, პლ 18: ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობდნენ ტიბარენები, ქალდეები და სანები, რომელთაც უწინ უწოდებდნენ მაკრონებს. St. Byz.: მაკრონები, რომელთაც ახლა სანები ეწოდებათ. Eust.

Comm. S.v. D. Oer. 765: სანები მაკრონები არიან. Proc. Goth. 4, 1 **Σάνοι**. Phot. Myriob.: სნების ქვეყანა ჭანიკედ (**Τζανυιαή**-დ) იწოდება. Proc. BG VIII, 1, De aed. III, 6.: სანები ჭანები არიან, მთებში ცხოვრობდნენ, ყაჩაღურ ცხოვრებას ეწეოდნენ და უმეფონი იყვნენ (**ἀπτογῆμοι καὶ ἀναρχοι**).

სატომო სახელწოდება ჭანი (**Τζάνοι**) გვიანი ხანის ბერძნულ წყაროებში უპირატესად ეკუთვნის ტრაპიზონის მხარეში (პონტოს მთიანეთში) მოსახლე მთიელებს.

Plin, VI, 14 სამეგრელოში სანებს ასახელებს. იპოლიტე პორტელი ამბობს: სანები, რომელნიც სანიკებად იწოდებიან და ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის აბსარის გასავლელი და სებასტოპოლისი და ჰისულიმენი და მდინარე ფასიდი (SC, II, 446 - 7).

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს აზრით (თუბალ -თაბალი, ტიბარენი, იბერი: „ენიმკის მოამბე“, 1937, 1, გვ. 191) იპოლიტე სანებში კოლხეთის ძირითად მოსახლეობას გულისხმობს და მას „სანიკებსაც“ უწოდებს. ასევე ევსევი კესარიელიც: სანები სანიგებადაც იწოდებიან, რომელნიც პონტომდე ვრცელდებიან, სადაც არის შეერთება აფსაროსისა, სებასტოპოლისა და მდ. ფაზისისა, ვიდრე ტრაკეზუნტამდე (SC, I, 668). სან-ჭან ძირი გვხვდება გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებებში (ს. ჯანაშია, დას. შრ., გვ. 197 და შემდ.).

Agath. V, 1: ჭანები ცხოვრობენ ევქსინის პონტოს სამხრეთით ქალაქ ტრაპეზუნტის ქვემოთ; თუმცა ეს ჭანები ძველითგანვე, რომაელებთან დაზავებულნი და მათი ქვეშევრდომნი იყვნენ, მაგრამ მაშინ მათი ერთი ნაწილი წინანდელ მშვიდობიან წესებს იცავდა და სრულიადაც არ ფიქრობდა ურჩობას, უმეტესი მათგანი კი, შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდა და ყაჩაღობას მისდევდა, დათარეშობდა პონტოს გასწვრივ მდებარე სოფლებში.

ბერძენ მწერლებთან დადასტურებულია უმეტესად ჭანების სახელის ორგვარი დაწერა; **Σάνοι** და **Τζάνοι**. არიანე მესამე ვარიანტს: **Θιανυιαή** (ჭანეთი). არიანეს სქოლიოების გამომცემელი Stukins-ი გვთავაზობს მეოთხე ვარიანტს- **Τιαν-υιαή, Τυανυιαή**-ს.

47. მაკრონები] ივ. ჯავახიშვილის აზრით მაკრონები იგივე მეგრელები არიან (ქართველი ერის ისტორია, 1913 წლის გამოცემა, გვ. 38; 1951 წლის გამოცემა, ტ. I, გვ. 406). Anon. 42, 8 (FHG, V, გვ. 177): მაკრონები-მაქელონები. მაკრონთა სახელი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე I საუკუნის დამლევისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე, სტრაბონის დროს (XII, 3, 17) უკვე გამქრალი ყოფილა. სტრაბონს მხოლოდ ის-ღა აქვს ნათქვამი, რომ ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზემოთ ტიბარენნი: ხალდები, ჭანები ბინადრობენ, რომელთაც წინათ მაკრონები ეწოდებოდათო (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ. I, 1950, გვ. 263). Herod, II, 104 – 7: მაკრონები სირიელების, კაბადოკიელების მოსაზღვრენი არიან. მათი მეზობლები არიან მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები, მარდები.

Xen. An. IV, 8, 8: კოლხეთის ტრაპიზონთან ცხოვრობენ მათ აღმოსავლეთით მაკრონები არიან. კოლხეთის საზღვარი სამი დღის სავალზეა მიკრონთა ქვეყნიდან. Schol. Ap. Rhod. I, 1024: მაკრონები მაკროკეფალები არიან. Anon. 37 (GGM, I, გვ. 410): მაკრონები

მაკროკეფალებია. ზოგი ავტორი მაკრონებს მაკროპოგონებს უწოდებს (Strabo, XI, 2, 1) Hecat. სტეფანე ბიზანტიონელთან: მაკრონებს სანები ეწოდებათ Strabo, XII, 3, 18; Xen. An. IV, 8, 1 – 7; 8,25; Ap. Rhod. II, 396, 1245; Schol. Ap. Rh. I, 1024; Orph. Arg. 747; Diod. Sic. XIV, 29.

Plin. VI, II: მაკროკეფალები ცხოვრობენ ტიბარენების და მოსინიკების შემდეგ, მაქორონები ბეჩირთა და ბიძერთა შემდეგ. Eust. D. Per. 765. Anon. XLII, 8 (FHG, V, გვ. 177): მაქელონები, და ჰენიოხები. აპოლონის როდოსელით მაკრონები ცხოვრობდნენ პროპონტიდაში დოლიონების მეზობლად, ამ მაკრონებს პოეტი მაკრომლებს უწოდებს და პელაზგური წარმოშობის. ტომად თვლის: Μακρινών Πελασγικὸν ἄρεα (1,1023). სტეფანე ბიზანტიონელი და აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი (I,1024) მაკრონებს ევბეიდან გადმოსახლებულად თვლიან. ევბეას კი მაკრისი ეწოდებოდა (არგონავტიკა, ა. ურუშაძის თარგმანი. 1948.. გვ. 223).

48. ჰენიოხები] დასავლეთ საქართველოში მოსახლე ერთ-ერთი უძველესი ტომი. Heracl. Pont. De. Reb. publ. XVIII: FHG. II, 218: ფაზისის გაყოფებით თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჰენიოხები, შემდეგ კი - მილეტელები. ჰენიოხები IX -VIII საუკუნეებში გავრცელებულნი ყოფილან შავი ზღვის აღმ. სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. V-IV სს-ში მოსახლეობდნენ კავკასიონის ქედის უკიდურეს ჩრდილო კალთებთან მდებარე ზღვის სანაპირო ვიწრო ზოლში ბიჭვინთამდე სოჭისა და ადლერის რაიონებში (მ. ი ნ ა ძ ე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, (ჰენიოხები), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955: გვ. 16).

Plin. VI, 12: ჰენიოხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არიან მდ. პიქსიტესთან (In ora ante Trapezunta flumen Pyxites, ultra vero gens Sannorum Heniochorum): Plin. VI, 12: მთების უკან იბერიაა, სანაპიროზე კი ჰენიოხები (მოსახლეობენ). Plin VI, 14: ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ დასანაპიროზე არიან ჰენიოხები. სანიკების ტომი სებასტოპოლისთანაა, მათ შემდეგ მრავალსახელიან ჰენიოხთა ტომებია. Strabo, XI, 2, 14 (არტემიდორე ეფესელი) შავი ზღვის ჩრდილო - აღმოსავლეთ სანაპიროზე აქელები იყვნენ. შემდეგ ჯიქები (ძიგები), მერე ჰენიოხები, მათ სამხრეთით კი ბიჭვინთა იყო. II, 5, 31; XI, 2, Strabo, XI, 2, 12: სინდიკესა და გოგრიპიას შემდეგ ზღვასთან არის აქეელთა, ჯიქთა და ჰენიოხთა სანაპირო. ჰენიოხები მეკობრეები არიან, მათ აქვთ ნავეები - კამარები (თალიანი ნავეები). ისინი ყაჩაღობენ. XI 2, 13: ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავთ. Ovid. Naso, Ep. Ex P. IV, 10, 25 – 30: ჰენიოხები ყაჩაღები არიან [ჩრდილო-აღმ. სანაპიროზე მოსახლეობენ], თავს ესხმიან ქ. ტომოსს [დღევანდელ კონსტანცას შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე]. Arr.PPE, 11: ჰენიოხები სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არიან. ისინი საგვარეულო წყობილებიდან გამოსულან, ყავთ უკვე ერთი მეფე მაკრონებთან ერთად].

ჰენიოხი ნიშნავს „მეეტლეს“ ჰენიოხებმა სახელი მიიღეს ლაკონელი მეეტლეები-საგან, რომლებიც დიოსკურებს ახლდნენ თან. „ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი“ „მესაქმეთა წიგნის“ ენოხში ჰენიოხთა სახელწოდებას ხედავდა... ჰენიოხები ჭანურ ტომად მიაჩნდა. პ. ი ნ გ ო -

როცა აიგივებს ჰენიოხებს, სანიგებსა და სანიგებსა და მათ, ლოკალიზაციას ახდენს ძირითადად დღევანდელი აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში სუხუმიდან ადლერამდე (სტრაბონი, გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი; 1957, გვ. 265).

49. ძიდრიტები] Strabo, XII, 2, 1; Ptol. 0, 6: *Ζαῖρις* ქალაქია კოლხეთში.

Anon. PPE, 42, 1 (FHG, V, გვ. 175): მდინარე აფსაროსიდან მდ. არქაბისამდე წინათ ბიძერები ცხოვრობდნენ, ახლა - ძიდრიტები. ივ. ჯავახიშვილის აზრით, რადგან მაკრონებისა და ჰენიოხების მიწა-წყალი მდინარე ოფისსა და არქაბეს წყლის ხეობათა შორის ყოფილა მოქცეული, ძიდრიტების დასავლეთ საზღვრად აფსაროსის ხეობა უნდა მივიჩნიოთ, ხოლო აღმოსავლეთით საზღვრად აფსაროსის ხეობა, რადგან აქედან ლა-ცხოვრობდნენო (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1, 1950, გვ. 265)

50. ფარსმანი] ფარსმან II, მეფე იბერიისა (II ს. ახ. წ. ა.) DIO Cass, Hist. Rom. LXIX, 3 (SC, I, 622); Aelii Spart. Hadrianus, 17 (SC, II, 293)

51. ლაზები] პირველად ლაზებს იხსენიებს პლინიუსი VI, 4: 140000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდინარე აფსაროსია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა იბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობენ ჰენიოხები, ამპრევტები, ლ ა ზ ე ბ ი. მდინარეებია: აკამპსისი, ისისი, მოგროსი, ბათისი, კოლხთა ტომე-ბია (აქ), ქალაქი მათიუმი, მდინარე ჰერაკლიუმი იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახელოვანესი პონტოს მდინარეთაგან - ბათისი.

მემნონი (I – II სს.), De Heracl. Fr. 54 (SC, 1, 510): ლუკულუსის ალყის დროს სი-

ნოპზე სინოპელები გაიქცნენ პონტოს შინაგან ადგილებში, რომლებიც დასახლებულია სანიგებითა და ლაზებით.

მეხუთე საუკუნიდან ამ სახელწოდებამ შთანთქა სხვა ტომების სახელები: Anon. 42. 7 (FHG, I, გვ. 177) სებასტოპოლისიდან ან დიოსკურიიდან მდინარე აფსაროსამდე წინად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვა ლაზები.

ს. ჯ ა ნ ა შ ი ა წერს: „ლაზი X ს-იდან უდრის თანამედროვე მეგრელს. ლაზიკე შეიცავდა გურიას, ქვემო იმერეთს, რაჭა- ლეჩხუმს, სამეგრელოს, სვანეთსა და აფხაზეთს და რომელიც ჩამოყალიბდა IV ს-ის დამდეგს“ (თუბალ - თაბალი, ტიბარენი, იბერი , გვ. 204). ს. ჯანაშიას აზრით საკუთრივ მეგრელები და დღევანდელი ლაზები (ჭანები) მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სატომო სახელთა სფეროშიც (ლაზი - ზანი-სვანი). ჩრდილოეთით: სან-ზან-წან; სამხრეთით: სან -ჭან.

ნიკო მარი ფიქრობდა, რომ „ლაზ“ უკავშირდება „ლაზგს“ (ლეკი) და „პელაზგს“.

Ptol, V, 9,5: კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზეგანში კი მარნალები და ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ეკრიტიკეს ქვეყანაში.

Steph. Byz.-ით ლაზები სკვითური ტომია.

იოანე ცეცე: კოლხები ინდოელი სკვითები არიან, იწოდებიან აგრეთვე ლაზებად და ცხოვრობენ აბასგების მეზობლად (Comin. In. Cass.L. 174: SC, I, 400); კოლხები ლაზური ტომია (SC, I, 404).

Agath. De regno Just. III, 5: ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ, ამაცობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ. შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჩმული როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით. ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით როგორ თავისი მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით. (Agath. II, 18: ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან. ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუ კი ის გაეცნობა ფაზისის კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას.

Proc. BP. I, 11: კოლხიდას ახლა ლაზიკე ეწოდება.

Proc. Goth. VIII, 1: კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფაზისის მდინარეზე მოსაღებენ. ხოლო სახელი “კოლხები” როგორც სხვა მრავალი ტომებისა. ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა. ლაზეთის ციხეები და ქალაქები პეტრა, არქეოპოლისი, ტელეფისი. მუხურისი, ტრაპეზუნტი: (ძველი ლაზიკე) ნიკოფსია ულნეტი. ლაზეთის ეპარქიის სამიტროპოლიტო ცენტრი არის ტრაპეზუნტი (იხ. გეორგ. IV, 1, 131-146).

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი. VIII საუკ. ავტორი წერს “ანდრიას ცხოვრებაში”: მოვიდა ანდრია მოციქული ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტში (გეორგიკა, I, V, I, გვ. 58).

„VIII ს-ის სომხურ უსახელო გეოგრაფიაში არის დასავლეთ საქართველოს აღწერილობა. ამ ძეგლის ჩვენების თანახმად დას. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა პროვინცია ჭანიკე, იგივე ხალდია და ქალაქები: ათინა, რიზე და ტრაპეზუნტი. VIII საუკ. მეორე ნახევარში ტრაპიზონის მხარე დას. საქართველოს შეერთებია, ტრაპიზონი ეკლესიური მხრითაც გაერთიანებულა დას. საქართველოსთან, ლაზიკის მიტროპოლიასთან (რომლის ცენტრს წარმოადგენდა. ფაზისი - ფოთი). ამიტომაც ტრაპიზონი, ამ დროიდან მოკიდებული, ეკლესიური დანაწილების მიხედვით, ლაზიკედ ეწოდება. მას შემდეგ, რაც მერვე საუკუნის მეორე ნახევარში ტრაპიზონის მხარე დას. საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, ტრაპიზონის მხარეს არა მხოლოდ როგორც საეკლესიო ოლქს მიეკუთვნება ლაზიკის სახელი, არამედ ტრაპიზონის მხარეზე საერთოდ გავცერლდა ეს ისტორიული ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი - ლაზიკე, ლაზია“ (პ. ორგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 213 – 214).

52. აფსილები] აფშილები. Plin. VI, 14 დაახლოებით მდინარე ასტელეფთან ასახელებს აბსილებს, დიოსკურიასთან ახლოს. აფშილებს ავტორები ახ. წ. ა. პირველ საუკუნეებში ასახელებენი. V ს-ში იხსენიებს მათ Anon. 42,10 (FHG, V. გვ. 178): აფსილები ლაზების ზემოთ ცხოვრობენ, მათ ზემოთ აბასგები არიან.

აბსილები ტომაშეკის განსაზღვრით (RE) კოდორის შესართავთან, კოლხთა ჩრდილოეთით მოზინადრე აფხაზთა ტომი იყო. ბერძენთა უძველეს გეოგრაფებს ამიტომ აფსილები „კორაქსოს“ სახელითა ჰყავთ მოხსენებულიო. მათ ქვეყანას აფსილია, აბსილია, ქართულად აფშილეთი ეწოდებოდაო. თვით სახელი ტომაშეკს აფხაზურ „აბჟიბ“ --- „შუაგულისაგან“ ნაწარმოებად მიაჩნია. აფშილეთში მდებარეობდა დიოსკურიადის ოლქის სავაჭრო ადგილიო.

St. Byz. აფსილებს სკვითურ ტომს უწოდებს.

თეოდოსი განგრელი (VII საუკ. გეორგიკა, IV, I, გვ. 44): აფსილიისა და მისიმიანის მხარეებში მდებარეობს ფუსტას ციხე (გვ. 50). აფსილიის საზღვარზე მდებარეობს თუსუმე და მოქვი.

Proc. Goth. VIII, 2: ქალაქ პეტრას პირისპირ. მეორე ნაპირას, ევროპის წაწილში აფსილების ქვეყანაა. აფსილები ლაზების ქვეშევრდომნი არიან და ისინი ძველთაგანვე ქრისტიანები იყვნენ. VIII, 3: აფშილები აბაზგების მეზობლები არიან.

Agath. IV. 15: აფსილების ჩრდილოეთით მისიმიელნი ცხოვრობენ. Agath. III, 15: მისიმიანები კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა. ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ, ისინი აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ.

პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს აზრით აფხაზეთის მხარეთა ტომს, რომელიც ატარებდა სახელწოდებას აბსილი ანუ აფსილი (იგივე აფშილი), ეჭირა მდინარე კელასურის (ძველი კორახის) ხეობის ზემო ნაწილი და მისი მიმდგომი ზონა გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე. აბსილეთის მხარის საზღვრებია: 1) აღმოსავლეთით - წებელთა (Agath.: გეორგ. III, გვ. 160: IV, 1, 44). 2) დასავლეთით - საზღვრის ხაზი გადიოდა გუმისთის ხეობის დასავლეთით (Proc.: გეორგიკა, II, გვ. 127). 3) ჩრდილოეთით - კავკასიონის ქედი მარუხის უღელტეხილის სექტოში Menandr. Prot.: გეორგიკა, III, გვ. 246 – 7). 4) სამხრეთით - შიდა ეგრისი და სოხუმის თემი (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გეორგი მერჩულე, გვ. 126).

აფსილების სახელი აფსარონთან უნდა იყოს დაკავშირებული. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ლაშა გეორგი. რომელი ითარგმნების აფსართა ენითა ქუეყნის მანათობელად“ (ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ნაწილი I. 1469 წლამდე, მ. ბროსეს გამოცემა. პეტერბურგი, 1849. გვ. 339).

53. აბასკები] აფხაზები. არიანეს მიხედვით აბასკები ზღვის ნაპირზე არ მოსახლეობდნენ. სებასტოპოლისი სანიგების ქვეყანაშია.

აბასკები მოხსენიებულია „ორფიკულ არგონავტიკაშიც“ 754. ტ ო მ ა შ ე კ ი ს მიხედვით ძველ ავტორებთან აბასკები ენგურის ჩრდილოეთით არიან და ბიჭვინთამდე აღწევენ. იტალიურ რუკებზე ბიზანტიელი მწერლების აბასგია-ს „ავოგაზია“ ეწოდება.

Proc. Goth. VIII, 3: აბსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ. Proc. BP, II, 29: კავკასიის

მთებთან ცხოვრობენ აბასგები. ასევე Const. Porph. De adm. Imp. 42.

შუა საუკუნეებში და უფრო ადრეც აფხაზეთის ჩრდილო საზღვარი იყო ნიკოფსია, სამხრეთისა და სოტერიუპოლისი. ამას მხარს უჭერენ ქართული წყაროებიც: იოანე საბანის ძე, ლეონტი მროველი იხსენიებენ ნაფსაის - ნიკოფსიას ნავსადგურს: ასევე, ცხორება გიორგი მთაწმინდელისა (ათონის კრებული, 1901, გვ. 315).

ამასვე ამბობს Anon. 42, 17 (FHG, V, გვ. 180): ძველ ლაზიკემდე (ნიკოფსიამდე) წინათ ცხოვრობდნენ ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზებიო.

54. სანიგები] ჭანები. Plin. VI, 14 არიანეს მსგავსად სანიგებს სებასტოპოლისის მიწაზე მცხოვრებლებად თვლის. Tab. Peut.: Sanigae. Memmon, De Heracl. (fr. 54 SG, I, 510): პონტოს შინაგანი სანახები დასახლებულია სანიგებით და ლაზებით. Anon. 42, 16 (FHG, V, 180): სანიგები სკვითური ტომი, აბასკების მეზობლად მცხოვრები. Hippol. Port Liber gener. (SC II. 446 – 7): სანები, რომლებიც სანიკებად იწოდებიან და ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის აბსარის გასასვლელი და სებასტოპოლისი და ჰისულიმენი და მდინარე ფასიდი. ეს ტომები ვრცელდებიან ტრაპეზუნტამდე.

Euseb. Caesar. Chron. P. 186 (ScI, 668): სანები რომლებიც აგრეთვე სანიგიებად იწოდებიან, რომელნიც პონტომდე ვრცელდებიან, სადაც არის შეერთება აფსაროსისა და სებასტოპოლისისა და კაუსოლიმენი და მდინარე ფაზისი. ვიდრე ტრაპეზუნტამდე. სანიგებს იხსენიებენ ქართული წყაროებიც, მაგ. თამარ მეფის ისტორიკოსი (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 49, 15. - იხ. ს. ჯანაშია, თუბალ - თაბალი, გვ. 192).

55. მდ. თერმოდონტი] მდ. თერმე-სუ. ამ მდინარის მიდამოები თავიდანვე ცნობილი იყო, როგორც ამამონთა (ამორძალთა, კოლხური ტომის მეომარ ქალთა) საცხოვრებელი ადგილი. მდ. თერმოდონტს იხსენიებს მრავალი ავტორი, მათ შორის: Herod. II, 104 – 9, 27; Aesch. Prom. 725; Xen. An. V, 6,9; VI, 2, 1; Ps-Scyl. 89 და სხვანი. Aesch. Prom. 415, 723: ამორძალები კოლხეთიდან არიან, მოსახლეობენ კავკასიონის სამხრეთით, კიმერიი ბოსფორთან და მეოტიდის ტბასთან ახლოს. Eur. Heracles, 416; Helanikos, Atthis, frg. 84; Nicol. Dam. Cath. Hist. frg. 133; Amm. Marc. Res gestae, XXII, 8, 17; Statt. Achill. Prol. in Ar. II, 81; Prop. Eleg. III, 11, 14; Strabo, XI, 5,2 იმეორებს Her. IV, 110-ს: მეოტიდესთან მოვიდნენ ამორძალები და აქ დასახლდნენ სკვითიაში დონის აღმოსავლეთით და მეოტიდის ჩრდილოეთით. Hom. IL, II, 811: ამორძალი მირინეს საფლავია ტროაში Hom. IL, VI, 186: ლიკიაში ამორძალების საცხოვრებელი უძველესი ადგილია, ისინი გმირმა ბელეროფონტმა დაამარცხა. „მსგავსი მატრიარქალური ვითარება ჩვენ გადმოცემული გვაქვს ლელეგებისა და ტირსენების შესახებ, რომელთა უძველესი სამშობლო მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე უნდა ვეძიოთ” (იხ. Graef-ის სტატია RE-ში

ამამონების ქალაქი, თუ დედოფალი თემისკირა იყო, St. Byz. თემისკირა - ქალაქი და ქვეყანა თერმოდონტის პირდაპირ. Proc. Goth. VIII, 2: ქალაქ ამისოსის მა-

ხლობლად არის თემისკურა დამდინარე თერმოდონტი სადაც, როგორც ამბობენ, ამაზონთა ბანაკი იყო. Proc. Goth. VIII, 3: ამამონები თემისკირისა და მდინარე თერმოდონტის გარშემო დაბანაკდნენ Ap. Rhod. Arg. I. 9, 17: ლემნოსელი ამამონები, მათი დედოფალი ჰიპსიპილე. Herod, II. 104: ასურები, რომელნიც ცხოვრობენ თერმოდონტზე და მდ. პართეთოსზე თავის მეზობელ მაკრონებთან ერთად, ამტკიცებენ, რომ წინადაცვეთის ჩვეულება კოლხებისაგან მიიღეს. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ამბობს: „წინათ კოლხებს თერმოდონტისა და მდინარე პართენიოსის სანახების მეზობლად თუ არა, მახლობლად მაინც უნდაეცხოვრათ (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, 1950, გვ. 10).

თერმოდონტის მიდამოებში მცხოვრებად ასახელებენ ბერძენი და რომაელი ავტორები კოლხების გარდა ხალიბებს. Hecat. Miles. Terr. Circ. Fr. 195 (SC. I, 3): პონტოში მობინადრე ხალიბები თერმოდონტის ხეობაში ყოფილან დამკვიდრებულნი. ამას იმეორებს St. Byz.: ხალიბები - ტომი პონტოზე, მდინარე თერმოდონტზე, სვიდა: თერმოდონტი მდინარეა კოლხეთში.

56. კოტიორა და კიტორი] I არის ადგილი მდ. მელანთიოსის დასავლეთით, არიანეს მიხედვით პატარა სოფელია. სხვა ავტორები ქალაქად თვლიან. II - ნავსაყუდელი პაფლაგონიაში ეგიალსა და კრომნას შორის. Ptol.: **Κυτέωρον**; Diod. Sic. XIV, 31; Strabo, XII, 3, 10; 3, 17: **Κύττωρος, Κύττωρον, Κύττωρα**. Steph. Byz.; Suid.: **Κοττωρίττα**; და **Κύττωρα, Κοττώρα**; Ps. Scyl. 90; Ap. Rh. II, 942. Xen. An. V, 5, 6, 7: კოტიორა ბერძნული ქალაქია. სინოპელთა ახალშენი, ტიბარენების საზღვრებში მოთავსებული. Plin. VI, 11: ქალაქი კოტიორა, ტიბარენები, მასინები.

Pape (ბერძნული საკუთარ სახელზე ლექსიკონი) ამ სახელს უკავშირებს Herod. 7, 197: **Κυτίσσωρος ἐξ Αἰῆς τῆς Κολχίδος**. **Κυτίσσωρος** ფრიქსეს ვაჯის, ქ. კიტორის დამაარსებლისა (Ap. Rhod. II, 1158; Schol. Ap. RH. II, 1123; Apd. Biblioth. I, 9, 1; Mel. Descr. Orb. I, 19). თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით სიტყვა **Κύττωρος** უნდა შეიცავდეს იმავე ძირს, რასაც **Κύττωρα** ვარიანტებით **Κυτάρα, Κύτα, Κύτη** (სტრაბონი, გეოგრაფია, 1957, გვ. 20; „ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955 წ. გვ. 7).

57. მოიხსენია ქსენოფონტმა] Xen. An. V, 5, 6, 7.

58. კოტისი] ტიბერიუს იულიუს კოტისი II, ბოსფორის მეფედ იყო 123 წლიდან 131 წლამდე ახ. წ. ა.

59. პიტიუნტი] ბიჭვინთა. არიანეს მიხედვით „სებასტოპოლისთან მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის“ (თავი I7). აქამდე (დიოსკურიადამდე) არიანე თავისი თვალთ ნახულს და გაზომილს აღწერდა. ამის შემდეგ კი სხვების ნათქვამს და დაწერილს ეყრდნობა. პიტიუნტი არიანეს დროს ბოსფორის სამეფოში შედიოდა.

Plin. VI, 16: პიტიუნტი, უმდიდრესი ქალაქი, ჰენიოხების მიერ დარბეულ იქნა. Strabo, XI, 2, 14: ძველი კოლხეთის ჩრდილოეთი პუნქტია სანაპიროზე. Plot. V, 8, 10, 9, 1: „კარტერონ ტეიხოსი“ დიოსკურიას შემდეგაა მოთავსებული. ნ. ლომოური „კარტერონ ტეიხოსს“ აიგივებს ბიჭვინთასთან (ВДИ, 1957, № 4, გვ. 106) Proc. Goth. VIII, 4: რომაელებმა ზღვის პირას ორი სიმაგრე გააშენეს სებასტოპოლისი და პიტიუნტი. პიტიუნტი საგინების (სანიგების) მიწა-წყლის ზღვისპირა ნაწილშია. Proc. BP II, 29: პიტიუნტი სიმაგრეა ლაზიკეში.

Const. Porph. De adm. imp. 42: აფხაზეთის ჩრდილო საზღვარია მდინარე და ქალაქი ნიკოფსია, ხოლო სამხრეთისა - სოტერიუპოლისი. სოტერიუპოლისს კ. დ ი ტ ე - რ ი ხ ი (1912 წელს) და ი. კ უ ლ ა კ ო ვ ს კ ი (1897 წელს) ბიჭვინთასთან აიგივებდნენ. აგრეთვე ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი Hieroclis Synecdemus et notitiae Graecae episcopatum-ში მოცემული ფრაზის: *Σατηρόπολις τὰ νοῦ Πύθια* საფუძველზე ასკვნიდა, რომ სოტერიოპოლისი არის ბიჭვინთა (Древнейшая Пицунда у Понта Евксинского, Тб. 1916, გვ. 63). პ ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა სოტერიოპოლისს ოფისთან აიგივებს (გ. მერჩულე გვ. 255).

პიტიუნტი იყო კარიაშიც, მიზიაში (Strabo, XIII, 1, 15).

60. ნიტიკე] გაგრის რაიონში მოთავსებული პუნქტი. სხვა წყაროებიდან არაა ეს სახელი ცნობილი.

61. გირჩის მჭამელები] Herod. IV. 109; Strabo, XI, 2, 19.

62. მდ. აქეუნტი] მდ. შახე. Anon. XLII, 15: მდ. აქეუნტს ახლა ბასისი ეწოდება. არიანეს მიხედვით ეს მდინარე საზღვრავს ჯიქებსა. და სანიგებს ტომაშეკი აქეუნტს მდ. შახედ თვლის. კი მიუღერი - სოჭა ფსტად..

63. ძილქები] ჯიქები. Ptol. V, 9, 8: ძინქები. Plin. VI, 19: ძიგები. Strabo, XI, 2, 1; ძიგები. ST. B.: ზიგიანოს. Diou. Per. 687: ძიგიები და სხვ.

Anon. XLII, 18, (FHG, V, 180): ძველი აქაიიდან ძველ ლაზიკემდე და მდინარე აქეუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები. რომელთაც ერქვათ ენიოხები, კორაქსები და კოლიკები, მელანქლენები. მაქელონები, კოლხები და ლაზები, ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები. აქ ჯიქები I საუკუნეში ყოფილან უკვე (გეორგიკა, IV, 2, გვ. 233). ჯიქები ამიერკავკასიის მკვიდრი ტომია.

Proc. Goth, IV, 4; ჯიქები ცხოვრობენ კავკასიის მთებში ჰუნების მახლობლად. Proc. Goth. VIII, 4: ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებულნი. ზიქებს ძველად რომაელთა იმპერატორი უყენებდა მეფეს, ამჟამად ეს ბარბაროსები არაფერში აღარ ემორჩილებიან რომაელებს. Const. Porph. De adm. Imp. 42: ჯიქეთის სამხრეთი საზღვარი მდ. ნიკოფსიაზეა. აქედან იწყება აბაზგიის ქვეყანა. მდ. ნიკოფსიიდან მოკიდებული ზღვის ნაპირი სოტერიუპოლისამდე უჭირავს აბაზგიის ქვეყანას.

პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს აზრით აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდი-

ლო ჰენიოხეთი მოიცავდა ახლანდელი ტუაფსის რაიონს, დაწყებული მდ. შეხათან ვიდრე ნიკოფსიამდე. ეს ტერიტორია ადრე ჰენიოხების მიწა-წყალი ყოფილა, შემდეგ ჯიქების ხელში გადასულა. ჯიქები შავი ზღვის სანაპიროზე მოსული ტომია. თავდაპირველად იმიერკავკასიის მკვიდრი ტომი ყოფილა. ანტიკური ხანის ავტორები I საუკუნემდე ჯიქებს აქ არ მოიხსენებენ, ჰენიოხების შემდეგ ისინი უშუალოდ ასახელებენ აქეელებს (მაგ. ჰეკატე მილეტელი, ჰელანიკე მიტილენელი, სკილაქს კარიანდელი. არტემიდორე ეფესელი). სტრაბონი ამ ადგილას პირველად იხსენიებს ჯიქებს (II, 5, 31; XI, 2, 1). აქეელთა და ჰენიოხთა შორის ჩამოსახლებულან ჯიქები, ცენტრი აფხაზეთის ჯიქეთისა იყო ნიკოფსია, ძველი ლაზიკე. ქართულ წყაროებში ჯიქები შემდეგ მოსული ტომია შავი ზღვის სანაპიროზე (პ. ი ნ გ ო რ ი ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 125).

64. ძველი ლაზიკე] ქალაქი ნიკოფსია. მეხუთე საუკუნემდე ამ ქალაქს ძველი ლაზიკე ერქვა, მხოლოდ V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსი იხსენიებს მას სახელით - „ნიკოფსისი“ - მდ. „ფსახაფსისი“ 42, 17 (FHG. V, 180).

Ptol. V, 8. 9: ლაზთა ქალაქი (ეტყობა ლაზთა სამკვიდრებელი ამ პუნქტამდე აღწევდა ჩრდილოეთით).

ბ. კუფტინს მოაქვს ნიკოფსიის ლოკალიზაციისათვის დიუბუა დე მოპერეს და კ. მიულერის ჰიპოთეზა (რომელსაც მხარს უჭერენ ფ. ბრუნი და ტომაშევი) რომ ნიკოფსია იყო ახლანდელ პატარა მდინარესთან - ნეგოფსუხუსთან. აქ შენახულია ნოვომიხაილოვსკის ახლოს ტყით დაფარული ძველი ქალაქის ნაშთები მდ. ფსებზე, წყალგამყოფი მოშორებული ფსეკუფსისაგან, ე.ი ძველ ფსახაფსისაგან (Б. А. Куфтин, Материалы к археология Колхиды, т. I, Тб., 1949, стр. 100 – 101).

Const. Porph. De adm. Imp. 42: ჯიქეთის საზღვრების შემდეგ, ესე იგი მდინარე ნიკოფსიიდან მოკიდებული, ზღვის ნაპირი ვიდრე სოტერიუპოლისამდე, 3000 მილის მანძილზე, უჭირავს აბაზგიის ქვეყანას.

აფხაზეთის და შემდეგ გაერთიანებული საქართველოს ჩრდილო საზღვრად ნიკოფსიას იცნობენ ქართული წყაროებშიც. ლეონტი მროველი (ანასეული ქ. ცხ. თბ. 1942, გვ. 26, 13 – 16).

ნიკოფსია. აფხაზეთში (სამეგრელოში) შემავალი ქალაქი, მოხსენებულია გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში (ათონის კრელი, თბ., 1909, გვ. 315). იოანე საბანისძეც იცნობს ამ პუნქტს (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ძველი ლიტ., გვ. 65, 1 – 7, 1935 წ.) და მას უწოდებს ნაფსაის ნავსადგურს (გეორგიკა, IV, 2, გვ. 231 – 3).

როდესაც დასავლეთ საქართველოს კათედრები კონსტანტინეპოლის პატრიარქს ჩამოშორდნენ და მცხეთაის საკათალიკოსოს დაუკავშირდნენ, ნიკოპსიის საარქიეპისკოპოსოც დასავლეთ საქართველოს სხვა კათედრებთან ერთად ამ უკანასკნელის იურისდიქციას დაექვემდებარა იმ დროს, როდესაც ჯიქეთის დანარჩენი ორი კათედრა (ქერსონისა და ბოსფორის) კვლავ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელქვეით დარჩა (პ. ნგოროყვა, მნათობი, 1950, №3, გვ. 120 – 122).

65. ძველი აქაია] აქაეელთა სამკვიდრებელი ადგილი. ჰეკატე მილეტი. ჰელანიკე მიტელენელი, სკილაქს კარიანდელი, პალიფატე აბიდოსელი, არტემიდორე ეფესელი ჰენიოხების შემდეგ ჩრდიოლეთით უშუალოდ ათავსებენ აქეელებს. (ჯიქებს ჰენიოხთა და აქეელთა შორის არ მოიხსენებენ).

Strabo. XI, 2, 12: სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ ზღვასთან არის საქეელთა, ძიგთა და ჰენიოხთა სანაპირო, მეტწილად უნავსადგურო და მთიანი და წარმოადგენს კავკასიონის ნაწილს. ესენი ცხოვრობდნენ ზღვაზე მეკობრეობით. აგრეთვე Ptol. V, 9, 25; Tab. Pent., An. 42, 17 (FHG, V, გვ. 180): ძველი ლაზიკიდან ძველ აქაიამდე, სადაც ახლანდელი მდინარე ტოფსიდაა, 150 სატადიონია, 20 მილი.

შიფნერის მიხედვით სახელი აქეელთა ტომისა აქაიადანაა მიღებული. ეს მხარე შავი ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთ სანაპიროზეა. Aqua აფხაზურ ენაზე ნიშნავს „სანაპიროს მცხოვრებს“ (RE, Brugsch).

ოდივიუს ნაზონი უჩივის ჰენიოხებთან ერთად აქეელების თარეშს ქალაქ ტომევის (კონსტანცას) მიდამოებში (Epist. Ex ponto; IV, 10, 27).

XLII, 1. Ἀπὸ οὖν Ἀρχάβεως ποταμοῦ ἕως Ὀφιοῦντος ποταμοῦ πρῶτην ᾠκουν ἕθνος οἱ λεγόμενοι Ἐκχειριεῖς (νῦν δὲ οἰκοῦσι Μαχέλωνες καὶ Ἡνίοχοι). ἅπὸ δὲ Ἀφάρου ποταμοῦ ἕως Ἀρχάβεως ποταμοῦ πρῶτην ᾠκουν οἱ λεγόμενοι Βύζηρες (νῦν δὲ οἰκοῦσι Ζυδρεῖται).

2. Ἀπὸ δὲ Ἀφάρου ποταμοῦ εἰς Ἀκαμψιν ποταμὸν ναυσίπορον στάδια ἑ, μίλια δύο. Ἀπὸ δὲ τοῦ Ἀκάμφιος ποταμοῦ εἰς Βαθύν ποταμὸν στάδια οἷ, μίλια ἑ'. Ἀπὸ δὲ τοῦ Βαθύος ποταμοῦ εἰς Κίνασον ποταμὸν στάδια ς' μίλια ἑβ'. Ἀπὸ δὲ Κινάσου ποταμοῦ εἰς Ἴσιν ποταμὸν ναυσίπορον στάδια ς' μίλια ἑβ'. Ναυσίποροι δὲ εἰσιν ὁ τε Ἀκαμψις καὶ ὁ Ἴσις, καὶ αὐτὰς τὰς ἐωθινὰς ἰσχυρὰς ἐκπέμ-

მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო

1. მდინარე არქაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდა ტომი ეკქეირიებად წოდებული (ახლა ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები) მდინარე აფსაროსიდან მდინარე არქაბისამდე წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთ წოდებული ბიძერები (ახლა კი ცხოვრობენ ძიდრიტები).

2. მდინარე აფსაროსიდან სანაოსნო მდინარე აკამფსისამდე, თხუთმეტი სტადიონია, ორი [რომაული]. მილი. მდინარე აკამფსისიდან მდინარე ბათისამდე სამოცდათხუთმეტი სტადიონია, ათსი მილი. მდინარე ბათისიდან. მდინარე კინასამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე კინასიდან სანაოსნო მდინარე ისისამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი

¹ V საუკუნის ახ. წ. ა. ანონიმი ავტორის “პერიპლუსის” ორი ნაწილი (პონტოს სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ სანაპიროების აღწერა) რამდენჯერმეა გამოცემული და K. Muller-ის წიგნის GGM, I, Parisiis, 1882, 402 – 423 გვერდებზე მოთავსებული. ჩვენ გადმოწერილი და გადმოქართულებული გვაქვ “პერიპლუსის” შუა ნაწილი - პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერა. ეს ნაწილი გამოცემულია: K. Muller, FHG, vol. V, 1883, p. 174 – 184.

πουσιν. Ἀπὸ δὲ Ἰσίου ποταμοῦ
εἰς Μόγρον (ἦτοι Νύγρον) λεγό-
μενον πόρος ναυσι σταδίων ς'
μιλίων β'. [Ἐνθ' ἐνδὲ εἰς Φᾶσιν
σταδίων ς' μιλίων β']¹.

3. Οὗτος δὲ ὁ Φᾶσις ποταμὸς
ἔχει τὸ ρεῦμα φερόμενον ἐκ τῆς
Ἀρμενίας. οὗ πλησίον οἰκοῦσι μετα-
στάντες ἐξ Ἰβηρίας εἰς Ἀρμενίαν
Ἰβηρες. Εἰσιόντων δὲ εἰς ποτα-
μὸν ἀριστερὰ τοῦ Φάσιδος παρὰ-
κεῖται Μιλησίων πόλις Ἑλληνίς
Φᾶσις λεγομένη, εἰς ἣν λέγεται
καταβαίνειν ἔθνη ἐξήκοντα δια-
φόροις χρώμενα φωναῖς, ἐν οἷς
τινας λέγουσιν ἀπὸ τῆς Ἰνδικῆς
καὶ Βακτριανῆς συναφικνεῖσθαι
βαρβάρους. Μεταξὺ δὲ τούτων
βάρβαρός ἐστιν ἡ Κοραξική, ἥς
τὰ ἐχόμενα ἡ Κωλικὴ καλουμένη,
τὸ νῦν Μελαγχλαίων καὶ Κόλ-
χων ἔθνος.

4. Ἔχει δὲ καὶ ἀνάπλουν ὁ πο-
ταμὸς σταδίων ρ', μιλίων δ'. Ἐν
ᾧ ἔστι πόλις μεγάλη Αἶα λεγο-
μένη, θμὲν ἡ Μήδεια ἦν.

5. Πάνυ δὲ κουφότατον ὕδωρ
ἔχων ὁ Φᾶσις ἐπιπλεῖ τῇ θαλάσῃ,

მილი. აკამფსისი და ისისი სანაოსნო
მდინარეებია, დილაობით. მათზე
ქრის ძლიერი ქარები. მდინარე ისი-
სიდან ეგრეთ წოდებულ მოგროსამ-
დე (ან ნიგროსამდე) ხომალდების
მიერ გასავლელია ოთხმოცდაათი
სტადიონი, თორმეტი მილი. [აქედან
ფაზისამდე ოთხმოცდაათი სტადიო-
ნია, თორმეტი მილი).

3. ეს მდინარე ფაზისი არმენიიდან
მომდინარეობს. მის ახლოს ცხოვრო-
ბენ იბერიიდან არმენიაში გადასახლე-
ბული იბერიელები. მდინარის შესასვ-
ლელთან, ფაზისის მარცხენა ნაპირზე,
მოთავსებულია მილეტელების მიერ დაა-
რსებული ელინური ქალაქი ეგრეთ
წოდებული ფაზისი, რომელშიაც, რო-
გორც ამბობენ, თავს იყრის სამოცი-
სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ამბობენ,
თავს იყრის სამოცი სხვადასხვა ენაზე
მოლაპარაკე ტომი. მათ რიცხვში, გად-
მოცემით. იმყოფებიან ინდოეთიდან
და ბაქტრიიდან მოსული ბარბაროსები.
მათ ბარბაროსული ქვეყანაა კორაქსიკე,
რომელსაც ეკვრის ეგრეთ წოდებული კო-
ლიკე. ახლა მელანქლაინების და კოლ-
ხების ტომია [იქ].

4. ეს მდინარე სანაოსნოა ასი (180?)
სტადიონის, ანუ ოთხი მილის (24?)
მანძილზეა მასზე არის დიდი ქალაქი,
ეგრეთ წოდებული აია, საიდანაც მედეა
იყო.

5. ფაზისს აქვს მეტად მსუბუქი წყა-
ლი, ერთვის ზღვას და ერევა ზღვის

καὶ οὐ συμμίγνυται· καὶ ἔστι μὲν
κατὰ τοῦ ἐπιρρέοντος γλυκύτατον
ἀνιμῆσασθαι, εἰ δὲ εἰς βάλανος τις
καθῆκε τὴν κάλπιν, ἄλμυρόν.
Καίτοι ὁ πᾶς Πόντος πολὺ τι
γλυκυτέρου τοῦ ὕδατός ἐστιν ἢ περ
ἢ ἔξω θάλασσαν· καὶ τοῦτου τὸ
αἴτιον οἱ ποταμοὶ εἰσιν, οὔτε πλη-
θος οὔτε μέγεθος σταθμητοὶ ὄντες.
Τεχμήριον δὲ τῆς γλυκύτητος, εἰ
τεχμηρίων δεῖ ἐπὶ τοῖς αἰσθήσει
φαινομένοις, ὅτι πάντα τὰ βροσκή-
ματα οἱ προσοικοῦντες ἐπὶ τὴν
θάλασσαν κατάγουσι καὶ ἐν ταύ-
τῃ ποτίζουσι· τὰ δὲ ἡδέως πίνον-
τα [δράτται], καὶ λόγος κατέχει
ὅτι καὶ ὠφέλιμον αὐτοῖς [τοῦτο
τὸ ποτόν] ἐστι τοῦ γλυκέος μᾶλ-
λον. Ἡ δὲ χροιά τοῦ Φάσιδος
ἐξηλλαγμένη, οἷα ἀπὸ μολίβδου ἢ
κασσιτέρου βεβαμμένου τοῦ ὕδα-
τος· καταστάν δὲ καθαρώτατον
γίνεται. Οὐ τοίνυν νεγδμίσται εἰσ-
κομίσαι ὕδωρ εἰς τὸν Φᾶσιν τοὺς
εἰσπλέοντας· ἀλλ' ἐπειδὴν ἤδη
εἰσβαίνωσιν εἰς τὸν ῥοὺν, παραγ-
γέλλεται ἅπαν ἐκχεῖν τὸ ἐνὸν
ὕδωρ ἐν ταῖς ναυσίν· εἰ δὲ μή,
λόγος κατέχει ὅτι οὐκ εὐπλόουσι.
Τὸ δὲ ὕδωρ τοῦ Φάσιδος οὐ σή-
πεται, ἀλλὰ μένει ἀκραιφνές καὶ
ὑπὲρ δέκατον ἔτος, πλήν γε δὴ
[δτι]⁸ εἰς τὸ γλυκύτερον μεταβά-
λει.

წყალს. თუ ზემოდან ამოიხაპება წყალი
მეტად მტკნარია, თუ ვინმე ჭურჭელს
სიღრმეში ჩაუშვებს - მარილიანი. თუმ-
ცა მთელი პონტოს წყალი უფრო მტკნა-
რია, ვიდრე გარეშე ზღვისა [ხმელთაშუა
ზღვისა]. ამის მიზეზია მდინარეები, რომე-
ლთა რაოდენობის და სიდიდის განსაზღ-
ვრა არ შეიძლება. სიმტკნარის საბუთი
(თუ კი საბუთი გრძნობათათვის ცხად
საგნებსაც ესაჭიროებათ) არის ის, რომ
მცხოვრებთ საქონელი მიყავთ ზღვასთან
და იქ ასმევენ წყალს. საქონელი აშკარა
სიამოვნებით სვამს ამ წყალს. ამბობენ,
რომ ეს სასმელი საქონლისათვის მტკნარ
წყალზე უფრო სასარგებლოა. ფერი ფა-
ზისისა თავისებურია, გავს ტყვიით და
კალით შეღებილ წყალს. დაყენების შემ-
დეგ კი ის მეტისმეტად იწმინდება. ამი-
ტომ არაა მიღებული რომ ფაზისში ზღვი-
დან შემსვლელმა წყალი თან მოიტანოს.
არამედ, როდესაც მოგზაურნი მდინარის
კალაპოტში შევლენ, გაიცემა ბრძანება
ხომალდზე არსებული მთელი წყალი
გადაღვარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში
გადმოცემის მიხედვით, მოგზაურობა
არ იქნება ბედნიერი ფაზისის წყალი
არ შმორდება, არამედ უცვლელი რჩება
ათ წელს, ის უფრო მეტად ტკბება [ამ
ხნის განმავლობაში].

6. Ἀπὸ δὲ τοῦ Φάσιδος ποταμοῦ εἰς Χαρίεντα ποταμὸν ναυσίπορον στάδια ς', μίλια ιβ'. Ἀπὸ δὲ Χαρίεντος ποταμοῦ εἰς Χόβον ποταμὸν γαυσίπορον στάδια ς', μίλια ιβ'. Ἀπὸ δὲ Χόβον ποταμοῦ εἰς Σιγάμην (τὸν καὶ Ζίγανιν λεγόμενον) ποταμὸν στάδια π', μίλια κη'. Ἀπὸ δὲ Ζιγάνεως εἰς Ταρσοῦραν ποταμὸν (τὸν [νῦν] λεγόμενον Μοχῇ) στάδια ρκ', μίλια ις'. Ἀπὸ δὲ Ταρσοῦρα ποταμοῦ εἰς Ἴππον ποταμὸν (τὸν νῦν λεγόμενον Λαγουμφᾶν), στάδια ρν', μίλια κ'. Ἀπὸ δὲ τοῦ Ἴππου ποταμοῦ εἰς Ἀστελέφον ποταμὸν, ([τὸν] νῦν λεγόμενον Εὐριπον· εἰσπλους πορθμίων) στάδια λ', μίλια δ'. Ἀπὸ δὲ Ἀστελέφου ποταμοῦ εἰς πόλιν Διοσκουρίδα λιμένα ἔχουσιν, τὴν νῦν λεγομένην Σεβαστούπολιν, στάδια ρε', μίλια ιη'.

7. Ἀπὸ οὖν Διοσκουρίδος τῆς [καὶ] Σεβαστουπόλεως ἕως Ἀψάρου ποταμοῦ πρῶην ᾧκουν ἔθνος οἱ λεγόμενοι Κόλχοι οἱ μετονομασθέντες Λαζοί.

8. Ἐθνη δὲ παρημείψαμεν τάδε· Τραπεζοῦντιοὺς μὲν, καθάπερ καὶ Ξενοφῶν λέγει, Κόλχοι ὀνομαζοῦνται καὶ οὗτος λέγει τοὺς μαχιμωτάτους

6. მდინარე ფაზისიდან მდინარე ქარიენტამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე ქარიენტიდან სანაოსნო მდინარე ქობოსამდე ოთხმოცდაათი სტადიონია, თორმეტი მილი. მდინარე ქობოსიდან მდინარე სიგამემდე რომელსაც მიგანისიც ეწოდება), ორას ათი სტადიონია, ოცდარვა მილი. მიგანისიდან მდინარე ტარსურამდე (ახლა რომ მოხე ეწოდება) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მილია მდინარე ტარსურიდან მდინარე ჰიპოსამდე (ახლა რომ ლაგუმფსა ეწოდება) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი. მდინარე ჰიპოსიდან მდინარე ასტელეფამდე (ახლა რომ ევრიპოსი ჰქვია და ხომალდთა მისადგომია) ოცდაათი სტადიონია, ოთხი მილი.. მდინარე ასტელეფიდან ქალაქ დიოსკურიდამდე, რომელსაც ნავსადგური აქვს და რომელსაც ახლა სებასტოპოლისი ეწოდება. ას ოცდათხუთმეტი სტადიონია, თვრამეტი მილი.

7. დიოსკურიდიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილია.

8. გავიარეთ შემდეგი ტოვები : ტრაპეზუნტელების მეზობლად, როგორც ქსენეფონტიც ამბობს, ცხოვრობენ კოლხები, და ისინი, რომლებიც მას. მიაჩნია მეტად

καὶ ἐχθροτάτους εἶναι τοῖς Τραπεζοῦντίοις, οὗς ἐκεῖνος μὲν Δρίλλας ὀνομάζει, ἐμοὶ δὲ δοκοῦσιν οἱ Σάγνοι οὗτοι εἶναι. Καὶ γὰρ μαχιμώτατοί εἰσιν εἰς τοῦτο ἔτι καὶ τοῖς Τραπεζοῦντίοις ἐχθρότατοι, καὶ χωρὶς ὀχυρὰ οἰκοῦσι, καὶ ἔθνος ἀβασίλευτον, πάλας μὲν καὶ φόρου ὑποτελὲς Ῥωμαίοις, ὑπὸ δὲ τοῦ ληστεύειν οὐκ ἀκριβοῦσι τὴν φορὰν. Κόλχων δὲ ἔχονται Μαχέλωνες καὶ Ἑνιόχοι. Βασιλεὺς δ' αὐτῶν Ἀγχιάλος.

9. Τὸ δὲ Ἑνιόχων ἔθνος μῖξο-γενές ἐστί. Τοῦτους δὲ λέγουσιν τινες κληθῆναι Ἑνιόχους ἀπὸ τῶν Πολυδεύκους καὶ Κάπτορος ἑνιόχων Ἀμφιστάτου καὶ Τέλχιος· ἐν γὰρ τῷ μετὰ Ἰάσονος ἀφικέσθαι στόλῳ δοκοῦσιν οὗτοι, περὶ δὲ τούτους τοὺς τρόπους ᾠκισαν ἀπολειφθέντες, ὥς μυθεύεται. Ὑπὲρ Ἑνιόχους δὲ ἄνω κεῖται Κασπία καλουμένη θάλασσα βαρβάρων γένη ἱπποφάγα περὶ αὐτὴν ἔχουσα οἰκούμενα· ἧς δὴ τὰ Μήδων ἐστὶν ὄρια πλησίον.

კარგ მეომრებად და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტრებად. ქსენოფონტი მათ დრილებს უწოდებს, მე კი მგონია, რომ ისინი სანები არიან. ესენი ახლაც მეტისმეტად კარგი მეომრები არიან და ტრაპეზუნტელების დიდი მტრები. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობენ. მეფეები არ ჰყავთ. წინათ ისინი რომაელების მოხარკენი იყვნენ, მაგრამ ახლა ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევიან და სრულიად არ იხდიან ხარკს კოლხების ზემოთ მაქელონები და ჰენიოხები ცხოვრობენ. ამათი მეფე ანქიალეა.

9. ჰენიოხთა ტომი შერეულია ზოგიერთნი ამბობენ, რომ ამათ ჰენიოხები ქვიათ ამფისტატესაგან და ტელქისაგან. კასტორი რისა და პოლიდეკის მეეტლეებისაგან. ხომ გადმოგვცემენ. რომ ისინი აქ მოვიდნენ იაზონთან ერთად ლაშქრობის დროს, ამ ადგილებში დასახლდნენ თავისიანებისაგან მიტოვების შემდეგ. ასე მოგვითხრობს მითი. ჰენიოხების ზემოთ ეგრეთ წოდებული კასპიის ზღვაა, მას გარშემო ჰყავს შემოხვეული ბარბაროსთა ტომები, რომელნიც ცხენის ხორცით იკვებებიან. მის ახლოს მიდიელთა საზღვბია

10. Μαχελῶνων δὲ καὶ Ἡνιόχων ἐχόμενοι Ζυδρεῖται· Φαρασ-
μάνου οὗτοι ὑπήκοοι· Ζυδρεϊτῶν
δ' ἐχόμενοι· Λαζοί, βασιλεὺς δὲ
Λαζῶν Μαλάσσας, δὲ τὴν βασι-
λείαν παρὰ σοῦ ἔχει· Λαζῶν δὲ
ἐχονται Ἀψίλαι, βασιλεὺς δὲ Ἀ-
ψιλῶν Ἰουλιανός· οὗτος ἐκ τοῦ
πατρὸς τοῦ σοῦ τὴν βασιλείαν
ἔχει· Ἀψίλαις δὲ ὄμοροι Ἀβασ-
γοί, καὶ Ἀβασγῶν βασιλεὺς Ῥί-
μαγας (Ῥησμάγας Ἀγγ.)· καὶ οὗ-
τος τὴν βασιλείαν παρὰ σοῦ ἔχει·
Ἀβασγῶν δὲ ἐχόμενοι Σαννίγαι·
ἐν ᾧ καὶ ἡ Σεβαστοῦπολις ᾠκι-
σται· Σαννιγῶν βασιλεὺς Σπαδα-
γᾶς (Σπαδάγας Ἀγγ.) ἐκ σοῦ τὴν
βασιλείαν ἔχει.

11. Καὶ μέχρι μὲν Ἀφάρου
ὡς πρὸς ἕω (τό τε ἀνατολικόν)
ἐπλέομεν ἐν δεξιᾷ τοῦ Εὐξείνου.
Ὁ δὲ Ἀφάρος πέρας ἐφάνη μοι
εἶναι κατὰ μῆκος τοῦ Πόντου·
ἐνθ' ἐν γὰρ ἡδὴ πρὸς ἄρκτον ὁ
πλοῦς ἡμῖν ἐγένετο ἔστε ἐπὶ Χό-
βον [ποταμόν, καὶ ὑπὲρ τὸν Χό-
βον] ἐπὶ τὸν Σιγάμην. Ἀπὸ δὲ
Σιγάμου ἐκάμπτομεν εἰς τὴν λαιάν
πλευρὰν τοῦ Πόντου ἔστε ἐπὶ τὸν
Ἰππον ποταμόν. Ἀπὸ δὲ τοῦ
Ἰππου ποταμοῦ ὡς ἐπ' Ἀστελέ-
φον καὶ Διοσκουριάδα καταφανῶς
ἡδὴ ἐπ' ἀριστερὰ τοῦ Πόντου ἐπ-
λέομεν, καὶ ὁ πλοῦς ἡμῖν πρὸς
ἡλίον δυόμενον ἐγένετο· ὡς δὲ
ἀπεστρέφομεν ἀπὸ τοῦ Ἀστελέ-
φου ἐπὶ Διοσκουριάδα κατείδομεν

10. მაქელონთა და ჰენიოხთა მეზობლად
მიდრიტები ცხოვრობენ. ფარსმანის ქვეშე-
ვროდომნი არიან. მიდრიტების გვერდით ლა-
ზები არიან. ლაზთა მეფემ: მალასამ შენგან
მიიღო მეფობალაზების გვერდით აფსი-
ლები, ცხოვრობენ. აფსილთა მეფე იულიანეა.
ამას შენი მამისაგან აქვს ტახტი მიღებული
აფსილების მეზობლები აბასგები არიან.
აბასგთა მეფე რიმაგაა, ამასაც ტახტი შე-
ნგან აქვს მიღებული. აბასკების გვერდით
სანიგები არიან, მათ მიწა-წყალზეა სებას-
ტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენ-
გან მიიღო.

11. აფსაროსამდე აღმოსავლეთით
მივცურავდით ევქსინის მარჯვენა მხა-
რეს. აფსაროსი მე მეჩვენა პონტოს სიგრ-
ძის ბოლო საზღვრად, რადგან უკვე
აქედან ჩვენი მოგზაურობა ჩრდილოე-
თით წარიმართა ქობოსამდე [და ქობო-
სის ზემოთ] სიგამემდე. სიგამიდან ჩვენ
შევბრუნდით პონტოს მარცხენა მხარეს
მდინარე ჰიპოსამდე. მდინარე ჰიპოსი-
დან ასტელეფამდე და დიოსკურიადამ-
დე ჩვენ უკვე აშკარად პონტოს მარცხე-
ნა მხარეს მივურავდით და მივემართე-
ბოდით მზის დასავლისაკენ. როდესაც
ჩვენ მოვბრუნდით ასტელეფიდან დიოს-
კურიადისაკენ, დავინახეთ კავკასიონის
მთა. რომელიც სიმაღლით კელტურ ალ-
პებს შეედრება. გამოჩნდა ერთერთი
მწვერვალი კავკასიონისა, მწვერვალის
სახელი სტრობილია, სადაც, მითის

τὸν Καύκασον τὸ ὄρος, τὸ ὕψος
 μάλιστα κατὰ τὰς Ἀλπεὺς τὰς
 Κελτικὰς'. Καὶ τοῦ Καυκάσου κο-
 ρυφὴ τις ἐδείκνυτο, Στρόβιλος τῇ
 κορυφῇ ὄνομα, ἵνα περὶ ὁ Προμηθεὺς
 κρεμασθῇ ὑπὸ Ἑφαιστου κατὰ
 πρόσταξιν Διὸς μυθεύεται.

12. Τάδε μὲν οὖν τὰ ἀπὸ Βυ-
 ζαντίου πλεόντων ἐπὶ δεξιὰ ὡς
 ἐπὶ Διοσκουριάδα, ἐς ὅπερ στρα-
 τόπεδον τελευτᾷ Ῥωμαίων ἡ ἐπι-
 κράτεια [ἐν δεξιᾷ] εἰς πλεόντων
 εἰς τὸν Πόντον. Ἐγὼ δὲ ἐπεὶ
 ἐπυθόμην Κότυν τετελευτηκέναι,
 τὸν βασιλέα τοῦ Βοσπόρου τοῦ
 Κιμμερίου καλουμένου, ἐπιμελὲς
 ἐποίησάμην καὶ τὸν μέχρι τοῦ
 Βοσπόρου πλοῦν δηλώσαι σοι, ὡς
 εἴ τι βουλευοιο περὶ τοῦ Βοσπό-
 ρου, ὑπάρχου σοι καὶ τόνδε τὸν
 πλοῦν μὴ ἀγνοοῖν τι βουλευσασθαι.

13. Τὰ δὲ λοιπὰ οὕτω πληρῶν
 λέξω. Ὁρμισθεῖσιν οὖν ἐκ Διο-
 σκουριάδος, τῆς Σεβαστοπόλεως
 πρῶτος ἂν εἴη ὄρμος ἐν Πιτυοῦντι·
 ἀπὸ οὖν Σεβαστουπόλεως, ἔνθα
 ὄρμος ναυσί, στάδιοι τν', μίλια
 μσ', ὃ, σ'.

14. Μέχρι τούτου Ποντικῇ τῶν
 βαρβάρων ἐστὶ βασιλεία κατὰ τὴν
 Ἰβηρανίην καὶ Σανγικὴν καὶ
 Κολχίδαν, τὰ δ' ἐχόμενα τῶν
 αὐτογόνων ἐστὶ βαρβάρων.

მიხედვით, ზევსის ბრძანებით ჩამოკიდე-
 ბულ იქნა პრომეთე ჰეფესტოს მიერ.

12. ბიზანტიონიდან მარჯვნივ მიმა-
 ვალს დიოსკურიადამდე ასეთი გზა
 ექნება: ციხე-სიმაგრე დიოსკურიადა
 რომის სამფლობელოების საზღვარია
 (მარჯვენა მხარეს) პონტოს შესასვლე-
 ლიდან. როდესაც მე მივიღე ცნობა ეგ-
 რეთ წოდებული კიმერიული ბოსფორის
 მეფის კოტისის გარდაცვალების შესახებ,
 განვიზრახე ამეწერა შენთვის ბოსფორა-
 მდე ზღვის გზა, რათა თუ რაიმეს მოი-
 სურვებ ბოსფორის მიმართ, საშუალება
 გქონდეს იმსჯელო ამ გზის კარგი ცოდნის
 საფუძველზე.

13. ვასრულებ ამას და ვამბობ შემდეგს:
 დიოსკურიადა-სებასტოპოლისიდან წამო-
 სულს პირველი სადგური ექნება პიტიუნ-
 ტში. სებასტოპოლისიდან, სადაც სადგომია
 ხომალდთათვის, სამას ორმოცდაათი სტა-
 დიონია, ორმოცდაექვსი და 2/3 მილი.

14. აქამდე მოდის პონტოს ბარბარო-
 სული სამეფო ტიზარანიაში, სანიკეში და
 კოლხიდაში მეზობელი მხარეები ავტონო-
 მიურ ბარბაროსებს ეკუთვნის.

15. Ἀπὸ δὲ Πιτυοῦντος εἰς Στεν-
νιτικὴν χώραν (καὶ ποτε Ἰρι-
γλίτην λεγομένην) στάδιοι ρν',
μίλια κ', ἐν ἣ πάλαι ᾤκει ἔθνος
Σκυθικόν, οὗ μνήμην ποιεῖται ὁ
λογοποιὸς Ἡρόδοτος· καὶ λέγει
τούτους εἶναι τοὺς φθειροτρακτέ-
οντας· καὶ γὰρ εἰς τοῦτο ἔτι ἡ
δόξα ἡ αὐτὴ ὑπὲρ αὐτῶν κατέχει.
Ἀπὸ δὲ Στεννιτικῆς εἰς Ἀβασ-
κὸν ποταμὸν στάδιοι ς', μίλια ιβ'.
Ἀπὸ δὲ Ἀβάσκου ποταμοῦ εἰς
Βρούχοντα ποταμὸν (τὸν νῦν λε-
γόμενον Μίζυγον) στάδιοι ρκ', μί-
λια ις'. Ἀπὸ δὲ τοῦ Βρούχοντος
εἰς Νήσιν ποταμὸν, ἐν ᾧ καὶ Ἡρά-
κλειαν ἀκρὰν ἔχεις (τὴν λεγομέ-
νην Πυξίτην) στάδιοι ξ', μίλια η'·
Ἀπὸ δὲ Νήσιος ποταμοῦ εἰς Μα-
σαιτικὴν ποταμὸν στάδιοι ς', μί-
λια ιβ'. Ἀπὸ δὲ Μασαιτικοῦ ποτα-
μοῦ εἰς Ἀχαιοῦντα ποταμὸν (ἐν
ᾧ εἰσπλους πορθμίους) στάδιοι ξ',
μίλια η'. Οὗτος ὁ ποταμὸς Ἀχαι-
οῦς (λέγεται Βάσις, καὶ) διορίζει
Ζιχοὺς καὶ Σάννιχας. Ζιχῶν δὲ
βασιλεὺς Σταχέμφλας· καὶ οὗτος
τὴν βασιλείαν παρὰ σοῦ ἔχει.

16. Ἀπὸ οὖν Ἀχαιοῦντος ποτα-
μοῦ ἕως Ἀβάσκου ποταμοῦ Σάν-
νιγες οἰκοῦσιν.

17. Ἀπὸ δὲ Ἀχαιοῦντος ποτα-
μοῦ εἰς Ἡράκλειον ἀκρωτήριον

15. პიტუნტიდან სტენიტიკის მხარემ-
დე (ძველად ტრიგლიტედ რომ იწოდე
ბოდა) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი
მილი. მასში წინათ სკვითური ტომი მოსა-
ხლებოდა. რომელსაც იხსენიებს ისტო-
რიკოსი ჰეროდოტე. ის ამბობს, რომ ეს
როდოტე. ის ამბობს, რომ ეს ტომი გირჩის
მჭამელია. მართლაც. ეს აზრი ახლაც არსე-
ბობს ამ ტომის შესახებ. სტენიტიკიდან
მდინარე აბასკამდე ოთხმოცდაათი სტა-
დიონია, თორმეტი მილი. მდინარე აბას-
კიდან მდინარე ბრუქონტამდე დან მდი-
ნარე ბრუქონტამდე (ახლა მიმიგი რომ
ჰქვია) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მი-
ლი. ბრუქონტიდან მდინარე ნესისამდე
რომელშიაც ჰერაკლეს კონცხიც გაქვს
(პიქსიტედ წოდებული), სამოცი სტადი-
ონია, რვა მილი. მდინარე ნესისიდან მდი-
ნარე მასაიტიკემდე დაათი სტადიონია,
თორმეტი მილი. მდინარე მასაიტიკიდან
აქეუნტამდე (სანაოსნო მდინარემდე) სა-
მოცი სტადიონია, რვა მილი. ეს მდინარე
აქეუნტი (იწოდება ბასისად და) მიქებსა
და სანიხებს შუა არის. მიქების მეფე სტა-
ქემფლასია. შენგან აქვს მეფობა მიღებული}

16. ამრიგად, მდინარე აქეუნტიდან
მდინარე აბასკამდე სანიგები ცხოვრობენ.

17. მდინარე აქეუნტიდან ჰერაკლეს
კონცხამდე (ახლა უკაცრიელი ქვია)

(τὸ νῦν λεγόμενον τὰ Ἑρημα)
 στάδιοι ρν', μίλια κ'. (Ἀπὸ δὲ
 Ἡρακλείου ἀκρωτηρίου ἐπ' ἄκραν
 ἐν ἣ καὶ νῦν λέγεται τὰ Βαγᾶ
 κάστρον στάδιοι ι', μίλιον α', γ').
 Ἀπὸ δὲ [ταύτης τῆς ἄκρας] ἐπ'
 ἄκραν ἐν ἣ σκέπη ἐστὶν ἀνέμου
 θρασίου καὶ βορρᾶ, (ἐν ἣ νῦν
 λέγεται Λαϊά) στάδιοι π', μίλια
 ι', α' σ'. Ἀπὸ δὲ Λαϊᾶς εἰς τὴν
 λεγομένην Παλαιὰν Λαζικήν (ἐν
 ἣ ἱδρύται ἡ νῦν λεγομένη Νίκο-
 ψις, τῆς πλησίον ποταμοῦ ὁ νῦν
 λεγόμενος Ψάχαψις) στάδιοι ρκ',
 μίλια ις'. Ἀπὸ δὲ τῆς παλαιᾶς
 Λαζικῆς εἰς τὴν Παλαιὰν Ἀχαΐαν
 (ἐν ἣ καὶ ποταμοῦ ὁ νῦν λεγόμε-
 νος Τόψιδας) στάδιοι ρν', μίλια κ'.

18. Ἀπὸ οὖν Παλαιᾶς Ἀχαΐας
 ἕως τῆς Παλαιᾶς Λαζικῆς καὶ
 ἐπέκεινα ἕως Ἀχαιοῦντος ποτα-
 μου πρῶτην ᾠκουν ἔθνη οἱ λεγό-
 μενοι Ἠνίοχοι, Κοραῖοι καὶ Κω-
 λικοί, Μελάγχλαινοι, Μαχέλωνες,
 Κόλχοι καὶ Λαζοί, νῦν δὲ οἰκοῦσι
 Ζιγοί.

19. Ἀπὸ δὲ τῆς Παλαιᾶς Ἀ-
 χαΐας εἰς Πάγρας λιμένα (τὸν νῦν
 λεγόμενον Ἐπτάλου λιμένα) στά-
 διοι τν', μίλια μς', α', σ'.

ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი.
 (ჰერაკლეს კონცხიდან იმ კონცხამდე, რო-
 მელზედაც ახლაცაა სიმავრე, ზაგად წო-
 დებული, ათი სტადიონია, 1, 1/3 მილი. ამ
 კონცხიდან იმ კონცხამდე, რომელიც და-
 ცულია თრასკიისა და ბორეის ქარებისა-
 გან (სადაც ახლა იმყოფება ე. წ. ლაია),
 ოთხმოცი სტადიონია, 10²/3 მილი. ლაია-
 დან ე. წ. ძველ ლაზიკემდე (სადაც მოთავ-
 სებულია ე. წ. ნიკოფსისი, რომლის ახ-
 ლოს მდინარეა ახლა ფსახაფსისად წოდე-
 ბული) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მი-
 ლი. შველი ლაზიკიდან ძველ აქაიამდე
 (სადაც არის ახლა ტოფსიდად წოდებუ-
 ლი მდინარე) ას ორმოცდაათი სტადი-
 ონა, ოცი მილი.

18. ამრიგად ძველი აქაიიდან ძველ ლა-
 ზიკემდე და შემდეგ. მდინარე აქეუნტა-
 მდე წინათ ცხოვრობდნენ შემდეგი ტო-
 ვებთ ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები,
 მელანქლაინები, მაქალონები, კოლხები,
 ლაზები, ახლა ძიქები ცხოვრობენ.

19. ძველ აქაიიდან პაგრის ნავსადგუ-
 რამდე (ახლა ჰეპტალის ნავსადგური ეწო-
 დება), სამას ორმოცდაათი სტადიონია,
 46²/3 მილი.

20. Ἀπὸ οὖν Πάγρας λιμένος ἕως τῆς Παλαιᾶς Ἀχαΐας πρῶτην ᾤκουν οἱ λεγόμενοι Ἀχαιοί, νῦν δὲ οἰκοῦσι Ζιχοί.

21. Ἀπὸ δὲ Ἑπτάλῳ λιμένος εἰς τὸν Ἱερὸν λιμένα (τὸν νῦν λεγόμενον Ἱερίου ἦτοι τὸ Νίκαιον) στάδιοι ρπ', μίλια κδ'. Ἀπὸ δὲ Ἱεροῦ λιμένος ἦτοι Νίκαιον εἰς Σινδικὴν (ἦτοι Σινδικὸν λιμένα, νῦν δὲ λεγόμενον Εὐδουσίαν) στάδιοι σδ', μίλια μ'.

22. Ἀπὸ οὖν Σινδικοῦ λιμένος ἕως Πάγρας λιμένος πρῶτην ᾤκουν ἔθνη οἱ λεγόμενοι Κερκαταί ἦτοι Τορίται, νῦν δὲ οἰκοῦσιν Εὐδουσίαν οἱ λεγόμενοι, τῇ Γοთικῇ καὶ Ταυρικῇ χρώμενοι γλώττῃ.

23. Ἀπὸ δὲ Σινδικοῦ λιμένος ἐκδέχεται κώμη Κοροκονδάμη λεγομένη, ἐπὶ ἰσθμῷ ἦτοι στενοῦ τῆς λίμνης καὶ τῆς θαλάσσης κειμένη. Μεθ' ἣν ἡ Κοροκονδαμίτις ἐστὶ λίμνη ἢ νῦν λεγομένη Ὀπισθαῖς, κόλπον εὐμεγέθη ποιοῦσα, σταδίων χλ', μιλίων πδ'. Εἰσπλεύσαντι δὲ εἰς αὐτὴν τὴν λίμνην καὶ περιπλεύσαντι εἰς Ἑρμῶνασαν πόλιν στάδια υμ', μίλια νη', δ', σ'.

20. პაგრის ნავსადგურიდან ძველ აქაიამდე წინათ ე. წ. აქეელები ცხოვრობდნენ, ახლა კი მიქები ცხოვრობენ.

21. ჰეპტალის ნავსადგურიდან ჰიეროს ნავსადგურამდე (ახლა ჰიერიოს ან ნიკაქსისი რომ ეწოდება) ას ოთხმოცი სტადიონია, ოცდაოთხი მილი. ნავსადგურ ჰიეროსიდან ან ნიკაქსიდან სინდიკემდე (ან სინდურ ნავსადგურამდე, ახლა ევდუსია რომ ჰქვია) ორას ოთხმოცდაათი სტადიონია, ორმოცი მილი.

22. ამრიგად, სინდურ ნავსადგურიდან პაგრამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი. რომელსაც კერკეტები ან ტორიტები ეწოდებოდა ახლა კი ე. წ. ევდუსიანები ცხოვრობენ, რომელნიც გუთურ ან ტავრიდულ ენაზე ლაპარაკობენ.

23. სინდიკის ნავსადგურის შემდეგ არის სოფელი, რომელსაც ეწოდება კოროკონდამე. მოთავსებულია ყელზე ან ვიწრო ზოლზე ტბასას და ზღვას შორის. მის მეზობლად კოროკონდამიტის ტბაა. ახლა ოპისა ეწოდება. ქმნის მეტად დიდ უბეს ექვსას ოცდაათი სტადიონის. 84 მილის მანძილზე. თუ ტბაში შევა ვინმე და ნაპირის ირგვლივ დაიწყებს ცურვას, ქალაქ ჰერმონასამდე იქნება ოთხას ორმოცი სტადიონი, 58²/₃ მილი.

24. Ἀπὸ οὖν Ἑρμῶν ἡμῶν τῶν Σινδικοῦ, ἡμῶν παροικούντων Μαιωτῶν τινες Σινδοὶ λεγόμενοι ἔθνος, ἐφ' οἷς λέγεται Σινδική. Οὗτοι οἱ Σινδοὶ βάρβαροι μὲν εἰσι, τοῖς δὲ ἡμέτεροι. Ἀπὸ δὲ τῶν Σινδῶν εἰσι Κερκέται οἱ λεγόμενοι. Τοῖς δὲ, δίκαιον καὶ ἐπεικὲς ἔθνος καὶ ναυτικὸν μάλιστα. Ἀπὸ δὲ Κερκετῶν ὁμορον τούτων ἔχουσι γῆν Ἀχαιοί, οἷς δὲ λέγουσιν ὄντας Ἑλληνας γένει καλεῖσθαι Ἀχαιοὺς ἐκ βαρβαρῶν. τὸν Ὀρχομενίων γὰρ φασιν λαόν ποτε τὸν Ἰαλμέου μηνύεσθαι παντὶ τῷ στόλῳ ἔξ' Ἰλίου πλεόντι ὑπὸ τῶν πνευμάτων τοῦ Τανάϊδος ἀνέμου ἄκοντας εἰς τὴν Ποντικὴν καὶ βάρβαρον χώραν κατελθεῖν. ὁ μὲν ἀπεξενωμένους εἶναι καὶ παρανόμους φασὶ καὶ τοῖς ἡμέτεροι μάλιστα Ἑλλησι δυσμενεστάτους. πολλοὶ [δὲ] καὶ ἐναντίοι εἰσὶν (οἱ Ἀχαιοί) τοῖς Κερκέταις.

25. Ἀπὸ δὲ Ἑρμῶν ἡμῶν ἐκπλεύσαντι τοῖς κόλποις ἐπὶ τὸ στόμα τῆς Μαιωτικῆς λίμνης καὶ κόμην Ἀχιλλεῖον στάδιοι φεῖ, μίλια ξη', ἑ', σ'.

26. Ἐπ' εὐθείας δὲ πλεόντι ἀπὸ Εἰνδικῆς εἰς Βόσπορον τὸν Κιμμέριον καλούμενον καὶ πόλιν

24. ჰერმონასიდან სინდიკის ნავსადგურამდე მეოტიდის გასწვრივ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა ტომი სინდებად იწოდება, ქვეყანას აქედან ჰქვია სინდიკე. ეს სინდები ბარბაროსები არიან, მაგრამ ზნე-ჩვეულებით მშვიდობიანნი. სინდების შემდეგ კერკეტები, იგივე ტორიტები არიან, სამართლიანი და კეთილი ტომია, ნაოსნობაში მეტად გამოწრთვნილი. კერკეტების მეზობელი ქვეყანა აქელებს უჭირავთ. რომელნიც, როგორც ამბობენ, წარმოშობით ელინები არიან და გაბარბაროსებულნი. იწოდებიან აქელებად, რადგან ამბობენ, არის გადმოცემა, ერთ დროს ორქომენელთა ლაშქარი, იალმენეს [მეთაურობით]. მთელი ფლოტით რომ მოცურავდა ილიონიდან, ტანაისის ქარის წყალობით, უნებლიეთ მოხვდა პონტოს ბარბაროსულ ქვეყანაში. ამიტომაც, რომ, როგორც ამბობენ, ისინი ერთგულნი არიან ბარბაროსული ადათებისა, უსამართლონი არიან და ელინებისადმი მტრულად განწყობილნი. (აქელები) მრავალნი არიან და კერკეტების მტრებად ითვლებიან.

25. ჰერმონასიდან, უბიდან რომ გა-მოხვალ. გაივლი ხუთას თხუთმეტ სტადიონს 68²/₃ მილს, მეოტიდის ტბის შესართავამდე და აქილევსის სოფლამდე.

26. პირდაპირი გზით მცურავს სინდიკიდან ეგრეთ წოდებულ კიმერიულ ბოსფორამდე, ბოსფორის ქალაქ პანტიკაპეამდე

Βοσπόρου Παντικαίπαιον στάδιοι
φλ', μίλια οβ'.

27. Ὅμοῦ ἀπὸ τοῦ Ἱεροῦ περι-
πλέοντι ἕως τοῦ στομίου τῆς Μαι-
ώτιδος λίμνης ἦτοι Ἀχιλλείου
κώμης στάδιοι „α'βυπζ', μίλια,
αχ'νγ', γ'.

28. Ἀπὸ δὲ τῆς Ἀχιλλείου κώ-
μης, ἥτις ἐστὶν ἐπὶ τοῦ τέλους
τῆς Ἀσίας καὶ τοῦ πόρου τοῦ
κατὰ τὸ στόμα τῆς Μαιώτιδος
λίμνης ἦτοι τοῦ Τανάεως κειμένη
ἐπὶ τὴν καταντικρὺς κειμένην κώ-
μην ἐπὶ τοῦ τέλους τῆς Εὐρώ-
πης, [τὸ] λεγόμενον Πορθμίον,
ἥτις καὶ αὐτὴ κεῖται ἐπὶ τοῦ πό-
ρου τοῦ κατὰ τὸ στόμα τῆς Μαι-
ώτιδος λίμνης, ἔστι ὁ διάπλους
τοῦ στόματος σταδίον κ', μιλίων
β', ε'.

29. Ὅστις Τάναις ποταμὸς λέ-
γεται ὀρίζειν ἀπὸ τῆς Ἀσίας τὴν
Εὐρώπην, καὶ ὀρμαίνεται μὲν ἀπὸ
λίμνης τῆς Μαιώτιδος, ἐκβάλλει
δὲ εἰς θάλασσαν τὴν τοῦ Εὐξεί-
νου πόντου· καίτοι Αἰσχύλος ἐν
Προμηθεῖ λυομένῳ τὸν Φᾶσιν πο-
ταμὸν ὄρον τῆς Εὐρώπης καὶ τῆς
Ἀσίας ποιεῖ. Λέγουσι γοῦν αὐτῷ
οἱ Τιτάνες πρὸς τὸν Προμηθεά
ὅτι

მოუხდება გავლა ხუთას ოცდაათი სტა-
დიონის, ანუ სამოცდათორმეტი მილისა.

27. თუ ნაპირის გასწვრივ იმგზავრებ
ზევს ურიოსის ტაძრიდან მეოტიდის
ტბის შესართავამდე ან აქილევსის სოფ-
ლამდე სულ იქნება თორმეტიათას ოთ-
ხას ოთხმოცდა შვიდი სტადიონი,
1653¹/₃ მილი.

28. აქილევსის სოფლიდან, რომელიც
აზიის უკიდურეს ადგილასაა მოთავსებუ-
ლი და მეოტილის ტბის შესართავის სრუ-
ტესთან ან ტანაისთან, იმ სოფლამდე, რო-
მელიც საპირისპიროდ მდებარეობს ევრო-
პის უკიდურეს ადგილას, პორთმიონი
ეწოდება და მოთავსებულია აგრეთვე
სრუტეზე მეოტიდის ტბის შესართავ-
თან, შესართავის სიგანე ოცი სტადიო-
ნი იქნება, ანუ 2²/₃ მილი.

29. ეს მდინარე ტანაისი, ამბობენ,
აზიასა და ევროპას ყოფს და მეოტი-
დის ტბიდან გამომდინარეობს. ერთ-
ვის კიევქსინის პონტოს ზღვას. სხვა-
თა შორის ესქილე „განთავისუფლე-
ბულ პრომეთეშინ ფაზისის თვლის ევ-
როპისა და აზიის საზღვრად. მასთან
ტიტანები ეუბნებიან პრომეთეს:

ФЛАВИЙ АРРИАН И ЕГО «ПЕРИПЛ»

Р е з ю м е

1. Legatus Augusti pro praetore Флавий Ариран объехал вверенную ему императором Адрианом провинцию от Трапзунта до Диоскуриады и оставил весьма ценные сведения относительно местоположения населенных пунктов, устьев рек и народностей, находившихся на восточном побережье Черного моря.

Расстояния между географическими пунктами восточного и южного побережий Евксинского Понта, выраженные Аррианом в стадиях, дают возможность точно нанести их на карту.

2. В «Перипле» указывается использование римлянами некоторых мест юго-восточного и восточного побережий Черного моря, как опорных пунктов для своих военно - политических целей.

3. Арриан последовательно упоминает народности, населявшие юго-восточное и восточное побережья Понта. Выясняется, что во время Арриана прибрежные места от Трапезунта до Диоскуриады были населены чано-лазскими народностями.

4. Колхы намного раньше до Арриана перестали играть объединяющую роль. Арриан помещает колхов только между Трапезунтом и Офисом и даже не упоминает царя. На восточном побережье Понта колхи у Арриана не фигурируют.

5. Приобретение самостоятельности отдельными народностями в Западной Грузии во II в. н. э. Свидетельствует о временном ослаблении центральной власти страны, что привело в дальнейшем к выдвиганию на первое место наиболее сильной народности – лазов, а в конце концов – к исчезнованию имен других народностей под давлением растущего значения лазов в стране, так же, как раньше имя колхов покрывало имена живших в Западной Грузии племен.

6. Эти отдельные этнические группы представляли собой государственные образования во главе с царем, утверждавшимся Римом. Об этом свидетельствуют археологические данные и сведения античных авторов о социальной дифференциации в стране, отделении ремесел от земледелия, развитой городской жизни и оживлённой торговле со многими странами мира. С этой точки зрения исключение составляет лишь племя саннов (чанов), сохранившее родовой строй. Особо следует подчеркнуть гениохов, в социальном строе которых со времени Страбона и Плиния произошел большой сдвиг. По Страбону гениохи пребывали

В родовом строе (Georg. XI, 14). У Арриана они уже имеют государственное образование во главе с общим с макронами царём (PPE, II).

7. Выдавая царский знаки царям, римляне требовали от них главным образом военную услугу – защиту северных провинций от нашествий аланов и гуннов. Эти отношения С. Джанашия считает вассальной зависимостью (С. Джанашия, Труды, II, 1952, стр. 317 – 318).

Обособленное место в этом отношении занимают зидриты, подчинявшиеся не Риму, а царю Иберии, Фрсману Второму (PPE, II; Аноним, PPE, XLII.10), что свидетельствует об усилении Иберии (в I, II вв. н. э.), когда она простирала свою власть до побережья Понта, соперничая даже с Римом в деле подчинения населения Западной Грузии.

В этом аспекте можно говорить и о зачатках объединительных тенденций в Иберии.

შ ი ნ ა რ ს ი

შესავალი

1. ფლავიუს არიანე და მისი „პერიპლიუსი“
 2. რომაელების მიერ სამხედრო - პოლიტიკური თუ სხვა მიზნებისათვის გამიყენებული პუნქტები შავი ზღვის სანაპიროებზე.....
 3. კოლხთა საკითხი.....
 4. დასავლეთ საქართველოს სანაპირო მხარეში მოზინადრე ეთნიკურ ჯგუფთა ვინაობა....
 5. არიანესდროინდელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.....
 6. დასავლეთ საქართველოს სამეფოები და რომი ახ. წ.ა. II საუკუნეში.....
 7. რუკისათვის.....
- არიანე - მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო.....**
- კომენტარები.....**
- ანონიმი - მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო.....**
- Φλαвий Άρριαν και его « Περιπλ » (Резюме).....**
- საკუთარ სახელთა საძიებელი.....**
-

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიის გამოცემანი

წიგნი I: თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტე. თბ. 1960.

წიგნი I: ნ. კ ე ჭ ა ღ მ ა ძ ე, არიანე. თბ. 1961.

წიგნი III: ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, სპარსული ისტორიული საბუთები. თბ. 1961.

წიგნი IV: ა. გამყრელიძე და ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, ტომი პირველი (იბეჭდება).

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ხარედ-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე
ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა
კორექტორი ე. ჯ ო ბ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 30.6 1960; ანაწყოების ზომა 6 X 10;
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.2.1961; ქაღალდის ზომა 60 X 92^{1/16};
ქაღალდის ფურცელი 4,13; საბეჭდი ფურცელი 8,26; საავტორო
ფურცელი 8,07; საადრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 8,19;
შეკვეთა 1017: უე 02720; ტირაჟი 1000
ფასი 69 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5